მიგრაციის საკითხთა
სამთავრობო კომისია

საქართველოს მიგრაციის პროფილი

თბილისი
2021 წ.

2021 წლის მიგრაციის პროფილი მომზადდა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ფარგლებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების: „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გრძელ-ვადიანი ამოცანების განხორციელების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა“ და „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“ (ENIGMMA 2) მხარდაჭერით.

პუბლიკაციის შინაარსი არ გამოხატავს ევროკავშირისა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) შეხედულებებს.

ევროკავშირი საქართველოსთვის
Project funded by the European Union

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტო

სარჩევი

შემოკლებები 4

ზოგადი ინფორმაცია საქართველოს შესახებ 6

შესავალი 9

მიგრაციის პროფილის მკითხველის გზამკვლევი 10

ძირითადი მიგრაციული ტენდენციები 11

სიტუაციის მიმოხილვა 17

სტატისტიკური ნაწილი 18

ლეგალური მიგრაცია 20

ლეგალური ემიგრაცია 20

ლეგალური იმიგრაცია 30

დაბრუნება და რეინტეგრაცია 39

დაბრუნებითი მიგრაცია 39

რეინტეგრაცია 46

მიგრაცია და განვითარება 49

ფულადი გზავნილები 49

უცხოელი მეწარმეები 51

უძრავი ქონება 52

იმიგრაციის ეკონომიკური გავლენა 53

საერთაშორისო დაცვა 55

საერთაშორისო დაცვა საქართველოში 55

საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნა 58

ინტეგრაცია 63

ოჯახის გაერთიანება 63

ზოგადი განათლება 63

პროფესიული განათლება 65

სოციალური დახმარება 67

არალეგალური იმიგრაცია 68

სავიზო რეჟიმის დარღვევა 68

საქართველოდან გაძევება 69

საზღვრის მართვა 71

ტრეფიკინგი 73

მოქალაქეობა და მოქალაქეობის არმქონეობა 76

ნატურალიზაცია 76

მოქალაქეობის არმქონე პირები 78

შიდა მიგრაცია 79

იძულებით გადაადგილებული პირები 79

ეკოლოგიური მიგრანტები 82

მიგრაცია სოფლიდან ქალაქში და ქალაქიდან სოფელში 84

სიახლეები მიგრაციის სფეროში 85

მიგრაციის მართვა 85

ლეგალური მიგრაცია 88

დაბრუნება და რეინტეგრაცია 93

მიგრაცია და განვითარება 95

საერთაშორისო დაცვა 97

ინტეგრაცია 97

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა და დოკუმენტების უსაფრთხოება 99

საზღვრის ინტეგრირებული მართვა 101

ტრეფიკინგი 102

მოქალაქეობა და მოქალაქეობის არმქონეობა 106

შიდა მიგრაცია 106

შემოკლებები[1]

აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
განათლების სამინისტრო	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
დევნილთა სააგენტო	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
ევროსტატი	ევროკავშირის სტატისტიკური ოფისი
მეას	მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
მსსკ/კომისია	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია
მსსკ-ის სამდივნო	მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნო
საქსტატი	სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო	სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო
საჯარო რეესტრი	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
სსგს	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტრეფიკინგის საბჭო	ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო
შრომის სამინისტრო	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
შსს	შინაგან საქმეთა სამინისტრო

1 მსსკ-ს ვებგვერდზე ასევე იხილეთ: მიგრაციასთან დაკავშირებული შემოკლებების განმარტებები და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. http://migration.commission.ge/index.php?article_id=129&clang=0 (ნანახია: 18.10.2021).

AVR	IOM–ის ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა
AVRR	IOM–ის ნებაყოფლობითი დაბრუნების და რეინტეგრაციის პროგრამა
COVID-19	კორონავირუსული დაავადება – 19
ENIGMMA 2	პროექტი – „მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში“
EMN	მიგრაციის ევროპული ქსელი (ევროკომისია)
EURAXESS	ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია
EUROJUST	ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტო
FRONTEX	საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
PMCG	პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფი
UN DESA	გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი

ზოგადი ინფორმაცია საქართველოს შესახებ

ძირითადი ფაქტები	
ფართობი	69,700 კმ²
მოსაზღვრე ქვეყნები	სომხეთი
	აზერბაიჯანი
	თურქეთი
	რუსეთი
ეროვნული ვალუტა	ქართული ლარი (GEL)
მშპ (მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი)	15.8 (2020 წელი)
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში)	4,255.7 აშშ დოლარი (2020 წელი)

მოსახლეობა	3,728,573 (2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)
ეთნიკური შემადგენლობა (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით)	ქართველები – 86.8%
	აზერბაიჯანელები – 6.3%
	სომხები – 4.5%
	რუსები – 0.7%
	სხვა – 1.7%
დედაქალაქი	თბილისი
დედაქალაქის მოსახლეობა	1,202,731 (2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)
სახელმწიფო ენები	ქართული, აფხაზური (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე)
ბუნებრივი მატება (ათას კაცზე)	– 1,1 (2020 წელი)
პრეზიდენტი	სალომე ზურაბიშვილი
პრემიერ–მინისტრი	ირაკლი ღარიბაშვილი
პარლამენტის თავმჯდომარე	შალვა პაპუაშვილი

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

www.migration.commission.ge

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია (მსსკ/კომისია) არის მთავრობის სათათბირო ორგანო. იგი შედგება ორგანიზაციების სამი შიდა ჯგუფისგან, რომელიც თავის მხრივ თემატურ ჭრილში მჭიდროდ თანამშრომლობს მეოთხე, გარე პარტნიორებისგან შემდგარ ჯგუფთან. კომისიაში გადაწყვეტილებები მიიღება მინისტრის/მოადგილის დონეზე, ხოლო მოსამზადებელი საქმიანობა ხორციელდება საშუალო მენეჯმენტის (დეპარტამენტის დირექტორი, სამსახურის უფროსი/მოადგილე) დონეზე, რომლისთვისაც განსაზღვრულია 5 თემატური სამუშაო ჯგუფი. მსსკ-ის ანალიტიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს მისი სამდივნო, რომელიც ფუნქციონირებს ევროკავშირის მხარდაჭერით.

I ჯგუფი ---------- ძირითადი ხაზი ---------- მსსკ-ის წევრი უწყებები

იუსტიციის სამინისტრო
www.justice.gov.ge
მსსკ-ის თავმჯდომარე და სამდივნო
- მოქალაქეობა და მოქ. არმქონეობა;
- ბინადრობის ნებართვები;
- სამოქალაქო რეესტრი, პირადობის და სამგზავრო დოკუმენტები;
- ტრეფიკინგის საბჭო;
- მექ-ის ეროვნული საკონტაქტო პირი.

ს/ჯ წევრობა: * * * * *

მსსკ-ის ს/ჯ-ს კოორდინატორი
- **მიგრაციის ლაბორატორია;** (სტრატეგია, კანონმდებლობა, სტატისტიკა, მიგრაციის და განვითარების პოლიტიკა)
- **მოქალაქეობის არმქონეობის ს/ჯ**
- **მეას-ის ს/ჯ** (მონაცემები, ანალიზი)

შინაგან საქმეთა სამინისტრო
www.police.ge
მსსკ-ის თანათავმჯდომარე
- არალეგალ მიგრანტთა დაკავება-გაძევება;
- დაბრუნება და რეადმისია;
- საზღვრის ინტეგრირებული მართვა;
- ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული;
- თავშესაფარი;
- ტრეფიკინგი.

ს/ჯ წევრობა: * * * * *

მსსკ-ის ს/ჯ-ს კოორდინატორი
- **მიგრაციის რისკების ანალიზის ს/ჯ**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
www.moh.gov.ge
- შრომითი მიგრაცია;
- დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია;
- უცხოელთა ინტეგრაცია;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარი.

ს/ჯ წევრობა: * * *

მსსკ-ის ს/ჯ კოორდინატორი
- **ინტეგრაციის საკითხთა ს/ჯ** (უცხოელთა ინტეგრაცია და დაბრუნებულ ქართველ მიგრანტთა რეინტეგრაცია)

საგარეო საქმეთა სამინისტრო
www.mfa.gov.ge
- საკონსულო საკითხები;
- სავიზო საკითხები;
- დიასპორასთან ურთიერთობა;
- სტრატეგიული კომუნიკაცია;
- ევროკავშირში ინტეგრაცია.

ს/ჯ წევრობა: * * * *

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
www.ssg.gov.ge
- ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული;
- ტერორიზმი;
- არალეგალური მიგრაცია.

ს/ჯ წევრობა: * * *

ინფორმაცია სამუშაო ჯგუფებზე
- **მიგრაციის ლაბორატორია**
- **მოქალაქეობის არმქონეობის ს/ჯ**
- **მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ს/ჯ**
- **მიგრაციის რისკების ანალიზის ს/ჯ**
- **ინტეგრაციის საკითხთა ს/ჯ**

II ჯგუფი ---------- დამხმარე ხაზი ---------- მსსკ-ის წევრები

სტატისტიკის ეროვნული სამსახური
www.geostat.ge
- მიგრაციის სტატისტიკა;
- მოსახლეობის აღწერა;
- შინამეურნეობის კვლევები.

ს/ჯ წევრობა: * * * *

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
www.mes.gov.ge
- განათლების და მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია;
- სტუდენტთა მობილობა;
- უნარების განვითარება;
- უცხოური განათლების აღიარება.

ს/ჯ წევრობა: * * *

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო
www.economy.ge
- უცხოური ინვესტიციები;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ტურიზმი.

ს/ჯ წევრობა: * *

ფინანსთა სამინისტრო
www.mof.gov.ge
- საბაჟო;
- სახელმწიფო ბიუჯეტი.

ს/ჯ წევრობა: * *

III ჯგუფი ---------- კონსულტანტები ----------

საერთაშორისო ორგანიზაციები
- ევროკავშირი, ICMPD, IOM, UNHCR, GIZ.

არასამთავრობო ორგანიზაციები და აკადემია
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახალხო დამცველის აპარატი

ს/ჯ წევრობა: * * * * *

IV ჯგუფი ---------- გარე პარტნიორები ----------

პარლამენტი
www.parliament.ge
- კანონმდებლობა მიგრაციაზე.

მთავრობის ადმინისტრაცია
www.gov.ge
- მთავრობის სამოქმედო გეგმები;
- საჯარო ადმინისტრირების რეფორმა;
- მდგრადი განვითარების მიზნების კოორდინაცია.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
www.mepa.gov.ge
- მიგრაციის და განვითარების პოლიტიკა.

ეროვნული ბანკი
www.nbg.gov.ge
- ფულადი გზავნილები.

შემოკლებები

მექ	მიგრაციის ევროპული ქსელი
მეას	მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა
ს/ჯ	სამუშაო ჯგუფი
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
UNHCR	გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება

შესავალი

საქართველოს 2021 წლის მიგრაციის პროფილი მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ/კომისია) ფარგლებში შემუშავებული რიგით მე-4 ე.წ. საშუალო ფორმატის პროფილია და ეფუძნება მიგრაციის პროფილის შემუშავების არსებულ გამოცდილებას. წინა წლების პროფილებისგან[2] განსხვავებით, მოცემული დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი მნიშვნელოვნად შეიცვალა და იგი ნაწილობრივ გადაეწყო მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) წევრი ქვეყნების მიგრაციისა და თავშესაფრის ყოველწლიური ანგარიშების მოდელზე[3]. დოკუმენტში წარმოდგენილია ის 10 მსხვილი თემატური მიმართულება, რომელიც მიესადაგება EMN-ის ანგარიშებს და, ამავდროულად, დამატებულია ისეთი თემატური სექციები, რომლებიც რელევანტურია საქართველოსთვის.

ოფიციალური მონაცემების და სტატისტიკის თავმოყრისა და ანალიზის მეშვეობით, პროფილის მთავარი დანიშნულებაა, ყველა სახის მკითხველს, მისთვის გასაგები ფორმით, მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია ძირითადი მიგრაციული ტენდენციების შესახებ და ამით ხელი შეუწყოს სფეროთი დაინტერესებული მკვლევარების და აკადემიური წრეების საქმიანობას, ასევე გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

2021 წლის მიგრაციის პროფილში საერთაშორისო და შიდა მიგრაციასთან დაკავშირებული 2016-2020 წლების სტატისტიკური მონაცემები უფრო დეტალურადაა აღწერილი და, მისი წინამორბედის მსგავსად, აქცენტი მათ სრულ ვიზუალიზაციაზეა გაკეთებული, რაც პროფილის მრავალფეროვან მკითხველს უფრო მეტად გაუმარტივებს მონაცემების აღქმას და ანალიზისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობას დაუტოვებს. ამავდროულად, მიგრაციის პროფილის ტექსტუალური ნაწილიც უფრო განივრცო და დეტალური გახდა. მასში წარმოდგენილია საკანონმდებლო, პოლიტიკისა და პრაქტიკულ დონეზე განხორციელებული ის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც 2019-2021 (ივლისის ჩათვლით) წლებში ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკის სფეროში განვითარებებს ასახავს და მიგრაციის მართვის საერთო საკითხებთან ერთად მოიცავს იმ 10 თემატურ მიმართულებას, რომელიც მიგრაციის პროფილის სტატისტიკის ნაწილშია წარმოდგენილი. პროფილის ეს ნაწილი მკითხველს დოკუმენტში თავმოყრილი მონაცემების სწორი ინტერპრეტაციისთვის საჭირო ინფორმაციას აწვდის. ამავდროულად, პროფილის შემაჯამებელი ნაწილი საშუალებას აძლევს მკითხველს, მონაცემების დეტალური შესწავლის გარეშე, მოკლე დროში გაეცნოს ქვეყნის ძირითად მიგრაციულ ტენდენციებს.

წინა წლების მიგრაციის პროფილების მსგავსად, წინამდებარე დოკუმენტი უმთავრესად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი), ევროკავშირის სტატისტიკური ოფისის (ევროსტატი) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სააგენტოების ოფიციალურ სტატისტიკას, აგრეთვე საქართველოსა და უცხო ქვეყნების სახელმწიფო უწყებების ადმინისტრაციულ მონაცემებს და ცალკეული კვლევების შედეგებს ეყრდნობა.

მიგრაციის პროფილის შემუშავებისას კომისია დაეყრდნო მიგრაციის მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართული და სოლიდური ცოდნის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების გამოცდილებასა და რეკომენდაციებს. ამგვარად, ვიმედოვნებთ პროფილის შემუშავების პროცესის უფრო დახვეწას და მის სანდო რესურსად წარმოდგენას აკადემიური კვლევის, განათლების, პოლიტიკის შემუშავებისა თუ მართვის სფეროებით დაინტერესებული ყველა მხარისათვის.

2 https://migration.commission.ge/index.php?article_id=117&clang=0 (ნანახია: 15.10.2021).

3 https://ec.europa.eu/home-affairs/networks/european-migration-network-emn/emn-publications/annual-reports-migration-and-asylum_en (ნანახია: 18.10.2021).

მიგრაციის პროფილის მკითხველის გზამკვლევი

მიგრაციის პროფილი კომპლექსური დოკუმენტია, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული/დამუშავებული დიდი ოდენობის სტატისტიკური ინფორმაცია, რასაც თან ერთვის შესაბამისი ანალიზი.

დოკუმენტის სტრუქტურა საგანგებოდ იმგვარად არის აგებული, რომ მისი ნაწილები ერთმანეთთან იყოს აზრობრივად დაკავშირებული და ამ უწყვეტი ჯაჭვის ერთიანობაში აღქმის შედეგად გამოიკვეთოს საერთო სურათი. <u>სათანადოდ, პროფილის რომელიმე ნაწილის კითხვისას აუცილებელია თემასთან დაკავშირებული წინამორბედი ან/და მომდევნო ნაწილის სწორად გააზრება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.</u>

ამასთანავე, 2015 წლიდან მოყოლებული, ე.წ. საშუალო და მოკლე ფორმატის სისტემის პროფილები შედგენილია ისე, რომ მკითხველმა მარტივად შეძლოს მათ შორის კავშირის დანახვა და წლების მიხედვით მონაცემების სწორი შედარებითი ანალიზის გაკეთება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დოკუმენტზე მუშაობა შრომატევადი პროცესია და მისი განახლება გარკვეულ დროს მოითხოვს. **ამდენად, მიგრაციის პროფილის გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს დოკუმენტში მითითებულ წყაროებს და მათი ნახვის თარიღს.** ამის აუცილებლობა შემდეგი გარემოებებიდან მომდინარეობს:

- **ა)** მონაცემები მოგროვილია და, ძირითადად, **ასახავს 2016-2020 წლების ვითარებას.** შესაბამისად, არ უნდა მოხდეს მათი უახლეს მდგომარეობასთან გაიგივება;
- **ბ)** პროფილში წარმოდგენილი ცალკეული მონაცემები და წყაროები ხშირად ახლდება და შესაძლებელია, რომ წყაროების მოგვიანებით ნახვისას განსხვავებული/განახლებული ინფორმაცია ფიქსირდებოდეს.

<u>შესაბამისად, მიგრაციის პროფილებიდან კონკრეტული მონაცემის განკერძოებულად/განცალკევებულად გამოყენება, შესაძლოა, არასწორი დასკვნის საფუძველი გახდეს.</u>

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველისთვის ინფორმაციის მიწოდების გამარტივებისა და მონაცემების ადვილად აღქმის მიზნით ბოლო თაობის პროფილების სერია მაქსიმალურად ვიზუალიზებულია, მათი გამოყენებისას მკითხველმა ზუსტად იმავე პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს – **წინამორბედ და/ან მომდევნო ნაწილებს დაუკავშიროს და მთლიანობაში ასე გაიაზროს.**

ასეთი მიდგომით მკითხველს საშუალება მიეცემა, მიიღოს საჭირო ინფორმაცია და მისი მეშვეობით გააკეთოს სწორი დასკვნები.

ძირითადი მიგრაციული ტენდენციები

2020 წელს დაწყებულმა COVID-19-ის პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა გადაადგილების შეზღუდვებმა დიდი გავლენა იქონია საერთაშორისო მობილობის და მიგრაციული ნაკადების შემცირებაზე. აღნიშნული ვითარება მნიშვნელოვნად აისახა 2020 წლის მიგრაციულ ტენდენციებზე.

ლეგალური ემიგრაცია

- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 2019 წელს დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებლის შემდგომ, საქართველოდან წასულ ემიგრანტთა რაოდენობა 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა. შედეგად, მიგრაციული სალდო უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში პირველად იყო დადებითი.
- 2017-2019 წლებში მზარდია საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნების მიმართულებით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა. 2020 წელს განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა კი მკვეთრად შემცირდა.
- 2017-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ ყველაზე მეტი ვიზიტი გერმანიაში, იტალიაში, საბერძნეთში, პოლონეთსა და საფრანგეთში განხორციელდა.
- ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდგომ, მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში შესვლაზე უარის თქმის მაჩვენებელი. საზღვარზე უარის თქმის ყველაზე მეტი შემთხვევა 2019 წელს დაფიქსირდა, რაც 5,5-ჯერ მეტია 2016 წლის მაჩვენებელზე.
- 2016-2019 წლებში მზარდია ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვების მფლობელ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა. 2016 წელთან შედარებით, 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 25%-ით გაიზარდა.
- ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვის მქონე საქართველოს მოქალაქეთა ნახევარზე მეტი (57%) იმყოფება საბერძნეთში, იტალიასა და გერმანიაში. ისინი, ძირითადად, ოჯახის გაერთიანების და შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობის საფუძველზე გაცემულ ბინადრობის ნებართვებს ფლობენ.
- 2020 წელს შემცირებულია საქართველოს მოქალაქეების მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში (აშშ) განხორციელებული მოკლევადიანი ვიზიტები. აღნიშნული მაჩვენებლის პარალელურად, ასევე შემცირებულია აშშ-ში ლეგალური ემიგრაციის მაჩვენებლები, რომლებიც 2016-2019 წლებში მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო. საქართველოს მოქალაქეებს აშშ-ში მუდმივი ბინადრობის ნებართვა, ძირითადად, აშშ-ს მოქალაქესთან უშუალო ნათესაური კავშირის და ე.წ. „მწვანე ბარათის“ მოპოვების საფუძველზე მიენიჭათ.
- საქართველოს მოქალაქეების მიერ რუსეთში დროებითი ბინადრობის ნებართვების მიღების მაჩვენებელი 2017-2020 წლებში შემცირებულია. განსაკუთრებული კლება 2020 წელს აღინიშნება, როცა მონაცემი 2019 წელთან შედარებით თითქმის 52%-ით შემცირდა.
- რუსეთში მოქმედი ბინადრობის მფლობელი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობამ 2020 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.
- 2016-2019 წლებში სტაბილური იყო საქართველოს მოქალაქეების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების მაჩვენებელი, ხოლო 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 42%-ით გაიზარდა.

ლეგალური იმიგრაცია

- 2016 წლიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული საქართველოს ვიზების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და ყველაზე მაღალ ნიშნულს 2019 წელს აღწევს.
- 2016–2019 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული საქართველოს ვიზების მზარდი მაჩვენებელი 2020 წლიდან მცირდება. უცხოელებზე ყველაზე ხშირად C (მოკლევადიანი) და D (საიმიგრაციო) კატეგორიის ვიზები გაიცემა.
- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 42,987 უცხო ქვეყნის მოქალაქე ფლობდა მოქმედ ბინადრობის მოწმობას, რაც დაახლოებით 10,000–ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული ბინადრობის ნებართვების ყველაზე დიდი წილი დროებითი ტიპის – შრომით და სასწავლო ბინადრობის ნებართვებზე მოდის.
- შრომითი საქმიანობის მიზნით მყოფ უცხოელთა უმრავლესობა მუშაობს აჭარაში, მცირე საწარმოებში. ტრანსპორტირება/დასაწყობება და დამამუშავებელი მრეწველობა მათი დასაქმების ძირითადი სფეროებია.
- განათლების მიღების მიზნით ჩამოსული უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა საქართველოში ერთ-საფეხურიან სამედიცინო პროგრამაზე სწავლობს. მათი დიდი ნაწილი ინდოეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან.
- 2020 წელს ყველა ტიპის ბინადრობის ნებართვის გაცემის მაჩვენებელია შემცირებული, გარდა მუდმივი ცხოვრების ნებართვისა. მუდმივი ცხოვრების ნებართვა, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების და უკრაინის მოქალაქეებზე გაიცემა.

დაბრუნება და რეინტეგრაცია

- 2016–2019 წლებში მზარდია როგორც საქართველოს მოქალაქეთა მიმართ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გამოტანილი დაბრუნების გადაწყვეტილებების რაოდენობა, ასევე ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა. 2020 წელს ორივე მაჩვენებელი შემცირებულია.
- საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღებ ქვეყნებს შორის ლიდერობენ საფრანგეთი, გერმანია და საბერძნეთი.
- ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან 2020 წელს დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, 2019 წელთან შედარებით, 29%–ით შემცირდა.
- 2016–2020 წლებში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) ნებაყოფლობითი დაბრუნების (AVR) პროგრამით საქართველოში დაბრუნდა 10,712 მოქალაქე. მათი უმრავლესობა – გერმანიიდან, საბერძნეთიდან, ბელგიიდან, ავსტრიიდან და ნიდერლანდებიდანაა დაბრუნებული.
- COVID–19–ის პანდემიის საწყის პერიოდში (2020 წლის თებერვალი–ივლისი) საქართველოს მთავრობის დახმარებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სამშობლოში 25,198–მდე საქართველოს მოქალაქე დაბრუნდა.
- 2019–2020 წლებში შემცირდა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან მიღებული რეადმისიის განაცხადების რაოდენობა. 2016–2020 წლებში ყველაზე მეტი განაცხადი მიღებულია გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ნიდერლანდებიდან, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან.

- საქართველო კვლავ ინარჩუნებს ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან რეადმისიაზე განხილული განაცხადების დაკმაყოფილების მაღალ კოეფიციენტს მესამე ქვეყნებს შორის. ხუთი წლის საშუალო ჯამური მაჩვენებელი 98%-ს შეადგენს.
- 2016 წელთან შედარებით, 2020 წელს დეპორტირებულ საქართველოს მოქალაქეთა საერთო რაოდენობა 49%-ით არის შემცირებული.
- 2020 წელს დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა შემცირებული რაოდენობის მიუხედავად, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამებზე მიმართვიანობის და იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებსაც დახმარება გაეწიათ. სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგ-რამებში ყველაზე მოთხოვნადი სერვისი იყო სოციალური/საშემოსავლო მიზნით მხარდაჭერის მიღება.
- IOM-ის ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის (AVRR) ფარგლებში 2016-2020 წლებში სულ განხორციელდა 3,986 სხვადასხვა ტიპის სარეინტეგრაციო დახმარება, რომლითაც ისარგებლა 3,395-მა დაბრუნებულმა. მიგრანტების უმრავლესობა, რომლებმაც AVRR-ის პროგრამის დახმარება მიიღეს, საბერძნეთიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, შვეიცარიიდან და ნიდერ-ლანდებიდანაა დაბრუნებული.

მიგრაცია და განვითარება

- 2016 წელთან შედარებით, 2020 წელს უცხოეთიდან საქართველოში ჩარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა დაახლოებით 64%-ით გაიზარდა, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2018-2020 წლებში ფულადი გზავნილების ოდენობამ გადააჭარბა ამავე წლებში გან-ხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.
- 2016-2020 წლებში ყველაზე დიდი მოცულობის ფულადი გზავნილები კვლავ რუსეთიდან შემოვიდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის წილი გზავნილების მთლიან მოცულობაში ყოველწლიურად მცირდება.
- 2017 წლიდან ყოველწლიურად იზრდება ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოსული ფულადი გზავნი-ლების წილი მთლიან მოცულობაში, რომელმაც 2020 წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს - 42%-ს მიაღწია.
- ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალია, საბერძნეთი, გერმანია და ესპანეთი, საიდანაც 2020 წელს ფულადი გზავნილების მთლიანი მოცულობის 1/3 (თითქმის 640 მილიონი აშშ დოლარი) შემოვიდა.
- 2016-2018 წლებში უცხოელთა მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების მზარდი მაჩვენებელი 2019 წლიდან შემცირებას იწყებს. ასეთი სუბიექტების 63% საქართველოს დედაქალაქშია რეგისტრირებული.
- 2019 წლამდე მზარდი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები. 2020 წელს კი ეს მაჩვენებელი 2-ჯერ შემცირდა.
- 2016-2019 წლებში გაიზარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის მოცულობა, რომელმაც 2020 წელს მცირედით იკლო. საშემოსავლო გადასახადთან შედარებით მცირეა, თუმცა ასევე 2019 წლამდე მზარდია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ გადახდილი ქონების გადასახა-დის ოდენობა. რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ გადახდილ ქონების გადასახადს მიწაზე (სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების), ტენდენცია წლიდან წლამდე განსხვავებულია: ფიქსირდება როგორც მკვეთრი მატების, ასევე მკვეთრი კლების ტენდენცია.

საერთაშორისო დაცვა

- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ ბოლო 5 წლის განმავლობაში 2019 წელს ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია. წინა წელთან შედარებით, 2020 წელს აღნიშნული მონაცემი 30%-ით შემცირდა.
- ბოლო წლებში ასევე გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნების რაოდენობა.
- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მზარდია თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებებზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების წილი წლიურად მიღებული გადაწყვეტილებების მთლიან რაოდენობაში, რაც, ძირითადად, გამოწვეულია საერთაშორისო დაცვაზე დაუსაბუთებელი განცხადებების რაოდენობის ზრდით.
- 2016-2019 წლებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნის მზარდი ტენდენცია ფიქსირდება, რომელმაც ყველაზე მაღალ ნიშნულს 2019 წელს მიაღწია. 2020 წელს თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო და თითქმის 2016 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა.
- 2016-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეები თავშესაფარს ძირითადად საფრანგეთსა და გერმანიაში ითხოვდნენ. ქვეყნების მიხედვით ტენდენცია განსხვავებულია. რიგ ქვეყნებში განაცხადების რაოდენობამ ჯერ კიდევ პანდემიის დაწყებამდე, 2019 წლიდან დაიწყო კლება, მაგ.: ლუქსემბურგი (75%), შვეიცარია (31%), ავსტრია (28.5%), იტალია (16.3%), შვედეთი (16%) და გერმანია (6.9%).
- 2016-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნაზე განცხადებების აბსოლუტური უმრავლესობა (95%) უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. აღსანიშნავია, რომ თავშესაფრის განაცხადების აღიარების კოეფიციენტი ბოლო წლებში საშუალოდ 5%-ის ფარგლებში მერყეობს.
- 2016 წლიდან 2021 წლამდე საქართველო წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნად დამატებით ევროკავშირის/შენგენის წევრმა 12-მა ქვეყანამ აღიარა. 2021 წლის მდგომარეობით საქართველო წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნად სულ აღიარებულია ევროკავშირის/შენგენის 17 სახელმწიფოს მიერ.

ინტეგრაცია

- 2018 წლიდან შემცირებულია ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა.
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ უცხოელ მოსწავლეთა რაოდენობა კი 2019 წლიდან მცირდება და ყველაზე დაბალ ნიშნულს 2020 წელს აღწევს. 2016-2020 წლებში სკოლებში ჩარიცხული უცხოელი მოსწავლეების 60% რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანის და უკრაინის მოქალაქეები არიან.
- 2017-2020 წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც საქართველოში პროფესიულ განათლებას ეუფლებიან. 2017 წელთან შედარებით, 2020 წელს აღნიშნული მონაცემი განახევრებულია. იმიგრანტების მსგავსად, აგრეთვე მცირეა 2016-2020 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა რაოდენობა.
- 2016-2019 წლებში სტაბილურია იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას იღებენ. 2020 წელს ამ მაჩვენებელმა მოიმატა, რაც, სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემიის დროს სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა პროგრამული დახმარების გაზრდას უკავშირდება.

არალეგალური იმიგრაცია

- 2016-2019 წლებში გაიზარდა უცხოელების მიერ საქართველოს სავიზო რეჟიმის დარღვევის შემთხვევები, ხოლო 2020 წელს - მნიშვნელოვნად იკლო. 2016 წელთან შედარებით - 30%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით - 61%-ით შემცირდა.
- 2016-2019 წლებში მზარდია როგორც უცხოელთა მიმართ გამოტანილი გაძევების გადაწყვეტილებების რაოდენობა, ასევე ამ გადაწყვეტილებების აღსრულების დინამიკა. სხვა მიგრაციული პროცესების მსგავსად, 2020 წელს აღნიშნული ტენდენციაც კლებადია.
- 2016-2020 წლებში, გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, უცხოელთა 91%-მა ნებაყოფლობით დატოვა საქართველოს ტერიტორია.
- 2016-2020 წლებში საქართველოდან გაძევებულ უცხოელთა 36%-ს აზერბაიჯანის, თურქეთის და ირანის მოქალაქეები წარმოადგენენ.

საზღვრის მართვა

- 2016-2019 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის დინამიკა მზარდია. 2016 წელთან შედარებით, 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 42%-ით გაიზარდა.
- 2020 წელს დაახლოებით 5-ჯერ შემცირდა როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სახელმწიფო საზღვრის კვეთის მაჩვენებელი.
- მგზავრთა ნაკადის მიხედვით, 2016-2020 წლებში ყველაზე დატვირთული სასაზღვრო გამტარი პუნქტებია (სგპ) საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან არსებული საავტომობილო პუნქტები (სარფი - თურქეთი, წითელი ხიდი - აზერბაიჯანი, სადახლო - სომხეთი, ყაზბეგი/დარიალი - რუსეთი) და თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.
- 2016 წელთან შედარებით, 2019 წელს თითქმის 5-ჯერ გაიზარდა უცხოელებისთვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის შემთხვევები. მიუხედავად ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის შემთხვევების მზარდი რაოდენობისა, ყოველწლიურად საკმაოდ დაბალია უარის თქმის პროცენტული მაჩვენებელი ქვეყანაში წლიურად შემოსვლის მსურველ უცხოელთა რაოდენობიდან.

ტრეფიკინგი

- 2016-2019 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა მზარდია. ამასთან, 2019 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.
- 2016-2020 წლების მონაცემებით, საქართველოში იდენტიფიცირებულ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) 56 მსხვერპლი/დაზარალებული, რომლებიც, ძირითადად, საქართველოსა და უზბეკეთის მოქალაქეები არიან. იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა/დაზარალებულთა 93% არის ქალი, ხოლო 64% - არასრულწლოვანი.
- ტრეფიკინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ჩადენილი დანაშაულია. 2017 წლიდან ასევე ვლინდება შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებიც.

მოქალაქეობა და მოქალაქეობის არმქონეობა

- საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მაჩვენებელი წლიდან წლამდე უმნიშვნელო, თუმცა მაინც კლების ტენდენციას აჩვენებს.
- 2016-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადებების 62% დაკმაყოფილდა და მხოლოდ 38%-ს ეთქვა უარი.
- საქართველოს მოქალაქეობა, უმეტეს შემთხვევაში, ყოფილ მოქალაქეებს ან იმ პირებს მიენიჭათ (რუსეთის, სომხეთის, უკრაინის, ისრაელის, აშშ-ს და საბერძნეთის მოქალაქეები), რომლებიც წარმოშობით საქართველოდან არიან.
- 2016-2020 წლებში საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირების სტატისტიკა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

შიდა მიგრაცია

- საქართველოში 2016-2020 წლებში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილების) 90% ოკუპირებული აფხაზეთიდანაა და მათი რაოდენობა თითქმის ათჯერ აღემატება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობას.
- ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირები, უმეტესად, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მომიჯნავე შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ცხოვრობენ, ოკუპირებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები უმეტესწილად თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არიან განსახლებული.
- 2020 წლისთვის ოკუპირებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესობა (59%) უკვე კერძო საცხოვრებლებშია განსახლებული. ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დევნილების დიდი ნაწილი (72%) კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრობს.
- 2017 წლიდან კლებადია რეგისტრირებული ეკომიგრანტი ოჯახების მაჩვენებელი. რაც შეეხება განსახლების მაჩვენებელს, იგი მერყევია და ყველაზე მაღალ ნიშნულს 2018 წელს (84%) მიაღწია.
- 2020 წლისთვის რეგისტრირებულ ეკომიგრანტთა 39% აჭარის რეგიონზე მოდის. ბოლო მონაცემებით აჭარა ლიდერია ეკომიგრანტთა განსახლების მაჩვენებლითაც.
- 2016-2020 წლებში ყოველწლიურად იზრდება ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში. საპირისპიროდ, მცირდება სასოფლო ტიპის დასახლებებში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა. შესაბამისად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობის წილი 58.02%-დან 59.42%-მდე გაიზარდა. ხოლო სოფლის მოსახლეობის წილი 1.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

სიტუაციის მიმოხილვა

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ემიგრაციის და იმიგრაციის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია და დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან, ისე ადამიანების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებთან. საქართველოს უახლეს ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც ემიგრაცია, ძირითადად, ქვეყანაში არსებული არასტაბილური სიტუაციით და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარემოებებით (მაგ.: სამოქალაქო ომი, შეიარაღებული კონფლიქტები) იყო გამოწვეული. თუმცა მოგვიანებით ემიგრაციული ნაკადების ზრდაში უფრო მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკურმა და სოციალურმა ფაქტორებმა ითამაშეს. ემიგრაციის სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ ემიგრანტთა ქსელები და განვითარებულ ქვეყნებში განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობები[4].

2020 წელს დაწყებულმა COVID-19-ის პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა გადაადგილების შეზღუდვებმა ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო მობილობის და მიგრაციული ნაკადების შემცირებაზე[5]. ეს გლობალური ვითარება თავისთავად აისახა საქართველოში არსებულ მიგრაციულ ტენდენციებზეც.

საქსტატის მონაცემებით, თუ 2019 წელს 105,107 ემიგრანტი (იხ. განმარტება ქვემოთ)[6] გავიდა საქართველოდან, 2020 წელს მათი რაოდენობა 30%-ით შემცირდა და 74,264 შეადგინა. ხოლო მიგრაციული სალდო ბოლო 26 წლის[7] განმავლობაში პირველად იყო დადებითი[8] (15,732).

საქართველოდან გასულ ემიგრანტთა რაოდენობა და მიგრაციული სალდო წლების მიხედვით



წყარო: საქსტატი

4 საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია. https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf (ნანახია: 15.10.2021).

5 International Migration 2020 Highlights. United Nations Department of Economic and Social Affairs, Population Division (2020). https://www.un.org/development/desa/pd/sites/www.un.org.development.desa.pd/files/undesa_pd_2020_international_migration_highlights.pdf (ნანახია: 15.10.2021).

6 ემიგრანტის და იმიგრანტის დეტალური მეთოდოლოგიური განმარტება წარმოდგენილია შემდეგ ბმულზე: https://www.geostat.ge/media/38534/0902_210521_GE.PDF (ნანახია: 15.10.2021).

7 საქსტატის ვებგვერდზე შესაბამისი მონაცემები ხელმისაწვდომია 1994 წლიდან (ნანახია: 15.10.2021).

8 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia (ნანახია: 15.10.2021).

საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე, 2019 წელთან შედარებით, 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 18.5% შეადგინა. ამასთან, 2020 წელს სამუშაო ძალამ (ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ) შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 50.5% შეადგინა. წინა წელთან შედარებით, სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (აქტიურობის დონე) შემცირებულია 1.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე – 1.5 პროცენტული პუნქტით. სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (აქტიურობის დონე), წინა წელთან შედარებით, შემცირებულია ქალაქის ტიპის დასახლებებში 0.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში – 2.6 პროცენტული პუნქტით. ასევე, დასაქმების დონე შემცირებულია როგორც ქალაქის ტიპის, ისე სოფლის ტიპის დასახლებებში, შესაბამისად, 1.3 და 1.8 პროცენტული პუნქტით[9].

საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტთა საერთო რაოდენობის *(ე.წ. Migrant Stock)* შესახებ გარკვეულ, მაგრამ არასრულყოფილ სურათს იძლევა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტის (UN DESA) შეფასებები, რომლებიც მიგრანტებს საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის კატეგორიის მიხედვით ითვლის[10]. გაეროს შეფასებებით, 2020 წელს საქართველოში დაბადებული და საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტების რაოდენობა 861,077-მდე გაიზარდა[11].

საქართველოში დაბადებული და საზღვარგარეთ მცხოვრები მიგრანტების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: UN DESA

ემიგრაციის ზრდასთან ერთად, მატულობს საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების ყოველწლიური მოცულობაც, რომელმაც 2020 წელს ბოლო 21 წლის განმავლობაში[12] ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია და თითქმის 1,9 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ემიგრანტთა ოჯახების დიდი ნაწილისთვის ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან საარსებო წყაროს წარმოადგენს[13] და, ამავდროულად,

9 მონაცემები გაანგარიშებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ახალი სტანდარტების მიხედვით, რომელიც მიღებულია შრომის სტატისტიკოსთა მე-19 საერთაშორისო კონფერენციაზე. ახალი სტანდარტის დანერგვა ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებას. კერძოდ, ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად საკუთარი მოხმარებისათვის. სამუშაო ძალის მაჩვენებლები (დასაქმება და უმუშევრობა) 2020. საქსტატი. https://cutt.ly/lQk5s4s (ნანახია: 18.10.2021).

10 მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა წარმოდგენილია მოცემულ ბმულზე: https://www.un.org/development/desa/pd/sites/www.un.org.development.desa.pd/files/undesa_pd_2020_international_migrant_stock_documentation.pdf (ნანახია: 18.10.2021).

11 „საერთაშორისო მიგრანტთა რაოდენობა 2020: დანიშნულება და წარმოშობა"; გაერო, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი: https://www.un.org/development/desa/pd/sites/www.un.org.development.desa.pd/files/undesa_pd_2020_ims_stock_by_sex_destination_and_origin.xlsx (ნანახია: 18.10.2021).

12 საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე შესაბამისი მონაცემები ხელმისაწვდომია 1999 წლიდან.

13 „მოკლე ფორმატის მიგრაციის პროფილი – ფულადი გზავნილები"; მსკ 2016 წ. https://migration.commission.ge/files/geo__1_.pdf (ნანახია: 18.10.2021).

ადამიანური კაპიტალის განვითარებაშიც დიდი წვლილი შეაქვს (ფულადი გზავნილები, უმეტესწილად, ჯანდაცვასა და განათლებას ხმარდება)[14].

გაზრდილ ემიგრაციასთან ერთად, ბოლო წლებში შესამჩნევი გახდა საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნების მზარდი ტენდენციაც, რომელიც იძულებით დაბრუნების ელემენტებთან ერთად, ნებაყოფლობით ხასიათსაც ატარებს. ამის ერთ-ერთი ინდიკატორი საქსტატის მონაცემებია, რომლის მიხედვითაც იმიგრანტების კატეგორიაში 2020 წელს 66,668 საქართველოს მოქალაქე დაფიქსირდა, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. აღნიშნული, სავარაუდოდ, დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან და საქართველოს მთავრობის მიერ გლობალური პანდემიის გამო საკუთარი მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების პროცესის ხელშეწყობასთან.



წყარო: საქსტატი

საქართველოში უცხოელი სტუდენტებისათვის მიმზიდველი საგანმანათლებლო სივრცის, ბიზნესის წარმოების სიმარტივის და გაზრდილი საერთაშორისო მობილობის გათვალისწინებით, უკანასკნელ წლებში იმიგრაციაც გაიზარდა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 52,000-ზე მეტი უცხო ქვეყნის მოქალაქე ფლობდა მოქმედ ბინადრობის მოწმობას (უმეტესობა დროებითი ბინადრობის მოწმობაა) საქართველოში. ეს ციფრი 2020 წელს 18%-ით შემცირდა, რისი ძირითადი მიზეზიც, სავარაუდოდ, COVID-19-ის გლობალური პანდემია და მისგან გამოწვეული საერთაშორისო მობილობის შემცირებაა.

მოქმედი ბინადრობის მოწმობების რაოდენობა (ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)



წყარო: სსგს

14 მსსკ-ის სამდივნოს დაკვეთით 2019 წელს ჩატარებული კვლევა. დათვლილია 449 გამოკითხული შინამეურნეობიდან.

სტატისტიკური ნაწილი

ლეგალური მიგრაცია

ლეგალური ემიგრაცია

ლეგალური ემიგრაცია ევროკავშირში

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ (28.03.2017) საქართველოდან შენგენის ვიზებზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა.

შენგენის ვიზის განაცხადების და გაცემული ვიზების (მათ შორის, მრავალჯერადი ვიზების) რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: ევროკომისია[15] (მონაცემები ნანახია: 14.05.2021)

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ, 2017-2019 წლებში, მზარდია საქართველოს მოქალაქეთა მიერ აღნიშნული ქვეყნების მიმართულებით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა[16]. 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა მკვეთრად (73%) ეცემა, რაც დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან, მისგან გამოწვეულ გადაადგილების შეზღუდვებთან და საერთაშორისო მობილობის შემცირებასთან.

15 სავიზო სტატისტიკა: https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/policies/borders-and-visas/visa-policy_en (ნანახია: 14.05.2021).

16 მონაცემები დათვლილია იმ პირთა რაოდენობის მიხედვით, ვინც საჰაერო გზით პირდაპირი/ტრანზიტული რეისით იმგზავრა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნების მიმართულებით ან მოქალაქის მგზავრობა დასრულდა ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნიდან საქართველოში დაბრუნებით.

ქვეყნების მიხედვით ტენდენციები განსხვავებულია: რიგ ქვეყნებში (მაგ.: გერმანია, უნგრეთი, კვიპროსი) განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის შემცირება ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე (2019 წლიდან) აღინიშნება.

2017-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ ყველაზე მეტი ვიზიტი განხორციელდა გერმანიაში, იტალიაში, საბერძნეთში, პოლონეთსა და საფრანგეთში.

საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირის/შენგენის მიმართულებით განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წლების[17] და დანიშნულების ქვეყნების მიხედვით

	2017	2018	2019	2020	ჯამი
გერმანია	57,137	87,063	86,250	22,854	253,304
იტალია	27,927	57,039	64,296	20,162	169,424
საბერძნეთი	29,775	44,096	49,290	9,327	132,488
პოლონეთი	15,982	29,801	45,247	20,101	111,131
საფრანგეთი	10,007	31,901	37,732	10,821	90,461
ესპანეთი	11,574	31,980	33,942	6,303	83,799
ავსტრია	5,567	13,034	26,627	5,152	50,380
უნგრეთი	9,445	15,584	14,542	2,436	42,007
ჩეხეთი	3,558	12,450	17,715	3,394	37,117
ნიდერლანდები	5,634	9,118	13,215	5,616	33,583
კვიპროსი	7,627	11,567	11,160	1,838	32,192
ბელგია	2,267	6,273	10,240	3,150	21,930
ლიეტუვა	4,477	6,444	6,729	1,453	19,103
ლატვია	3,565	5,999	5,895	1,725	17,184
შვეიცარია	1,664	4,222	6,502	1,168	13,556
ბულგარეთი	1,424	2,942	2,794	1,936	9,096
შვედეთი	1,518	2,975	3,000	819	8,312
რუმინეთი	739	3,755	2,463	410	7,367
დანია	565	1,350	3,564	464	5,943
ესტონეთი	720	1,502	2,436	1,044	5,702
პორტუგალია	862	2,025	2,027	341	5,255
მალტა	423	815	1,782	195	3,215
ხორვატია	285	841	792	80	1,998
ნორვეგია	255	616	629	96	1,596
ფინეთი	236	687	667	196	1,786
სლოვენია	129	305	280	44	758
ლუქსემბურგი	128	360	392	101	981
სლოვაკეთი	97	591	93	80	861
ისლანდია	68	117	132	53	370
სულ	**203,655**	**385,452**	**450,433**	**121,359**	**1,160,899**

წყარო: შსს

17 მონაცემები დათვლილია ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან - 28.03.2017.

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდგომ მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის ქვეყნებში შესვლაზე უარის თქმის მაჩვენებელი. საზღვარზე უარის თქმის ყველაზე მეტი შემთხვევა 2019 წელს დაფიქსირდა (4,690), რაც 5,5-ჯერ მეტია 2016 წლის მაჩვენებელზე.

საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში შესვლაზე უარების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 03.09.2021)

2016-2020 წლების მონაცემებით საზღვარზე უარების რაოდენობით გერმანია, საბერძნეთი, საფრანგეთი და პოლონეთი ლიდერობენ. ეს ის ქვეყნებია, სადაც საქართველოს მოქალაქეების ყველაზე დიდი რაოდენობა გაემგზავრა უვიზო მიმოსვლის ძალაში შესვლის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ 2019-2020 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბულგარეთის საზღვარზე საქართველოს მოქალაქეებისთვის შესვლაზე უარების რაოდენობაც.

2017 წლამდე საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში შესვლაზე უარს, ძირითადად, სახმელეთო საზღვარზე იღებდა. თუმცა უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ ეს სურათი შეიცვალა და საჰაერო საზღვარზე მიღებულმა უარებმა უკვე საერთო რაოდენობის 70-80% შეადგინა.

თუ 2017 წლამდე ევროკავშირის/შენგენის საზღვარზე უარის თქმის ყველაზე გავრცელებულ საფუძველს მოქმედი ვიზის ან ბინადრობის მოწმობის არქონა წარმოადგენდა, უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ ეს სურათიც შეიცვალა და საქართველოს მოქალაქეებს საზღვარზე უარი ყველაზე ხშირად ქვეყანაში ყოფნის მიზნის და გარემოებების დაუსაბუთებლობის და ქვეყანაში შესვლის აკრძალვის გამო ეთქვათ.

2016-2019 წლებში მზარდია ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვების მფლობელ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა. 2016 წელთან შედარებით, 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 25%-ით გაიზარდა. საქართველოს მოქალაქეები, ძირითადად, ოჯახის გაერთიანების და შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობის საფუძველზე გაცემულ ბინადრობის ნებართვებს ფლობენ.

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვების მფლობელ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა წლების და საფუძვლების მიხედვით (ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

	2016	2017	2018	2019	სულ
ოჯახის გაერთიანება	26,828	27,428	28,212	27,399	109,867
შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობა	18,504	18,252	22,182	28,202	87,140
საგანმანათლებლო	4,872	4,949	4,883	4,541	19,245
საერთაშორისო დაცვა	2,973	3,058	3,123	3,830	12,984
სხვა	22,201	25,264	28,589	30,525	106,579
ჯამი	**75,378**	**78,951**	**86,989**	**94,497**	**335,815**

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 05.08.2021)

2019 წელს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვის მქონე საქართველოს მოქალაქეთა ნახევარზე მეტი (57%) იმყოფება საბერძნეთში, იტალიასა და გერმანიაში. შრომითი საქმიანობის საფუძველზე მიღებული ბინადრობის ნებართვის მფლობელთა უმეტესობა იტალიასა და პოლონეთში ცხოვრობს, ოჯახის გაერთიანების მიზნით - საბერძნეთსა და გერმანიაში, ხოლო სასწავლო მიზნებით საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა გერმანიაში იმყოფება.

2019 წელს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მოქმედი ბინადრობის ნებართვის მქონე საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით



წყარო: ევროსტატი[18] (მონაცემები ნანახია: 05.08.2021)

18 ევროკავშირიდან გაერთიანებული სამეფოს გამოსვლის შემდგომ (2020 წლის იანვარი) ევროსტატი აღარ აღრიცხავს გაერთიანებული სამეფოს მონაცემებს, მაშინ როცა 2019 წლის ბოლომდე მონაცემები მოიცავდა გაერთიანებული სამეფოს სტატისტიკასაც.

მზარდია საქართველოს მოქალაქეებზე ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში პირველად გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობაც. აღნიშნული ტენდენცია, ძირითადად, შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობის საფუძველზე გაცემული ნებართვების ხარჯზეა მომატებული, რომელიც 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს თითქმის ორჯერ გაიზარდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, 2019 წელს იკლო საგანმანათლებლო (18%) და ოჯახის გაერთიანების (8%) მიზნებით გაცემული ბინადრობის ნებართვების მაჩვენებელმა.

საქართველოს მოქალაქეებზე ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში პირველად გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა წლების და საფუძვლის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	სულ
შრომითი (ანაზღაურებადი) საქმიანობა	1,889	2,598	6,862	12,398	23,747
ოჯახის გაერთიანება	3,125	3,076	3,149	2,894	12,244
საგანმანათლებლო	1,835	1,746	1,769	1,457	6,807
სხვა	2,414	3,027	4,163	5,647	15,251
ჯამი	**9,263**	**10,447**	**15,943**	**22,396**	**58,049**

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 05.08.2021)

2016-2019 წლებში ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეებზე ყველაზე მეტი პირველადი ბინადრობის ნებართვა გაიცა პოლონეთში, საბერძნეთსა და გერმანიაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით, 2019 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა პოლონეთსა (79%) და ჩეხეთში (166%) პირველად გაცემული ბინადრობის ნებართვების მაჩვენებელი. აღნიშნული ტენდენცია, ძირითადად, შრომითი საქმიანობის მიზნებით გაცემული ბინადრობის ნებართვების ხარჯზეა მომატებული. სასწავლო მიზნებით საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობაზე პირველადი ბინადრობის ნებართვები გერმანიასა და ჩეხეთში გაიცა, ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზნით - გერმანიაში, იტალიასა და საბერძნეთში.

საქართველოს მოქალაქეებზე ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში პირველად გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი წლების და ქვეყნების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	ჯამი	%
პოლონეთი	1,111	1,663	5,186	9,283	17,243	30%
საბერძნეთი	1,408	1,707	2,460	3,052	8,627	15%
გერმანია	1,471	1,631	2,078	2,633	7,813	13%
იტალია	807	1,039	1,428	1,286	4,560	8%
საფრანგეთი	1,189	1,087	1,072	1,204	4,552	8%
ესპანეთი	692	663	751	827	2,933	5%
ჩეხეთი	379	228	474	1,262	2,343	4%
გაერთიანებული სამეფო	525	543	392	-	1,460	2%
ავსტრია	355	298	324	311	1,288	2%
შვედეთი	166	329	303	293	1,091	2%
სხვა	1,160	1,259	1,475	2,245	6,139	11%

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 05.08.2021)

ლეგალური ემიგრაცია აშშ-ში

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2016-2020 წლებში აშშ-ში საქართველოს მოქალაქეებმა 46,000-ზე მეტი მოკლევადიანი ვიზიტი[19] განახორციელეს. ყველაზე მეტი (13,272) მოკლევადიანი ვიზიტი 2019 წელს განხორციელდა, ხოლო 2017 წელს დაფიქსირებულია ყველაზე ნაკლები - 5,617 ვიზიტი. COVID-19-ის პანდემიის გამო 2020 წელს ვიზიტების რაოდენობა მკვეთრად (2019 წელთან შედარებით 55%-ით) ეცემა და თითქმის 2017 წლის მონაცემს უთანაბრდება.

საქართველოს მოქალაქეების მოკლევადიანი ვიზიტების რაოდენობა აშშ-ში წლების[20] მიხედვით



წყარო: აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი (მონაცემები ნანახია:: 12.08.2021)

19 მოკლევადიანი, არასაიმიგრაციო ვიზიტის/შესვლის ნებართვა გაიცემა არასაიმიგრაციო ვიზის საფუძველზე ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა დროებითი ვიზიტები ტურიზმის ან ბიზნესსაქმიანობისთვის, მოკლევადიანი სასწავლო კურსებისთვის, დროებითი დასაქმებისთვის და ა.შ. https://www.dhs.gov/sites/default/files/publications/immigration-statistics/yearbook/2019/nonimmigrant_2019.pdf (ნანახია: 02.08.2021).

20 სტატისტიკა წარმოდგენილია აშშ-ს ფისკალური წლის მიხედვით და საანგარიშო წელი მოიცავს მონაცემებს ყოველი წლის 1 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

2016-2019 წლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ აშშ-ს მუდმივი ბინადრობის ნებართვის მიღების მაჩვენებელი ყოველწლიურად სტაბილური იყო (2016 წელთან შედარებით, 2019 წელს მხოლოდ 3.5%-ით გაიზარდა). აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წელს 34%-ით შემცირდა.

საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რომელთაც აშშ-ში მუდმივი ბინადრობის ნებართვა მიენიჭათ, წლების მიხედვით



წყარო: აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი (მონაცემები ნანახია:: 12.08.2021)

საქართველოს მოქალაქეებს აშშ-ში მუდმივი ბინადრობის ნებართვა 2016-2019 წლებში, ძირითადად, აშშ-ს მოქალაქესთან უშუალო ნათესაური კავშირის (51%) და ე.წ. „მწვანე ბარათის“ მოპოვების (32%) საფუძველზე მიენიჭათ.

საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რომელთაც აშშ-ში მუდმივი ბინადრობის ნებართვა მიიღეს, წლების და საფუძვლის მიხედვით

	2016	2017	2018	2019
აშშ-ს მოქალაქესთან უშუალო ნათესაური კავშირის საფუძველზე	900	824	761	852
ოჯახის გაერთიანების საფუძველზე	142	132	154	135
დასაქმების საფუძველზე	82	89	107	80
„მწვანე ბარათის“ მოპოვებით	445	534	564	595
ლტოლვილის და თავშესაფრის მაძიებლების სტატუსით	64	48	57	25
სხვა	2	2	0	4

წყარო: აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი (მონაცემები ნანახია:: 12.08.2021)

2016-2020 წლებში აშშ-ს მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით საქართველოს 4,219 მოქალაქეს მიენიჭა. წლიდან წლამდე აღნიშნული მაჩვენებელი ცვალებადია. ყველაზე მაღალ ნიშნულს ამ მაჩვენებელმა 2019 წელს მიაღწია, ხოლო დაბალს - 2020 წელს.

საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რომლებმაც აშშ-ს მოქალაქეობა ნატურალიზაციის გზით მიიღეს, ფისკალური წლების მიხედვით



წყარო: აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი (მონაცემები ნანახია:: 12.08.2021)

საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობა (56%), რომელთაც 2016-2019 წლებში აშშ-ს მოქალაქეობა მიიღეს, მდედრობითი სქესისაა. ხოლო ასაკობრივ კატეგორიაში 35-44 წლამდე პირები ჭარბობენ (27%).

საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რომლებმაც აშშ-ს მოქალაქეობა 2016-2019 წლებში მიიღეს, სქესის და ასაკის მიხედვით



წყარო: აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი (მონაცემები ნანახია:: 12.08.2021)

ლეგალური ემიგრაცია რუსეთში

2016-2019 წლებში საქართველოდან რუსეთში ჩასულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია (წლიდან წლამდე აღინიშნება როგორც მცირედი კლება, ასევე მცირედი მატება). 2016-2018 წლებში მზარდი იყო საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც რუსეთი დატოვეს. 2019 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა. შედეგად, 2019 წელს რუსეთში საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციული სალდო გაიზარდა.

საქართველოს მოქალაქეების მიგრაციის დინამიკა რუსეთში



წყარო: რუსეთის სტატისტიკის ფედერალური სამსახური (მონაცემები ნანახია: 12.08.2021)

2016-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეების მიერ რუსეთში მუდმივი ბინადრობის ნებართვების მიღების მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად სტაბილურია, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვების მიღების მაჩვენებელი 2017-2020 წლებში შემცირებულია. განსაკუთრებული კლება 2020 წელს აღინიშნება, როცა მონაცემი, 2019 წელთან შედარებით, თითქმის 52%-ით შემცირდა.

საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რომლებმაც რუსეთში მიიღეს ბინადრობის ნებართვები და მოქალაქეობა წლების მიხედვით



წყარო: რუსეთის შსს (მონაცემები ნანახია: 12.08.2021)

2016-2018 წლებში მზარდი იყო საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც მოქმედ ბინადრობის ნებართვებს ფლობენ რუსეთში. აღნიშნული მაჩვენებელი, გაცემული დროებითი ბინადრობის ნებართვების მსგავსად, 2019 წლიდან მცირდება და ყველაზე დაბალ ნიშნულს 2020 წელს აღწევს.

რუსეთში მოქმედი ბინადრობის ნებართვების მფლობელ საქართველოს მოქალაქეთა საერთო რაოდენობა წლების მიხედვით (ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)



წყარო: რუსეთის შსს (მონაცემები ნანახია: 12.08.2021)

ლეგალური იმიგრაცია

საქართველოს ვიზები

2016 წლიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული საქართველოს ვიზების რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია და ყველაზე მაღალ ნიშნულს 2019 წელს. 2020 წელს ვიზების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან, მისგან გამოწვეულ გადაადგილების შეზღუდვებთან და საერთაშორისო მობილობის შემცირებასთან.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული ვიზები კატეგორიების და წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი
A	404	377	411	395	376	1,963
B	109	113	152	187	91	652
C	26,343	27,819	31,932	45,576	6,977	138,647
D	1,747	2,535	2,185	2,106	503	9,076
T	23	13	29	14	7	86
ჯამი	**28,626**	**30,857**	**34,709**	**48,278**	**7,954**	**150,424**

წყარო: საგარეო საქმეთა სამინისტრო; შსს[21]

2016-2020 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული ვიზების დაახლოებით 90% C კატეგორიის (მოკლევადიანი) ვიზაა. C კატეგორიის ვიზებს ყველაზე ხშირად ჩინეთის და ინდოეთის მოქალაქეები იღებდნენ.

უცხოელებზე გაცემული C კატეგორიის ვიზები წლების და მოქალაქეობის მიხედვით

2016		2017		2018		2019		2020
ინდოეთი	10,406	ჩინეთი	12,136	ჩინეთი	21,009	ჩინეთი	30,811	ჩინეთი	3,635
ჩინეთი	8,274	ინდოეთი	9,451	ინდოეთი	4,993	ინდოეთი	8,161	ინდოეთი	1,660
ეგვიპტე	2,992	ეგვიპტე	2,957	ეგვიპტე	1,468	ეგვიპტე	2,017	ფილიპინები	504
ირანი	1,434	ფილიპინები	846	ფილიპინები	1,006	ფილიპინები	1,597	ეგვიპტე	452
ფილიპინები	590	ინდონეზია	433	ინდონეზია	504	ინდონეზია	577	მაკედონია	192
სხვა	2,575	სხვა	1,933	სხვა	2,883	სხვა	2,373	სხვა	520
ჯამი	**26,271**	**ჯამი**	**27,756**	**ჯამი**	**31,863**	**ჯამი**	**45,536**	**ჯამი**	**6,963**

წყარო: საგარეო საქმეთა სამინისტრო

2016-2019 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემული D კატეგორიის (საიმიგრაციო) ვიზების რაოდენობა მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო. ხოლო ყველაზე დაბალი ნიშნული, სხვა კატეგორიის ვიზების მსგავსად, 2020 წელს დაფიქსირდა, რის მიზეზიც, სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემიაა.

21 შსს-ს შემთხვევაში დათვლილია სახელმწიფო საზღვარზე გაცემული ვიზები.

2016-2020 წლებში D კატეგორიის ვიზები ყველაზე ხშირად ინდოეთის მოქალაქეებზე გაიცემოდა.

უცხოელებზე გაცემული D კატეგორიის ვიზები წლების და მოქალაქეობის მიხედვით

2016		2017		2018		2019		2020
ინდოეთი	1,343	ინდოეთი	2,253	ინდოეთი	1,893	ინდოეთი	1,251	ინდოეთი	310
ჩინეთი	172	ბანგლადეში	79	ნიგერია	86	ჩინეთი	295	ნიგერია	52
ნიგერია	53	ნეპალი	37	შრი-ლანკა	49	ირანი	225	ეგვიპტე	50
ნეპალი	33	ეგვიპტე	30	ეგვიპტე	42	ნიგერია	109	შრი-ლანკა	28
ეგვიპტე	32	ჩინეთი	26	ჩინეთი	39	ეგვიპტე	91	ირანი	21
სხვა	114	სხვა	110	სხვა	76	სხვა	132	სხვა	42
ჯამი	1,747	**ჯამი**	2,535	**ჯამი**	2,185	**ჯამი**	2,103	**ჯამი**	503

წყარო: საგარეო საქმეთა სამინისტრო

ბინადრობის ნებართვები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 42,987 უცხო ქვეყნის მოქალაქე ფლობდა ორივე ტიპის მოქმედ ბინადრობის მოწმობას, რაც დაახლოებით 10,000-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით და, სავარაუდოდ, დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან, მისგან გამოწვეულ გადაადგილების შეზღუდვებთან და საერთაშორისო მობილობის შემცირებასთან. 2016-2019 წლებში აქტიური ბინადრობის მოწმობის მფლობელ უცხოელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა, რაც, ძირითადად, დროებითი ბინადრობის მოწმობების ხარჯზე ხდებოდა. გამონაკლისია 2020 წელი, როდესაც, წინა წელთან შედარებით, 8,000-ით ნაკლები მოქმედი დროებითი ბინადრობის მოწმობა დაფიქსირდა. რაც შეეხება მოქმედ მუდმივი ბინადრობის მოწმობებს, მათი ყოველწლიური რაოდენობა შედარებით სტაბილურია.

მოქმედი ბინადრობის მოწმობები წლების და ბინადრობის ნებართვის ტიპის მიხედვით (ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)



წყარო: სსგს

2020 წელს აქტიური ბინადრობის მოწმობის მფლობელ უცხოელთა 58% მამრობითი სქესისაა, ხოლო 34% 41-დან 65 წლამდე ასაკობრივი ჯგუფს განეკუთვნება.

2020 წელს მოქმედი ბინადრობის მოწმობების რაოდენობა და პროცენტული განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



წყარო: სსგს

2016-2020 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სხვადასხვა საფუძვლით ყველაზე მეტი ბინადრობის ნებართვა 2018 წელსაა გაცემული.

2016-2018 წლებში გაზრდილია ბინადრობის ნებართვის მიღებაზე უარყოფითი გადაწყვეტილებების როგორც რაოდენობრივი, ისე წილობრივი მაჩვენებელი. 2019 წლიდან გაცემული ბინადრობის ნებართვების შემცირებული ტენდენციის პარალელურად, მცირდება უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობაც.

გაცემული ბინადრობის ნებართვების და უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით



წყარო: სსგს

2016-2020 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვების ყველაზე დიდი წილი შრომით და სასწავლო ბინადრობის ნებართვებზე მოდის, რომლებიც დროებითი ნებართვების ტიპს განეკუთვნება. წლების მიხედვით ტენდენციები განსხვავებულია ბინადრობის ტიპების მიხედვით. შრომითი ბინადრობის ნებართვების მზარდი მაჩვენებელი 2016-2017 წლებში ფიქსირდება, ხოლო 2018 წლიდან მნიშვნელოვნად მცირდება და 2020 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს. 2018-2019 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოკლევადიანი, სასწავლო და საინვესტიციო მიზნებისთვის გაცემული ბინადრობის ნებართვები. COVID-19-ის პანდემიის გამო 2020 წელს ზოგადად ყველა ტიპის ბინადრობის ნებართვის გაცემაა შემცირებული, გარდა მუდმივი ცხოვრების ნებართვისა.

გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობა საფუძვლების და წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
შრომითი	9,666	9,765	7,175	4,052	3,284	33,942
სასწავლო	2,901	4,137	6,051	6,032	4,143	23,264
მოკლევადიანი	309	977	5,346	6,597	2,070	15,299
ოჯახის გაერთიანება	1,694	2,190	1,877	1,742	1,449	8,952
მუდმივი ცხოვრება	1,611	1,537	1,444	1,502	2,330	8,424
სპეციალური	587	415	457	605	328	2,392
საქართველოს ყოფილი მოქალაქის	360	222	119	96	67	864
საინვესტიციო	95	88	114	168	43	508
ჯამი	**17,223**	**19,331**	**22,583**	**20,794**	**13,714**	**93,645**

წყარო: სსგს

მუდმივი ცხოვრების ნებართვის მფლობელები, ძირითადად, საქართველოს მეზობელი ქვეყნების და უკრაინის მოქალაქეები არიან. შრომითი საქმიანობის მიზნით დროებით ბინადრობის ნებართვებს კი, უპირატესად, ჩინეთის, ირანის და თურქეთის მოქალაქეები იღებენ, ხოლო სასწავლო ბინადრობის ნებართვების უმრავლესობას (64%) ინდოეთის მოქალაქეები ფლობენ.

2016-2020 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვების მფლობელთა უმრავლესობა (65%) მამრობითი სქესისაა.

2016-2020 წლებში ბინადრობის ნებართვების მიმღებ პირთა რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება სქესის და ბინადრობის ნებართვის ტიპის მიხედვით



წყარო: სსგს

2016-2020 წლებში გაცემული ბინადრობის ნებართვების მფლობელთა უმრავლესობა (89%) 18-65 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ექცევა. სასწავლო ბინადრობის ნებართვების უმრავლესობას (86%) 18-25 წლამდე ასაკის პირები იღებენ, ხოლო შრომითი ბინადრობის ნებართვების ნახევარზე მეტი (52%) 26-40 წლის პირებზეა გაცემული. ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვების 50% კი არასრულწლოვანებზე[22] გაიცა.

22 18 წლამდე ასაკის პირი.

2016-2020 წლებში ბინადრობის ნებართვების მიმღებ პირთა რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება ასაკობრივი ჯგუფის და ბინადრობის ნებართვის ტიპის მიხედვით

	0-17	18-25	26-40	41-65	65<
შრომითი ბინადრობა	9 (0%)	3,971 (11%)	17,554 (52%)	12,135 36%)	273 (1%)
სასწავლო	1,541 (7%)	20,083 (86%)	1,589 (7%)	50 (0%)	1 (0%)
მოკლევადიანი	2,272 (15%)	875 (6%)	4,506 (29%)	7,104 (46%)	542 (4%)
ოჯახის გაერთიანება	4,446 (50%)	494 (5%)	2,343 (26%)	1,516 (17%)	153 (2%)
მუდმივი ცხოვრების ნებართვა	490 (6%)	894 (11%)	3,405 (40%)	3,265 (39%)	370 (4%)
სპეციალური	215 (9%)	776 (32%)	873 (37%)	488 (20%)	40 (2%)
საქართველოს ყოფილი მოქალაქის	153 (18%)	62 (7%)	215 (25%)	376 (43%)	58 (7%)
საინვესტიციო	132 (26%)	12 (2%)	133 (26%)	218 (43%)	13 (3%)

წყარო: სსგს

უცხოელი სტუდენტები

2016-2018 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობაც, რაც, ძირითადად, ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგ-რამებზე უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვების ზრდის გამო მოხდა. 2019-2020 წლებში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა მცირედით იკლებს.

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა წლების და სწავლების საფეხურის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
ერთსაფეხურიანი სამედიცინო	1,873	3,968	3,710	3,331	3,256	16,138
ბაკალავრიატი	1,073	1,243	1,281	735	791	5,123
მაგისტრატურა	125	172	188	164	182	831
დოქტორანტურა	31	20	5	6	9	71
ჯამი	3,102	5,403	5,184	4,236	4,238	22,163

წყარო: განათლების სამინისტრო

შენიშვნა: *2020 წლის მონაცემები არასრულია, რადგან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელები ვალდებული არიან, ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხონ სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტები/მაგისტრანტობის კანდიდატები/სტუდენტები ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, 2020 წელს ჩარიცხვის უფლებამოპოვებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რიცხოვნობა, სავარაუდოდ, შეიცვლება 2021 წლის ბოლომდე.*

2016-2020 წლებში ბაკალავრიატზე, მაგისტრატურაზე, დოქტორანტურაზე და ერთსაფეხურიან სამედიცინო პროგრამებზე ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების ნახევარზე მეტი ინდოეთის და აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან.

2016-2020 წლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება მოქალაქეობის მიხედვით

ინდოეთი	8,997	41%
აზერბაიჯანი	2,937	13%
ნიგერია	1,173	5%
ირანი	1,103	5%
ისრაელი	1,010	5%
ეგვიპტე	914	4%
რუსეთი	559	3%
სირია	408	2%
თურქეთი	378	2%
დიდი ბრიტანეთი	365	2%
სხვა	4,319	19%

წყარო: განათლების სამინისტრო

2016-2020 წლებში უცხოელი სტუდენტების 73% კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა. 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც კერძო (87%), ისე სახელმწიფო (49%) საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა. 2017 წლიდან ორივე ტიპის სასწავლო დაწესებულებაში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების მაჩვენებელი უმნიშვნელოდ იკლებს.

2016-2020 წლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობა სასწავლო დაწესებულების სტატუსის მიხედვით





წყარო: განათლების სამინისტრო

2016-2020 წლებში საქართველოში გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების დიდი ნაწილი ინდოეთის, ირანის და ნიგერიის მოქალაქეებზე მოდის.

უცხოელ სტუდენტებზე გაცემული სასწავლო ბინადრობის ნებართვების რაოდენობა/პროცენტული განაწილება წლების და მოქალაქეობის მიხედვით

2016			2017			2018			2019			2020		
ინდოეთი	1,449	50%	ინდოეთი	2,556	62%	ინდოეთი	4,486	74%	ინდოეთი	4,068	67%	ინდოეთი	2,291	55%
ნიგერია	409	14%	ერაყი	327	8%	ირანი	326	5%	ირანი	607	10%	ირანი	456	11%
ერაყი	386	13%	ნიგერია	253	6%	ნიგერია	268	4%	ნიგერია	321	5%	ნიგერია	316	8%
თურქეთი	169	6%	სირია	162	4%	ეგვიპტე	158	3%	ეგვიპტე	215	4%	ეგვიპტე	213	5%
შრი-ლანკა	156	5%	ირანი	145	3%	იორდანია	96	2%	იორდანია	158	3%	იორდანია	167	4%
სხვა	332	12%	სხვა	694	17%	სხვა	717	12%	სხვა	663	11%	სხვა	700	17%

წყარო: სსგს

შრომითი იმიგრანტები

2016-2020 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე 33,942 შრომითი (დროებითი) ბინადრობის ნებართვა გაიცა.

შრომითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება წლების და მოქალაქეობის მიხედვით

2016			2017			2018			2019			2020		
ინდოეთი	2,669	28%	ირანი	2,717	28%	ირანი	2,449	34%	ჩინეთი	1,333	33%	ჩინეთი	1,274	39%
თურქეთი	1,950	20%	თურქეთი	1,756	18%	ჩინეთი	1,294	18%	თურქეთი	616	15%	თურქეთი	540	17%
ჩინეთი	1,551	16%	ინდოეთი	1,610	16%	თურქეთი	1,190	17%	ირანი	521	13%	უკრაინა	210	6%
ირანი	1,027	11%	ჩინეთი	1,595	16%	ინდოეთი	403	6%	ინდოეთი	259	6%	რუსეთი	203	6%
უკრაინა	483	5%	უკრაინა	278	3%	რუსეთი	294	4%	რუსეთი	241	6%	ირანი	194	6%
სხვა	1,986	20%	სხვა	1,809	19%	სხვა	1,545	21%	სხვა	1,082	27%	სხვა	863	26%

წყარო: სსგს

ეკონომიკის სამინისტროს 2020 წლის „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევის“[23] მიხედვით, 2019 წლისთვის დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, 2018 წელთან შედარებით, 12%-ით შემცირდა და 41,359 ადამიანი შეადგინა (მთლიანი დასაქმების 5%). კვლევის მიხედვით, 2019 წელს შრომით მიგრანტთა ნახევარზე მეტი (58%) დასაქმებული იყო მცირე საწარმოებში. რაც შეეხება შრომით მიგრანტთა რეგიონების მიხედვით გადანაწილებას, მათი 76% აჭარის რეგიონში საქმიანობს და მხოლოდ 19% - ქ. თბილისში. დანარჩენ რეგიონებზე კი 5% მოდის ჯამურად. ტრანსპორტირება/დასაწყობება და დამამუშავებელი მრეწველობა უცხოელთა დასაქმების ძირითადი სფეროებია.

საქართველოში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობრივი/პროცენტული განაწილება დასაქმების სფეროების მიხედვით



წყარო: „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“. 2020 წ.

კვლევის მიხედვით, შრომითი მიგრანტები, ძირითადად, მენეჯერულ პოზიციებზე არიან დასაქმებული. თუმცა, წინა წელთან შედარებით, 2019 წელს 5,497 ადამიანით (16%) შემცირდა მენეჯერულ თანამდებობებზე მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა.

23 „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“; 2020 წ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=7d9ca7cd-cc1b-45ed-9f8f-394b060d9abe (ნანახია: 01.07.2021).

დაბრუნება და რეინტეგრაცია

საქართველოში დაბრუნებაზე და რეინტეგრაციაზე მონაცემების მიღება რამდენიმე წყაროდან ხდება, თუმცა ეს მონაცემები ხშირად ურთიერთგადამფარავია, ფრაგმენტულია და ნაკლებად ასახავს დაბრუნებითი მიგრაციის სრულ სურათს. მოცემულ თავში განხილულია ევროსტატის, შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს), ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შრომის სამინისტრო) და IOM-ის მონაცემები. ყველა მათგანი აღრიცხავს საზღვარგარეთ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მყოფი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების შემთხვევებს.

დაბრუნებითი მიგრაცია

2016-2020 წლებში ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში სულ 51,800 საქართველოს მოქალაქის მიმართ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება ქვეყნის დატოვების თაობაზე. პირველი ოთხი წლის განმავლობაში ტენდენცია გამოკვეთილად მზარდი იყო და 2019 წლისთვის თითქმის გასამმაგდა ასეთი გადაწყვეტილებების რაოდენობა. 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს ეს მაჩვენებელი მცირედით, დაახლოებით 27%-ით იკლებს, თუმცა, 2018 წელთან შედარებით, მაინც 24%-იანი ზრდაა. აღნიშნული, სავარაუდოდ, დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან და მის გავლენასთან ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნების დაბრუნების პოლიტიკასა და პროცესებზე.[24]

საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება ქვეყნის დატოვების თაობაზე



წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია:: 13.07.2021)

საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებების მიმღებ ქვეყნებს შორის ლიდერობენ: საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, შვედეთი და პოლონეთი. ქვეყნების მიხედვით მაჩვენებელი 2016-2019 წლებში, ძირითადად, მზარდია (გამონაკლისია მხოლოდ გერმანია და ბელგია). 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს ევროკავშირის/შენგენის ყველა წევრ ქვეყანაში შემცირებულია საქართველოს მოქალაქეების მიმართ გამოტანილი ასეთი გადაწყვეტილებების რაოდენობა, გამონაკლისია მხოლოდ კვიპროსი, სადაც ეს მაჩვენებელი

24 „INFORM N5 – Impact of COVID-19 Pandemic on Voluntary and Forced Return Procedures and Return Policy Responses"; 2021, EMN https://ec.europa.eu/home-affairs/system/files/2021-01/00_eu_inform5_return_en.pdf (ნანახია: 14.07.2021).

2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა. კვიპროსის მიერ საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების მაღალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ, დაკავშირებულია 2019 წელს ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა გაზრდილ რაოდენობასთან და 2020 წელს წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნების სიაში საქართველოს შეყვანასთან (იხილეთ ქვეთავი „საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნა“, გვ. 59-62).

ქვეყნის დატოვების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა, ევროკავშირის/შენგენის წევრი ათი ძირითადი ქვეყნის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
საფრანგეთი	1,255	1,280	2,015	7,195	4,565	16,310
გერმანია	1,350	2,280	2,285	1,900	1,800	9,615
საბერძნეთი	830	840	925	1,260	1,245	5,100
შვედეთი	395	745	900	1,200	515	3,755
პოლონეთი	100	120	625	1,430	745	3,020
ავსტრია	245	235	535	625	355	1,995
იტალია	295	350	415	495	395	1,950
ბელგია	310	450	460	395	305	1,920
ნიდერლანდები	220	345	440	505	410	1,920
კვიპროსი	30	80	125	150	770	1,155
სხვა	770	685	1,080	1,460	1,065	5,060
ჯამი	**5,800**	**7,410**	**9,805**	**16,615**	**12,170**	**51,800**

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია:: 13.07.2021)

2016-2019 წლებში ასევე მზარდია საქართველოს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც დაბრუნების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან საქართველოში დაბრუნდნენ. ეს ციფრი განსაკუთრებით მაღალი იყო 2019 წელს (8,990). ქვეყნების მიხედვით, ყველაზე მეტი საქართველოს მოქალაქე 2019 წელს გერმანიიდან და საფრანგეთიდან დაბრუნდა, ხოლო დაბრუნებულთა განსაკუთრებული მატება (2018 წელთან შედარებით) საფრანგეთიდან და პოლონეთიდან ფიქსირდება.

2020 წელს დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა, 2019 წელთან შედარებით, 29%-ით შემ-ცირდა და თითქმის 2018 წლის მონაცემს გაუთანაბრდა. ქვეყნების მიხედვით, 2020 წელს კვლავ გერმანია და საფრანგეთი ლიდერობენ დაბრუნებულთა რაოდენობით, ასევე აღსანიშნავია კვიპროსი, საიდანაც თითქმის 6-ჯერ მეტი საქართველოს მოქალაქე დაბრუნდა, ვიდრე 2019 წელს.

ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა წლების და ათი ძირითადი ქვეყნის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
გერმანია	1,215	1,740	2,240	2,375	1,605	9,175
საფრანგეთი	240	340	600	1,525	1,020	3,725
საბერძნეთი	690	645	660	955	710	3,660
შვედეთი	205	365	540	800	435	2,345
პოლონეთი	55	90	445	1,145	365	2,100
ავსტრია	115	275	535	435	390	1,750
ბელგია	190	365	565	245	165	1,530
ნიდერლანდები	165	270	175	335	495	1,440
კვიპროსი	35	65	110	85	480	775
ესპანეთი	130	115	115	200	95	655
სხვა	365	565	650	890	605	3,075
ჯამი	**3,405**	**4,835**	**6,635**	**8,990**	**6,365**	**30,230**

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია:: 13.07.2021)

2016-2020 წლებში IOM-ის AVR პროგრამით საქართველოში 10,712 მოქალაქე დაბრუნდა[25]. დაბრუნებულთა უმრავლესობა გერმანიიდან, საბერძნეთიდან, ბელგიიდან, ავსტრიიდან და ნიდერლანდებიდანაა.

AVR-ის ფარგლებში საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეების რაოდენობა დაბრუნების ქვეყნებისა და წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი
გერმანია	810	1,103	1,072	1,063	522	4,570
საბერძნეთი	550	553	575	761	529	2,968
ბელგია	122	279	385	98	98	982
ავსტრია	77	190	295	190	51	803
ნიდერლანდები	75	49	46	130	78	378
შვეიცარია	19	36	94	99	65	313
პოლონეთი	9	2	92	140	33	276
ფინეთი	17	28	32	28	21	126
ლუქსემბურგი	5	4	39	28	0	76
ირლანდია	2	5	13	18	11	49
სხვა	16	17	39	43	56	171
საერთო ჯამი	**1,702**	**2,266**	**2,682**	**2,598**	**1,464**	**10,712**

წყარო: IOM

2016-2020 წლებში დაბრუნებულთა ნახევარზე მეტი (58%) მამრობითი სქესისაა, ხოლო უმრავლესობა (84%) - სრულწლოვანი პირია.

25 აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბრუნდებიან საქართველოს ის მოქალაქეები, ვისაც საზღვარგარეთ უარი ეთქვათ თავშესაფრის განცხადების დაკმაყოფილებაზე ან არალეგალური სტატუსით იმყოფებდნენ და ნებაყოფლობით სურთ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება.

COVID-19-ის პანდემიის გამო საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნების ხელშეწყობა

მსოფლიოში COVID-19-ის გლობალური პანდემიის შედეგად შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით და საერთაშორისო მოგზაურობაზე დაწესებული შეზღუდვების გამო, აუცილებელი გახდა უცხოეთში დარჩენილი საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობა.[26]

2020 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 28 ივლისის ჩათვლით სახელმწიფოს დახმარებით საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო გზით სამშობლოში დაბრუნდა 25,198 მოქალაქე.

საქართველოში დაბრუნებული მოქალაქეების რაოდენობა ტრანსპორტირების საშუალების მიხედვით

წყარო: საგარეო საქმეთა სამინისტრო

აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფოს ხელშეწყობით სულ განხორციელდა 116 სპეციალური ჩარტერული ავიარეისი მსოფლიოს 35 ქვეყნიდან. პირველი რეისი შესრულდა ჩინეთიდან. რეისები, ასევე, განხორციელდა იტალიიდან, ირანიდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, ნიდერლანდებიდან, ავსტრიიდან, პოლონეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ისრაელიდან, აშშ-დან და სხვა.

საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნების მიზნით განხორციელებული სპეციალური ჩარტერული ავიარეისების რაოდენობა ძირითადი ქვეყნების მიხედვით

წყარო: საგარეო საქმეთა სამინისტრო

26 „COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში“, ივნისი, 2020 წ., საქართველოს მთავრობა https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf (ნანახია: 16.10.2020).

ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან საქართველოს მოქალაქეთა იძულებითი დაბრუნება, ძირითადად, რეადმისიის შესახებ შეთანხმების ფარგლებში ხორციელდება.[27] 2016-2020 წლებში სულ განხილული იყო 13,234 სარეადმისიო განაცხადი. აქედან, დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 13,011 განაცხადზე (98%). 2016-2018 წლებში განხილული განაცხადების რაოდენობა მზარდია. რეადმისიის განცხადებების გაზრდილი მაჩვენებელი, ერთი მხრივ, შესაძლოა დაკავშირებული იყოს რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებასთან, ხოლო მეორე მხრივ - საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო რეჟიმის ამოქმედებასთან[28].

2019-2020 წლებში განხილული განაცხადების რაოდენობა კლებადია. აღნიშნული კლების მიზეზი, სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემიაა.

რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში განხილულ განაცხადებზე მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა წლების და სტატუსის მიხედვით



წყარო: შსს

2016-2020 წლებში ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან რეადმისიაზე მიღებული განაცხადების დაკმაყოფილების ყოველწლიური კოეფიციენტი საქართველოს შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მესამე ქვეყნებს შორის და ხუთი წლის ჯამური მაჩვენებელი 98%-ს შეადგენს.

2016-2020 წლებში განხილული სარეადმისიო განაცხადების უმრავლესობა შემოსულია გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ნიდერლანდებიდან, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან. წლების მიხედვით ტენდენციები განსხვავებულია ყველა ქვეყანასთან მიმართებით.

27 „საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ შეთანხმება“ 2010 წლის 22 ნოემბერს გაფორმდა და ძალაში 2011 წლის 1 მარტს შევიდა. ევროკავშირის გარდა, რეადმისიის შესახებ ორმხრივი შეთანხმებები საქართველოს გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: დანია, ნორვეგია, შვეიცარია, უკრაინა, ისლანდია, ბელორუსი, მოლდოვა.

28 საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა 2017 წლის 28 მარტს.

რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში განხილული განაცხადების რაოდენობა ძირითადი ქვეყნების და წლების მიხედვით[29]

	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი
გერმანია	800	1,181	2,119	1,479	1,384	6,963
საფრანგეთი	171	186	346	649	487	1,839
ნიდერლანდები	73	180	263	256	117	889
ავსტრია	83	182	227	148	81	721
შვეიცარია	78	83	126	129	101	517
საბერძნეთი	131	101	73	101	86	492
ესპანეთი	96	66	63	81	37	343
შვედეთი	87	82	65	43	30	307
ბელგია	65	61	35	60	45	266
იტალია	45	29	18	79	54	225
სხვა	80	97	155	226	114	675
ჯამი	**1,709**	**2,248**	**3,490**	**3,251**	**2,536**	**13,234**

წყარო: შსს

2016-2020 წლებში ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან რეადმისიის შეთანხმების ფარგლებში განხილული განაცხადების ჯამური რაოდენობის (13,234) 79% მოდის სრულწლოვან პირებზე. აქედან 80% მამრობითი სქესისაა.

დეპორტაცია

2016-2020 წლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 17,601 საქართველოს მოქალაქე იქნა იძულებით დაბრუნებული (დეპორტირებული). დეპორტირებულთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2018 წელს - 4,615 პირი, ხოლო ყველაზე დაბალი - 2020 წელს - 1,841 (შემცირდა 60%-ით). საერთო ჯამში, 2016 წელთან შედარებით, 2020 წელს დეპორტირებულთა საერთო რაოდენობა შემცირებულია 49%-ით.

საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაცია წლების მიხედვით

წყარო: შსს

29 აღნიშნული ინფორმაცია ფარავს ევროკავშირის/შენგენის 27 წევრი ქვეყნის მონაცემებს, გარდა ისლანდიის, ხორვატიის, მალტის და სლოვენიისა. ბრექსიტიდან გამომდინარე, 2020 წლის მონაცემი არ ფარავს გაერთიანებული სამეფოს სტატისტიკას.

2016-2020 წლებში იძულებით დაბრუნებულ (დეპორტირებულ) საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობა ყველაზე მაღალია თურქეთიდან, ისრაელიდან და რუსეთიდან. ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში კი გერმანია და საფრანგეთი ლიდერობენ. აღსანიშნავია, რომ თურქეთიდან დეპორტირებულთა რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება და ყველაზე დაბალ ნიშნულს 2020 წელს აღწევს. ცვალებადი ტენდენციებია რუსეთსა და ისრაელში.

საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაციის შემთხვევების რაოდენობა ძირითადი ქვეყნების და წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი
თურქეთი	2,206	1,870	1,789	483	62	6,410
ისრაელი	269	440	813	739	191	2,452
გერმანია	315	458	532	557	505	2,367
რუსეთი	151	300	256	189	226	1,122
საფრანგეთი	80	167	272	278	144	941
შვედეთი	90	128	102	177	188	685
საბერძნეთი	66	67	58	88	69	348
შვეიცარია	43	83	84	106	67	383
ავსტრია	23	66	166	106	90	451
იტალია	39	82	83	107	38	349
სხვა	328	488	460	556	261	2,093
ჯამი	**3,610**	**4,149**	**4,615**	**3,386**	**1,841**	**17,601**

წყარო: შსს

2016-2020 წლებში დეპორტირებულთა საერთო რაოდენობიდან 73% მამრობითი სქესისაა, ხოლო 98% სრულწლოვანი პირია.

2016-2020 წლებში დეპორტირებულთა რაოდენობა სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო: შსს

რეინტეგრაცია

სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების სარეინტეგრაციო მხარდაჭერა ხორციელდება როგორც სახელმწიფო პროგრამებით, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით.

2016-2020 წლებში სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამაში ჩართვის მიზნით[30] სულ დარეგისტრირდა 2,396 ბენეფიციარი, რომელთაგან პროგრამის პირობები დააკმაყოფილა 1,079-მა პირმა (45%). ყველაზე მეტი (620) ბენეფიციარი დარეგისტრირდა 2020 წელს. ხოლო ყველაზე მეტ (269) ბენეფიციარს დახმარება 2018 წელს გაეწია.

სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამის ფარგლებში გაწეული დახმარება წლების მიხედვით



წყარო: შრომის სამინისტრო

2016-2020 წლებში განხორციელებულ სარეინტეგრაციო პროგრამებში ყველაზე მოთხოვნადი სერვისი იყო სოციალური/საშემოსავლო მიზნით მხარდაჭერის მიღება. დაბრუნებული მიგრანტები ყველაზე ნაკლებად ითხოვენ კომბინირებულ პროექტს - საშემოსავლო პროექტები და დროებითი განთავსებით უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2020 წელს სარეინტეგრაციო პროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი, რომელიც დაბრუნებული მიგრანტი სკოლის მოსწავლეებისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენას ითვალისწინებს, დისტანციური სწავლების ხელშეწყობისთვის.

30 სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამით სარგებლობა შეუძლია საქართველოს მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს (საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვით), რომელიც: 1. საზღვარგარეთ იმყოფებოდა ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდა განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდა თავშესაფრით; 2. სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით.

გაწეული სარეინტეგრაციო დახმარების რაოდენობა ტიპების და წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
სამედიცინო დახმარება	31	47	49	18	24	169
დროებითი განთავსება	1	10	18	12	0	41
სოციალური/საშემოსავლო პროექტები	95	180	145	104	117	641
იურიდიული დახმარება[31]	7	–	–	–	–	7
პროფესიული განვითარება	34	8	2	5	33	82
სამედიცინო დახმარება და საშემოსავლო პროექტები	13	14	53	12	0	92
საშემოსავლო პროექტები და პროფესიული განვითარება/ დასაქმება	10	3	2	9	0	24
საშემოსავლო პროექტები და დროებითი განთავსება	2	0	0	2	0	4
დისტანციური სწავლების მიზნებისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენა	–	–	–	–	19	19
ჯამი	193	262	269	162	193	1,079

წყარო: შრომის სამინისტრო

IOM-ის ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამის (AVRR) ფარგლებში[32] 2016-2020 წლებში სულ განხორციელდა 3,986 სხვადასხვა ტიპის სარეინტეგრაციო დახმარება, რომლითაც ისარგებლა 3,395-მა დაბრუნებულმა (მათ შორის, 2,523 ოჯახი).

მიგრანტების უმრავლესობა, რომლებმაც AVRR-ის პროგრამის ფარგლებში სარეინტეგრაციო დახმარება მიიღეს, საბერძნეთიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, შვეიცარიიდან და ნიდერლანდებიდანაა დაბრუნებული[33].

31 იურიდიული დახმარება მხოლოდ 2016 წლის სარეინტეგრაციო პროგრამის კომპონენტი იყო.

32 პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც უნებართვოდ იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ ან უარი ეთქვათ ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნაზე.

33 IOM.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაბრუნებულ მიგრანტებს ყველაზე ხშირად ბიზნესის დაწყებისთვის გაეწიათ დახმარება. აგრეთვე, ხშირია ფინანსური და მატერიალური დახმარება.[34] ყველაზე ნაკლებად დაბრუნებული მიგრანტები დასაქმების ხელშეწყობით სარგებლობენ[35].

2016-2020 წლებში დაბრუნებული პირებისთვის გაწეული სარეინტეგრაციო დახმარების რაოდენობა და პროცენტული განაწილება ტიპების მიხედვით[36]



წყარო: IOM (AVRR)

34 ფინანსური დახმარება გულისხმობს მიგრანტებისთვის ფულადი თანხის გადაცემას, ხოლო მატერიალური დახმარება მოიცავს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას (მათ შორის, საცხოვრებელი ფართის ქირაობას/გირავნობას) და შესაბამისი საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენას. ფინანსური დახმარებისგან განსხვავებით, მატერიალური დახმარება არ ითვალისწინებს ფულადი თანხის გადაცემას.

35 დასაქმების პროგრამის შემთხვევაში, მიგრანტებს პირველ ეტაპზე უწევთ შესაბამისი ტრენინგების გავლა. შესაბამისად, უპირატესობას ანიჭებენ ბიზნესისთვის მხარდაჭერას, რადგან აღნიშნული სარეინტეგრაციო პროგრამის დახმარებით უფრო სწრაფად ახერხებენ შემოსავლის მიღებას.

36 ტიპების მიხედვით გაწეული დახმარების რაოდენობის ჯამი აღემატება ზოგადად გაწეული დახმარების ჯამს, რადგან ერთმა ბენეფიციარმა შესაძლოა მიიღოს რამდენიმე ტიპის დახმარება.

ფულადი გზავნილები

2016 წელთან შედარებით, 2020 წელს უცხოეთიდან საქართველოში ჩარიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა დაახლოებით 64%-ით გაიზარდა და თითქმის 1.9 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2016-2020 წლებში ყველაზე დიდი მოცულობის ფულადი გზავნილები კვლავ რუსეთიდან შემოვიდა. მიუხედავად ამისა, მისი წილი გზავნილების მთლიან მოცულობაში 2016 წლიდან ყოველწლიურად იკლებს[37] და 2020 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს - 19%-ს აღწევს (2016 წელს ეს მაჩვენებელი 34% იყო). ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალია, საბერძნეთი, გერმანია და ესპანეთი, საიდანაც 2020 წელს ფულადი გზავნილების მთლიანი მოცულობის 1/3 (თითქმის 640 მილიონი აშშ დოლარი) შემოვიდა.

2019 წელთან შედარებით, 2020 წელს ორჯერ მეტი ფულადი გზავნილი შემოვიდა აზერბაიჯანიდან და უკრაინიდან, ხოლო პოლონეთის შემთხვევაში მკვეთრი ზრდა 2018 წლიდან ფიქსირდება. 2016-2020 წლებში სტაბილურად მზარდია აშშ-დან და კანადიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები. ხოლო 2016-2019 წლებში ისრაელიდან გზავნილების მზარდი ტენდენცია 2020 წელს ოდნავ შემცირდა.

საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლების და ძირითადი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
რუსეთი	$ 394,603	$ 455,439	$ 457,184	$ 428,887	$ 363,915	$ 2,100,028
იტალია	$ 123,022	$ 148,708	$ 192,887	$ 239,173	$ 297,615	$ 1,001,405
საბერძნეთი	$ 124,565	$ 141,967	$ 170,886	$ 192,545	$ 219,141	$ 849,104
აშშ	$ 127,662	$ 142,079	$ 159,558	$ 178,412	$ 218,360	$ 826,071
ისრაელი	$ 60,733	$ 119,155	$ 151,426	$ 162,548	$ 156,807	$ 650,669
თურქეთი	$ 87,072	$ 109,606	$ 105,881	$ 94,846	$ 106,737	$ 504,142
გერმანია	$ 29,853	$ 34,061	$ 41,461	$ 49,806	$ 74,154	$ 229,335
უკრაინა	$ 21,043	$ 26,506	$ 28,788	$ 42,921	$ 87,534	$ 206,792
ესპანეთი	$ 30,876	$ 36,348	$ 41,579	$ 47,303	$ 47,923	$ 204,029
აზერბაიჯანი	$ 14,756	$ 15,682	$ 20,450	$ 22,169	$ 53,883	$ 126,940
საფრანგეთი	$ 11,946	$ 14,562	$ 19,438	$ 26,371	$ 28,146	$ 100,463
ყაზახეთი	$ 11,839	$ 13,708	$ 16,098	$ 26,631	$ 19,660	$ 87,936
გაერთიანებული სამეფო	$ 17,382	$ 15,926	$ 16,059	$ 16,890	$ 18,749	$ 85,006
პოლონეთი	$ 1,390	$ 3,282	$ 18,468	$ 31,491	$ 27,633	$ 82,264
კანადა	$ 9,253	$ 10,942	$ 13,132	$ 14,212	$ 17,869	$ 65,408
სხვა	$ 87,389	$ 99,282	$ 126,368	$ 159,111	$ 147,859	$ 620,009
ჯამი	**1,153,384**	**1,387,253**	**1,579,663**	**1,733,316**	**1,885,985**	**7,739,601**

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

37 „წლიური ანგარიში"; 2020 წ., საქართველოს ეროვნული ბანკი https://nbg.gov.ge/fm/პუბლიკაციები/ანგარიშები/წლიური_ანგარიში/2020/annual-report-2020-geo.pdf?v=digo4 (ნანახია: 18.10.2021).

2016 წლიდან მოყოლებული ზრდადია ფულადი გზავნილების პროცენტული წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ), რომელმაც 2020 წელს ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია.

ფულადი გზავნილების წილი მშპ-ში წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქსტატი

პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) ანგარიშის მიხედვით, 2020 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს შორის საქართველო და მოლდოვა ფულად გზავნილებზე ყველაზე მეტად დამოკიდებული ქვეყნები გახდნენ[38].

უცხოეთიდან ფულადი გზავნილების შემოდინება ქვეყანაში უფრო სტაბილური პროცესია, ვიდრე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება. 2016-2017 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარბებდა ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ყოველწლიურ ოდენობას. თუმცა 2018 წლიდან სურათი შეიცვალა და 2020 წლისთვის საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილები თითქმის სამჯერ აღემატება ამავე წელს განხორციელებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

ფულადი გზავნილებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში წლების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქსტატი

38 "Remittance inflows in Georgia during COVID-19 crisis, Economic Outlook and Indicators"; PMCG Research; Issue N127; 22.06.2021 https://pmcresearch.org/publications_file/ed1c60d1ddab03259.pdf (ნანახია: 27.07.2021).

უცხოელი მეწარმეები

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის გამარტივებისა და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს გათვალისწინებით, უკანასკნელ წლებში სტაბილურად იზრდებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა. ზრდის ტენდენცია 2019 წლიდან შეიცვალა და 2020 წლისთვის მნიშვნელოვნად შემცირდა ეს მაჩვენებელი, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან და მისგან გამოწვეულ შეზღუდვებთან.

საქართველოში რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების უცხო ქვეყნის მოქალაქე დამფუძნებელთა რაოდენობა



წყარო: საჯარო რეესტრი

2020 წლისთვის მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ, ასევე ერთობლივად საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების რეგისტრაციის შემთხვევები. ამ შემთხვევაშიც, მიზეზი, სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემია და მისგან გამოწვეული შეზღუდვებია.

სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა საქართველოში, (1) რომელთა ერთ-ერთი დამფუძნებელი მაინც უცხო ქვეყნის მოქალაქეა და (2) რომელთა დამფუძნებლებიც მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირები არიან



წყარო: საჯარო რეესტრი

სამეწარმეო სუბიექტების უმრავლესობა (63%), რომელიც 2016-2020 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეების მიერ დაფუძნდა, რეგისტრირებულია საქართველოს დედაქალაქში.

2016-2020 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების[39] მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით



წყარო: საჯარო რეესტრი

უძრავი ქონება

2019 წლამდე მზარდი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები. 2020 წელს კი ეს მაჩვენებელი 2-ჯერ შემცირდა, რაც, სავარაუდოდ, COVID-19-ის პანდემიასთან და მისგან გამოწვეულ შეზღუდვებთან არის დაკავშირებული. უცხო ქვეყნის მოქალაქეები[40] საკუთრების უფლებით, ძირითადად, ბინებს ირეგისტრირებენ.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ უძრავი ქონების საკუთრების უფლებით რეგისტრაციის შემთხვევები წლებისა და ქონების ტიპის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020
ბინა	3,658	5,630	11,037	11,465	4,134
სასოფლო-სამურნეო მიწა	4,565	1,909	246	3,202	2,646
არასასოფლო-სამეურნეო მიწა	990	892	1,330	1,477	1,063
ხაზოვანი	0	0	2	0	5
ჯამი	**9,213**	**8,431**	**12,615**	**16,144**	**7,848**

წყარო: საჯარო რეესტრი

39 დათვლილია ის სამეწარმეო სუბიექტები, რომელთა ერთ-ერთი ან ყველა დამფუძნებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

40 აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, თურქეთი, ირანი, ისრაელი, რუსეთი, სომხეთი, უკრაინა და სხვა.

იმიგრაციის ეკონომიკური გავლენა

2016-2020 წლებში მზარდია ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, რაშიც მნიშვნელოვანი წილი უცხოელ ფიზიკურ/იურიდიულ პირთა მფლობელობაში არსებულ კომპანიებსაც შეაქვთ.

ბიზნესსექტორის ბრუნვა წლების და საკუთრების ფორმების მიხედვით (მილიონი ლარი)

	2016	2017	2018	2019	2020
კერძო - ადგილობრივი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები	₾ 41,550.9	₾ 45,731.2	₾ 54,371.6	₾ 71,973.4	₾ 76,161.4
კერძო - უცხოელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირები	₾ 20,370.0	₾ 23,605.5	₾ 29,755.9	₾ 34,210.3	₾ 35,485.5
სახელმწიფო	₾ 2,160.9	₾ 2,403.4	₾ 2,497.6	₾ 2,840.6	₾ 2,701.6

წყარო: საქსტატი

2016-2019 წლებში გაიზარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის მოცულობა, რომელმაც 2020 წელს მცირედით იკლო. საშემოსავლო გადასახადთან შედარებით მცირეა, თუმცა ასევე 2019 წლამდე ზრდადია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ გადახდილი ქონების გადასახადის ოდენობა. რაც შეეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ გადახდილ ქონების გადასახადს მიწაზე (სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების), ტენდენცია წლიდან წლამდე განსხვავებულია: ფიქსირდება როგორც მკვეთრი მატების (2017 წელი), ასევე მკვეთრი კლების ტენდენცია (2020 წელი).

უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირების (მათ შორის, ინდმეწარმე) მიერ გადახდილი საშემოსავლო და ქონების გადასახადი (ათასი ლარი)

	2016	2017	2018	2019	2020
საშემოსავლო გადასახადი	₾ 6,547.8	₾ 6,513.1	₾ 7,196.6	₾ 7,699.6	₾ 6,165.4
ქონების გადასახადი მიწაზე	₾ 393.9	₾ 2,938.2	₾ 1,151.1	₾ 2,181.5	₾ 933.9
ქონების გადასახადი	₾ 539.8	₾ 688.3	₾ 689.1	₾ 828.6	₾ 799.3

წყარო: შემოსავლების სამსახური

წლიდან წლამდე მზარდია იმ გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების[41] საერთო რაოდენობა, რომელთა დამფუძნებელი მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეა.

41 ტერმინი „სამეწარმეო სუბიექტები“ აერთიანებს შემდეგ სამართლებრივ ფორმებს: 1. კერძო სამართლის იურიდიული პირები; 2. არა-სამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი; 3. ამხანაგობა; 4. უცხოური საწარმო; 5. უცხოური ორგანიზაცია.

გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა, რომელთა დამფუძნებელი მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეა



წყარო: შემოსავლების სამსახური

2016-2019 წლებში მზარდია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით შეტანილი თანხის მოცულობაც. 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი მცირედით იკლებს, თუმცა 2018 წლის მაჩვენებელს მაინც აღემატება.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დაფუძნებულ სუბიექტთა მიერ გადახდილი გადასახადები წლების მიხედვით (ათასი ლარი)



წყარო: შემოსავლების სამსახური

საერთაშორისო დაცვა

საერთაშორისო დაცვა საქართველოში

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა წლების მიხედვით განსხვავებულია. 2016-2018 წლებში მონაცემი თითქმის უცვლელია, ხოლო 2019 წელს, 2016-2018 წლებთან შედარებით, თითქმის 25%-იანი ზრდა ფიქსირდება. 2020 წელს განაცხადების რაოდენობა იკლებს (2019 წელთან შედარებით თითქმის 29%-ით) და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს. ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, COVID-19-ის პანდემია და მისგან გამოწვეული საერთაშორისო მობილობის შემცირება და გადაადგილების შეზღუდვა იყოს.

თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: შსს

ბოლო წლებში ასევე გაიზარდა თავშესაფრის მაძიებელთა წარმოშობის ქვეყნების რაოდენობაც - თუ 2016 წელს საქართველოში თავშესაფარი მოითხოვა 41 ქვეყნის მოქალაქემ, 2019 წელს ამ ქვეყნების რაოდენობა 51-მდე გაიზარდა.

თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა წლების და მოქალაქეობის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
ირანი	63	90	225	470	267	1,115
ერაყი	259	93	75	59	45	531
ეგვიპტე	73	105	70	113	24	385
თურქეთი	34	67	78	64	94	337
ინდოეთი	73	38	35	101	52	299
რუსეთი	34	49	35	79	64	261
ბანგლადეში	69	32	48	30	36	215
ნიგერია	82	23	16	35	24	180
უკრაინა	54	20	17	6	12	109
სომალი	42	31	18	12	2	105
სხვა	164	403	342	268	244	1,421
ჯამი	**947**	**951**	**959**	**1,237**	**864**	**4,958**

წყარო: შსს

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა უმრავლესობა კაცია (71%), ხოლო ყველაზე დიდი ნაწილი (45%) 26-40 წლის ასაკობრივ კატეგორიას განეკუთვნება.

თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკა სქესის და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



წყარო: შსს

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მზარდია თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებებზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების წილი წლიურად მიღებული გადაწყვეტილებების მთლიან რაოდენობაში, რაც, ძირითადად, გამოწვეულია საერთაშორისო დაცვაზე დაუსაბუთებელი განცხადებების რაოდენობის ზრდით.

თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებებზე დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით



წყარო: შსს

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების უმეტესობა ერაყის და უკრაინის მოქალაქეები არიან.

2016-2020 წლებში საერთაშორისო დაცვის მინიჭების რაოდენობრივი/პროცენტული გადანაწილება მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: შსს

საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ნახევარზე მეტი მამრობითი სქესისაა (53%), ხოლო 31% - 18 წლამდე ასაკის პირი.

2016-2020 წლებში საერთაშორისო დაცვის მინიჭების რაოდენობრივი/პროცენტული გადანაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით



წყარო: შსს

საქართველოში ბოლო ხუთი (2016-2020) წლის განმავლობაში ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსი შეუწყდა[42] 542 პირს, მათი უმრავლესობა (54%) ერაყის მოქალაქეა.

2020 წლის ბოლოსთვის საქართველოში 1,188 ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი იყო რეგისტრირებული.

42 ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის შეწყვეტის, გაუქმების ან ჩამორთმევის საფუძვლები და პროცედურები წარმოდგენილია „საერთაშორისო დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის VI თავში: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3452780?publication=5 (ნანახია: 18.10.2021).

საერთაშორისო დაცვის მქონე პირების რაოდენობა ყოველი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



წყარო: შსს

საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნა

2016-2019 წლებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნის მზარდი ტენდენცია ფიქსირდება, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების[43] შემდეგ. 2020 წელს თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ მკვეთრად იკლო და თითქმის 2016 წლის მაჩვენებელს გაუტოლდა, რაც, სავარაუდოდ, დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან და მისგან გამოწვეული საერთაშორისო მობილობის შემცირებასა და გადაადგილების შეზღუდვებთან[44].

2016-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეები თავშესაფარს, ძირითადად, საფრანგეთსა და გერმანიაში ითხოვდნენ. სხვა ქვეყნების მიხედვით ტენდენცია განსხვავებულია. რიგ ქვეყნებში განაცხადების რაოდენობამ ჯერ კიდევ პანდემიის დაწყებამდე, 2019 წლიდან დაიწყო კლება, 2018 წელთან შედარებით, მაგ.: შვეიცარია (31%), ავსტრია (28,5%), იტალია (16,3%), შვედეთი (16%), გერმანია (6,9%). განსაკუთრებული კლება ფიქსირდება ლუქსემბურგში, სადაც 2018 წლის მონაცემებით საქართველოს 140 მოქალაქე ითხოვდა თავშესაფარს, 2019 წელს ეს მოთხოვნა 35-მდე (75%-ით) შემცირდა. 2018 წელთან შედარებით, 2019 წელს თავშესაფრის მოთხოვნის განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა კვიპროსში (310%), თუმცა 2020 წელს კვლავ მნიშვნელოვნად იკლო. ეს, ერთი მხრივ, შესაძლოა დაკავშირებული იყოს COVID-19-ის პანდემიასთან, ხოლო მეორე მხრივ, 2019 წელს კვიპროსის მიერ წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნების სიაში საქართველოს შეყვანასთან.

43 2017 წლის 28 მარტი.

44 2020 წლის განაცხადების მესამედზე მეტი მოდის იანვარ-თებერვალზე - „თავშესაფრის ტენდენციების 2020 წლის წინასწარი მიმოხილვა"; EASO https://www.easo.europa.eu/asylum-trends-2020-preliminary-overview (ნანახია: 15.02.2020).

საქართველოს მოქალაქეთა თავშესაფრის განცხადებები წლებისა და ძირითადი დანიშნულების ქვეყნების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი
საფრანგეთი	1,165	2,100	7,770	8,825	2,595	22,455
გერმანია	3,770	3,460	4,160	3,875	2,520	17,785
საბერძნეთი	690	1,105	1,460	1,605	875	5,735
შვედეთი	720	1,100	1,155	970	400	4,345
ესპანეთი	70	350	1,020	1,810	555	3,805
იტალია	195	540	1,165	975	490	3,365
შვეიცარია	465	670	875	600	245	2,855
კვიპროსი	20	85	395	1,620	325	2,445
ნიდერლანდები	595	505	375	380	175	2,030
ავსტრია	350	455	455	340	115	1,715
სხვა	795	1,765	2,200	2,040	615	7,415
ჯამი	**8,835**	**12,135**	**21,030**	**23,040**	**8,910**	**73,950**

წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 24.05.2021)

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფარს, ძირითადად, მამრობითი სქესის საქართველოს მოქალაქეები ითხოვენ. 2016-2020 წლების ჯამური მონაცემებით თავშესაფრის მაძიებლებს შორის 68% მამრობითი სქესის იყო.

თავშესაფრის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი წლების და სქესის მიხედვით



წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 24.05.2021)

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელთა შორის, ძირითადად (78%), სრულწლოვანი (18 წლის ზევით) საქართველოს მოქალაქეები არიან.

თავშესაფრის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი წლების და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 24.05.2021)

2016-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნაზე განცხადებების უმრავლესობა უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული და უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. აღსანიშნავია, რომ თავშესაფრის განაცხადების აღიარების კოეფიციენტი ბოლო წლებში საშუალოდ 5%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია.

საქართველოს მოქალაქეთა თავშესაფრის მოთხოვნაზე გამოტანილი დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი წლების მიხედვით



წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 24.05.2021)

2016-2020 წლებში ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მოთხოვნაზე დადებითი გადაწვეტილებების უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეებზე გამოტანილ იქნა საფრანგეთში, იტალიასა და გერმანიაში.

2016-2020 წლებში თავშესაფრის მოთხოვნაზე გამოტანილი დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობრივი/პროცენტული მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით



წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 24.05.2021)

საქართველოს მოქალაქეებს შორის, რომელთაც 2016-2020 წლებში ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნების მიერ მიენიჭათ საერთაშორისო დაცვის სტატუსი, უმრავლესობა იყო ქალი (60%), ხოლო ასაკობრივ ჯგუფებში უმცირესობას განეკუთვნებიან 60 წლის ზემოთ მყოფი პირები. სხვა ასაკობრივ კატეგორიებზე პროცენტული მაჩვენებელი თითქმის თანაბრად ნაწილდება.

საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე საქართველოს მოქალაქეების რაოდენობრივი/პროცენტული მაჩვენებელი სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო: ევროსტატი (მონაცემები ნანახია: 17.06.2021)

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნებიდან, რომლებსაც გააჩნიათ უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნების სია, 17-მა სახელმწიფომ საქართველო წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნად[45] აღიარა და შესაბამის სიაში შეიყვანა[46]. შესაბამისად, ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეთა მიერ თავშესაფრის მოთხოვნაზე გამოტანილი დადებითი გადაწყვეტილებების მცირე რაოდენობა, სავარაუდოდ, ამ ფაქტორთანაა დაკავშირებული.

ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნები, რომლებმაც საქართველო წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნად აღიარეს

2005	2013	2016	2017	2018	2019	2021
ბულგარეთი	საფრანგეთი	ავსტრია	ისლანდია	ირლანდია	ჩეხეთი	შვედეთი
		ბელგია	ლუქსემბურგი	ესტონეთი	კვიპროსი	
		ნიდერლანდები		დანია	სლოვენია	
					შვეიცარია	
					ლიხტენშტაინი	
					საბერძნეთი	

წყარო: მსსკ-ს ვებგვერდი[47]

მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიას არ აქვს წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნების სია, იგი იყენებს ე.წ. „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნების კონცეფციას", რის საფუძველზეც ეს ქვეყანა საქართველოს ფაქტობრივად უსაფრთხო ქვეყნად მიიჩნევს.

45 ქვეყანა, რომელშიც, არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შესაბამისად, დემოკრატიული სისტემის ფარგლებში კანონმდებლობის აღსრულება და ზოგადი პოლიტიკური ვითარება ცხადყოფს, რომ ადგილი არ აქვს საზოგადო და თანმიმდევრული ხასიათის დევნას, 2011/95/EU მაკვალიფიცირებელი დირექტივის მე-9 მუხლში მოცემული განმარტების შესაბამისად, ისევე როგორც ადგილი არ აქვს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას და არ არსებობს საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეული განურჩეველი ძალადობის საფრთხე. „მიგრაციის და თავშესაფრის ლექსიკონი"; EMN; ვერსია 7.0: https://ec.europa.eu/home-affairs/what-we-do/networks/european_migration_network/glossary_search/safe-country-origin_en (ნანახია:; 13.06.2021).

46 ევროკავშირის/შენგენის წევრი ცალკეული ქვეყნები ყოველწლიურად ახდენენ „წარმოშობის უსაფრთხო ქვეყნების" სიის გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში (მაგ.: თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდა ან/და კონკრეტულ ქვეყანაში არსებული უსაფრთხო გარემოს ცვლილება/ცვლილებები) შეაქვთ სიაში.

47 ინფორმაცია წარმოდგენილია 2021 წლის 25 მაისის მდგომარეობით: https://migration.commission.ge/index.php?article_id=229&clang=0 (ნანახია: 17.06.2021).

ინტეგრაცია

ოჯახის გაერთიანება

ოჯახის გაერთიანების მიზნით გაცემული ბინადრობის ნებართვების რაოდენობრივი და პროცენტული განაწილება წლების და მოქალაქეობის მიხედვით

2016			2017			2018			2019			2020		
ირანი	322	19%	ირანი	762	35%	ირანი	907	48%	ირანი	856	49%	ირანი	381	26%
თურქეთი	280	17%	თურქეთი	433	20%	თურქეთი	219	12%	რუსეთი	171	10%	რუსეთი	260	18%
ინდოეთი	209	12%	ინდოეთი	246	11%	რუსეთი	137	7%	თურქეთი	149	8%	უკრაინა	160	11%
რუსეთი	150	9%	რუსეთი	131	6%	ინდოეთი	128	7%	ინდოეთი	124	7%	თურქეთი	132	9%
უკრაინა	134	8%	აზერბაიჯანი	95	4%	აზერბაიჯანი	86	5%	აზერბაიჯანი	80	5%	ინდოეთი	102	7%
სხვა	599	35%	სხვა	523	24%	სხვა	400	21%	სხვა	362	21%	სხვა	414	29%

წყარო: სსგს

ზოგადი განათლება

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელი მოსწავლეების მთლიანი რაოდენობა სასწავლო წლების მიხედვით მზარდია. 2020-2021 სასწავლო წელს 7,283 უცხოელი მოსწავლე სწავლობს საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული მაჩვენებელი, სავარაუდოდ, მომდევნო წლებშიც მზარდი იქნება, რადგან უცხოელ მოსწავლეთა არსებულ რაოდენობას ყოველწლიურად ემატება ახალი ჩარიცხული მოსწავლეების რაოდენობა.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოელ მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობა სასწავლო წლების მიხედვით



წყარო: განათლების სამინისტრო

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველაზე მეტი უცხოელი მოსწავლე 2018 წელს ჩაირიცხა, რის შემდეგაც ტენდენცია იკლებს და COVID-19-ის პანდემიის შედეგად შემცირებული სხვა მიგრაციული ტენდენციების მსგავსად, ყველაზე დაბალ ნიშნულს 2020 წელს აღწევს.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ მოსწავლეთა რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: განათლების სამინისტრო

2016-2018 წლებში მზარდი იყო რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის და ყაზახეთის მოქალაქე მოსწავ-ლეების ჩარიცხვის მაჩვენებელი.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ უცხოელ მოსწავლეთა რაოდენობა მოქალაქეობის და წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	სულ
რუსეთი	427	489	670	578	356	2,520
ირანი	27	181	466	267	93	1,034
აზერბაიჯანი	185	175	220	189	136	905
უკრაინა	156	134	188	161	120	759
თურქეთი	164	117	110	101	73	565
სომხეთი	80	106	130	87	60	463
ყაზახეთი	45	47	80	63	58	293
აშშ	36	28	49	57	47	217
გერმანია	25	13	36	31	22	127
ბელარუსი	9	16	24	44	16	109
სხვა	216	264	427	466	281	1,654

წყარო: განათლების სამინისტრო

2016-2020 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეების ნახევარზე მეტი (56%) ჩარიცხულია საჯარო სკოლაში. აღსანიშნავია, რომ თუ 2016-2017 წლებში უცხოელი მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა საჯარო სკოლებში იყო ჩარიცხული, ეს სურათი 2018 წლიდან შეიცვალა და კერძო სკოლებში ჩარიცხული უცხოელი მოსწავლეების რაოდენობამ 2019 და 2020 წლებში გადაასწრო საჯარო სკოლებში ჩარიცხულთა რაოდენობას.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხოელი მოსწავლეების რაოდენობა წლების და სკოლის ტიპის მიხედვით



წყარო: განათლების სამინისტრო

პროფესიული განათლება

საქართველოში მცხოვრები უცხოელების საკმაოდ მცირე რაოდენობა ეუფლება პროფესიულ განათლებას. ამის მიზეზი, შესაძლოა, ზოგადად პროფესიული განათლებისადმი ინტერესის არქონა (მათი უმრავლესობა არის უმაღლესი განათლების და პროფესიული უნარების მქონე) და ქვეყანაში უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობაა[48]. 2017 წელთან შედარებით, 2020 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე უცხოელთა ჩარიცხვის მონაცემი განახევრებულია[49]. 2016-2020 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა 52% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია.

48 „Study on the Socio-Economic Situation of Refugees, Humanitarian Status Holders and Asylum-Seekers in Georgia"; 2016, UNHCR https://www.refworld.org/docid/575519054.html (ნანახია: 20.08.2021).

49 აღსანიშნავია, რომ 2017 წელს პროფესიულ პროგრამებზე მთლიანად ჩაირიცხა 16,554 სტუდენტი (უცხოელების ჩათვლით), 2020 წლის მონაცემებით კი, სულ 9,528 სტუდენტი იყო ჩარიცხული, რაც ასევე თითქმის განახევრებული მაჩვენებელია.

საქართველოში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა სქესის და წლების მიხედვით



წყარო: განათლების სამინისტრო

იმიგრანტების მსგავსად, აგრეთვე მცირეა 2016-2020 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობა, რაც ასევე, სავარაუდოდ, ზემოაღნიშნულ მიზეზებს უკავშირდება.

2016-2020 წლებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირები მოქალაქეობის მიხედვით

წყარო: განათლების სამინისტრო

საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირების ნახევარზე მეტი (54%) სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათ-ლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა.

სოციალური დახმარება

2016-2019 წლებში სტაბილურია იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც სახელმწიფოსგან სოციალურ დახმარებას იღებენ.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებზეც გაიცა სოციალური დახმარება[50] წლების და ბინადრობის ნებართვის სტატუსის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020
მუდმივი ბინადრობის მქონე	293	314	318	368	457
დროებითი ბინადრობის მქონე	92	80	6	2	3
ჯამი	385	394	324	370	460

წყარო: შრომის სამინისტრო

სოციალურ დახმარებას ასევე იღებენ საქართველოში საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირები, ძირითადად, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები სარგებლობენ.

საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირები, რომლებზეც გაიცა სოციალური დახმარება[51] სტატუსის ტიპის და წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020
ლტოლვილის სტატუსის მქონე	67	63	38	37	50
ჰუმანიტარული სტატუსის მქონე	34	23	4	9	21
ჯამი	101	86	42	46	71

წყარო: შრომის სამინისტრო

2020 წელს საქართველოს მთავრობის „COVID-19-თან ბრძოლის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში“[52], საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმაც მიიღეს 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ერთჯერადად გაცემული სოციალური დახმარება.

50 სოციალური დახმარება აერთიანებს საარსებო შემწეობას და სოციალურ პაკეტს.
51 აღნიშნული დახმარება მოიცავს მხოლოდ საარსებო შემწეობას.
52 https://stopcov.ge/ka/Gegma (ნანახია: 7.07.2021).

არალეგალური იმიგრაცია

სავიზო რეჟიმის დარღვევა

გააქტიურებული მიგრაციული პროცესების პარალელურად 2016-2019 წლებში გაიზარდა უცხოელების მიერ საქართველოს სავიზო რეჟიმის დარღვევის შემთხვევებიც. 2016 წელთან შედარებით, 2019 წელს თითქმის გაორმაგებულია ასეთი შემთხვევების რაოდენობა. ხოლო 2020 წელს მნიშვნელოვნად იკლო, 2016 წელთან შედარებით - 30%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით - 61%-ით. აღნიშნული კლება, სავარაუდოდ, დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან და მისგან გამოწვეულ საერთაშორისო მობილობის შემცირებასა და გადაადგილების შეზღუდვებთან.

სავიზო რეჟიმის დარღვევის შემთხვევების რაოდენობა წლების მიხედვით



წყარო: შსს

საქართველოს სავიზო რეჟიმს, ძირითადად, ირანის, ჩინეთისა და რუსეთის მოქალაქეები არღვევდნენ. 2016-2019 წლებში ქვეყნების მიხედვით ტენდენცია განსხვავებულია: მეზობელი ქვეყნების (რუსეთი, სომხეთი) მოქალაქეების მიერ სავიზო რეჟიმის დარღვევის ფაქტები წლიდან წლამდე იკლებს, ხოლო ირანისა და ჩინეთის მოქალაქეების შემთხვევაში იზრდება.

სავიზო რეჟიმის დარღვევის შემთხვევების რაოდენობა და პროცენტული წილი, მოქალაქეობის და წლების მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი	%
ირანი	310	735	1,509	1,858	480	4,892	28%
ჩინეთი	521	411	715	1,275	471	3,393	19%
რუსეთი	399	369	307	290	129	1,494	9%
ინდოეთი	269	142	264	171	73	919	5%
სომხეთი	286	230	193	155	48	912	5%
სხვა	1,176	1,190	1,256	1,523	845	5,990	34%

წყარო: შსს

სავიზო რეჟიმის დამრღვევთა უმრავლესობა (64%) მამრობითი სქესისაა, ხოლო ასაკობრივ ჯგუფებში ყველაზე მეტი(47%) 26-40 წლამდე ასაკის პირებია.

2016-2020 წლებში სავიზო რეჟიმის დამრღვევთა სტატისტიკა სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



წყარო: შსს

საქართველოდან გაძევება

2016-2019 წლებში მზარდია როგორც უცხოელთა მიმართ გამოტანილი გაძევების გადაწყვეტილებების რაოდენობა, ასევე ამ გადაწყვეტილებების აღსრულების დინამიკა.

უცხოელთა გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების და აღსრულებული გადაწყვეტილებების რაოდენობა

	2016	2017	2018	2019	2020
გაძევების გადაწყვეტილება	71	79	110	126	63
გაძევების აღსრულება	74	78	100	104	49

წყარო: შსს

2016-2020 წლებში საქართველოდან გაძევებულ უცხოელთა 36%-ს აზერბაიჯანის, თურქეთის და და ირანის მოქალაქეები წარმოადგენენ. ტენდენციები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია.

საქართველოდან გაძევებულ უცხოელთა სტატისტიკა მოქალაქეობის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020	ჯამი
აზერბაიჯანი	6	7	9	32	7	61
თურქეთი	8	9	12	11	6	46
ირანი	4	3	10	11	9	37
სომხეთი	7	9	2	3	2	23
რუსეთი	7	5	6	2	2	22
ინდოეთი	2	4	6	8	2	22
ნიგერია	2	6	4	7	3	22
ეგვიპტე	1	6	7	5	0	19
ბანგლადეში	0	0	13	1	3	17
შრი-ლანკა	6	2	8	0	0	16
სხვა	31	27	23	24	15	120

წყარო: შსს

2016-2020 წლებში, გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, უცხოელთა 91%-მა ნებაყოფლობით დატოვა საქართველოს ტერიტორია.

გაძევების გადაწყვეტილებების საფუძველზე 2016-2020 წლებში დაბრუნებულ უცხოელთა რაოდენობა, დაბრუნების ფორმების მიხედვით



წყარო: შსს

2016-2020 წლებში საქართველოდან გაძევებულ უცხოელთა უმრავლესობა (85%) მამრობითი სქესისაა, ხოლო გაძევებულთა 59% 26-40 წლის ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნება.

2016-2020 წლებში გაძევებულ უცხოელთა სტატისტიკა სქესისა და ასაკის მიხედვით



წყარო: შსს

საზღვრის მართვა

2016-2019 წლებში პირების მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის დინამიკა მზარდია. აღნიშნული ტენდენცია, ძირითადად, დაკავშირებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში შემოსვლასთან და გასვლასთან. საქართველოს მოქალაქეების მიერ საზღვრის კვეთის მონაცემები 2017 წლიდან 2019 წლამდე მცირედით იკლებს. ხოლო ყველაზე დაბალ ნიშნულს 2020 წელს აღწევს. ზოგადად, 2020 წელს დაახლოებით 5-ჯერ შემცირდა როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საზღვრის კვეთის სტატისტიკა, რაც დაკავშირებულია COVID-19-ის პანდემიასთან, მისგან გამოწვეულ გადაადგილების შეზღუდვებთან და საერთაშორისო მობილობის შემცირებასთან.

პირები საქართველოში შემოდიან და საქართველოდან გადიან საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი სგპ-ის მეშვეობით, სადაც ხორციელდება სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლი[53]. ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 22 სგპ[54], საიდანაც 3 საჰაერო მიმოსვლისთვისაა და განთავსებულია თბილისის, ქუთაისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში. საზღვაო მიმოსვლისთვის 4 ღია ნავსადგური ოპერირებს ბათუმში, ყულევში, სუფსასა და ფოთში. ხოლო დანარჩენი 15 სგპ სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლისთვის განთავსებულია სახმელეთო საზღვარზე.

მგზავრთა ნაკადის მიხედვით, 2016-2020 წლებში ყველაზე დატვირთული სგპ-ებია საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან არსებული საავტომობილო პუნქტები (სარფი - თურქეთი, წითელი ხიდი - აზერბაიჯანი, სადახლო - სომხეთი, ყაზბეგი/დარიალი - რუსეთი) და თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.

სგპ-ზე მგზავრთა ნაკადების გათვალისწინებით, 2016-2020 წლებში საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ყველაზე ხშირად მეზობელი სახელმწიფოების მოქალაქეებმა გადმოკვეთეს.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარს, ძირითადად (64%), მამრობითი სქესის წარმომადგენლები კვეთენ, ხოლო საზღვარზე გადაადგილებულ პირთა 40% 41-65 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნება.

2016-2020 წლებში სახელმწიფო საზღვრის კვეთის სტატისტიკა სქესის და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



წყარო: შსს

53 https://migration.commission.ge/index.php?article_id=152&clang=0 (ნანახია: 18.10.2021).

54 საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის ოკუპირებული აფხაზეთისა და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მონაკვეთზე არსებულ სგპ-ებს ამჟამად ვერ აკონტროლებს საქართველოს ხელისუფლება. თუმცა ამ მონაკვეთების საჰაერო და საზღვაო სივრცის მონიტორინგი მაინც ხორციელდება.

2016 წელთან შედარებით, 2018 წელს თითქმის სამჯერ, ხოლო 2019 წელს 5-ჯერ გაიზარდა უცხოელებისთვის ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის შემთხვევები. COVID-19-ის პანდემიის შედეგად შემცირებული მობილობის პარალელურად, 2020 წელს იკლო სახელმწიფო საზღვარზე უარების სტატისტიკამაც და თითქმის 2017 წლის მონაცემს გაუტოლდა.

მიუხედავად ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის შემთხვევების მზარდი ტენდენციისა, საკმაოდ დაბალია უარის თქმის პროცენტული მაჩვენებელი ქვეყანაში წლიურად შემოსვლის მსურველთა რაოდენობიდან.

ქვეყანაში შემოსვლის მსურველ უცხოელთა შემოსვლისა და შემოსვლაზე უარის შემთხვევების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი

	2016	2017	2018	2019	2020
შემოსვლა	6,347,594	7,552,044	8,325,499	9,023,480	1,557,532
შემოსვლაზე უარი (რაოდენობრივი მაჩვენებელი)	5,724	7,870	16,025	25,549	7,419
შემოსვლაზე უარი (პროცენტული მაჩვენებელი)	0.1%	0.1%	0.2%	0.8%	0.5%

წყარო: შსს

ტრეფიკინგი

2016-2019 წლებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა მზარდი იყო. ამასთან, 2019 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (27) დაფიქსირდა.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სტატისტიკა საქმის სტატუსის მიხედვით

	2016	2017	2018	2019	2020
გამოძიება	20	21	21	21	15
სისხლისსამართლებრივი დევნა	1	4	7	27	4
გამამტყუნებელი განაჩენი (საქმეების რაოდენობა)	2	2	4	2	5
მსჯავრდებულთა რაოდენობა	4	2	6	3	29

წყარო: ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო

2016-2020 წლებში სულ ტრეფიკინგის 15 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, ჯამში 44 პირის მიმართ. მათი უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეა.

2016-2020 წლებში ტრეფიკინგის დამნაშავეთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი მოქალაქეობის მიხედვით



წყარო: ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო

2016-2020 წლების მონაცემებით, საქართველოში იდენტიფიცირებულ იქნა 56 მსხვერპლი/დაზარალებული[55], რომლებიც, ძირითადად, საქართველოსა და უზბეკეთის მოქალაქეები არიან.

55 2017-2018 წლებში უზბეკეთის მოქალაქე 3 ქალს მიენიჭა როგორც მსხვერპლის, ისე დაზარალებულის სტატუსი.

2016-2020 წლებში მინიჭებული ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა სტატუსების რაოდენობა მოქალაქეობის მიხედვით

	უზბეკეთი	საქართველო	უკრაინა	თურქმენეთი	ყირგიზეთი
მსხვერპლი	6	2	-	1	1
დაზარალებული	6	41	2	-	-

წყარო: ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო

საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ტრეფიკინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით განხორციელებული დანაშაულია. 2017 წლიდან ასევე ვლინდება შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევებიც (აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანებში დამახასიათებელია იძულებით მათხოვრობაში ჩართვა).

ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა სტატუსების მინიჭების რაოდენობა ტრეფიკინგის დანაშაულის ტიპის მიხედვით

მსხვერპლი	2016	2017	2018	2019	2020	დაზარალებული	2016	2017	2018	2019	2020
სექსუალური	1	4	2	-	2	სექსუალური	2	6	4	23	1
შრომითი	-	-	-	-	1	შრომითი	-	2	2	6	2
						ყიდვა-გაყიდვა	-	-	1	-	-

წყარო: ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო

იდენტიფიცირებულ ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა 93% არის ქალი. ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა 64% - არასრულწლოვანი.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა სტატუსების მინიჭების რაოდენობა ტრეფიკინგის დანაშაულის ტიპის მიხედვით



წყარო: ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო

2016-2020 წლებში ტრეფიკინგით დაზარალებულების და ტრეფიკინგის მსხვერპლი პირების უმრავლესობამ ისარგებლა სახელმწიფო თავშესაფრებით.

2016-2020 წლებში ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის გაწეული დახმარების სტატისტიკა

თავშესაფრით/კრიზისული ცენტრით სარგებლობა	**31**	55%
სამართლებრივი კონსულტაცია	**21**	37%
კანონიერი ინტერესის დაცვა	**16**	28%
ფსიქოლოგის დახმარება	**17**	30%
სამედიცინო მომსახურება	**12**	21%
კომპენსაცია	**4**	7%

წყარო: ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნო

მოქალაქეობა და მოქალაქეობის არმქონეობა

ნატურალიზაცია

2016-2020 წლების განმავლობაში ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვა[56] 18,409 პირმა, რომელთა 47% ქალია, 53% - კაცი. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, მოქალაქეობის მინიჭების ყველაზე მეტი შემთხვევა (44%) ფიქსირდება 41-65 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში. სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნით გადანაწილების ეს ტენდენცია ნარჩუნდება თითქმის ყველა მაჩვენებლის მიხედვით დეტალურად განვრცობილ მონაცემებში.

მოქალაქეობის მინიჭება 2016-2020 წლებში სქესის და ასაკის მიხედვით



წყარო: სსგს

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მაჩვენებელი წლიდან წლამდე უმნიშვნელო, თუმცა მაინც კლების ტენდენციას აჩვენებს. რაც შეეხება სქესის მიხედვით გადანაწილებას, ყველა წლისთვის ეს მაჩვენებელი ერთგვაროვანი რჩება.

მოქალაქეობის მინიჭება 2016-2020 წლებში, წლების და სქესის მიხედვით



წყარო: სსგს

56 ნატურალიზაციის გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაში დათვლილია: ჩვეულებრივი, გამარტივებული, საგამონაკლისო, აღდგენის და სპეციალური წესით მინიჭების მონაცემები, ასევე საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის დროებითი უფლებით სარგებლობის სტატისტიკა.

მნიშვნელოვანი კლება, რომელიც ნაჩვენებია 2020 წელს, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს COVID-19-ის პანდემიასთან, მისგან გამოწვეულ გადაადგილების შეზღუდვებთან და საერთაშორისო მობილობის შემცირებასთან. ზოგადად, კლების ეს ტენდენცია გამოკვეთილია როგორც განცხადებების, ასევე მოქალაქეობის მინიჭების გადაწყვეტილებებში. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად განაცხადების რაოდენობის კლებისა, დადებითად დასრულებული განაცხადების წილი 2020 წელს, წინა წლებთან შედარებით, მაღალია. ზოგადად კი 2016-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ განცხადებების 62% დაკმაყოფილდა და მხოლოდ 38%-ს ეთქვა უარი.

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების რაოდენობა წლების მიხედვით (დადებითი/უარყოფითი)



წყარო: სსგს

2016-2020 წლებში საქართველოს მოქალაქეობა უმეტესად რუსეთის მოქალაქეებს მიენიჭათ, რომელთა რიცხობრივი მაჩვენებელი წლების განმავლობაში უცვლელად ინარჩუნებს საწყის პოზიციას. რუსეთთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ძირითად ქვეყნებში სომხეთის, უკრაინის, ისრაელის, აშშ-ს და საბერძნეთის მოქალაქეები არიან. **აღსანიშნავია, რომ ეს ის ქვეყნებია, სადაც, სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, ყველაზე მეტი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს მოქალაქეობა უმეტეს შემთხვევაში ყოფილ მოქალაქეებს ან იმ პირებს ენიჭებათ, რომლებიც წარმოშობით საქართველოდან არიან.**

ძირითადი ქვეყნები, რომელთა მოქალაქეებსაც 2016-2020 წლებში მიენიჭათ საქართველოს მოქალაქეობა

წყარო: სსგს

ნატურალიზაციის არსებული ფორმებიდან 2016-2020 წლებში ყველაზე მეტი მოთხოვნა ფიქსირდება საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებაზე. 2016-2018 წლებში საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებაზე მოდის საერთო რაოდენობის 98%. მდგომარეობა იცვლება 2019-2020 წლებში, სადაც მნიშვნელოვანი წილი უჭირავს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნის დროებითი უფლებით სარგებლობის მაჩვენებელს (დადებითი გადაწყვეტილებების 50%-ზე მეტი ორივე წელს)[57].

მოქალაქეობის არმქონე პირები

2016-2020 წლებში საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირების რაოდენობა სტაბილურია. მათგან ყველაზე მეტი - 593 პირი 2017 წელს დაფიქსირდა. საერთო შეფასებით, უნდა ითქვას, რომ მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობა დროის ამ პერიოდში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. გენდერული გადანაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარია, თუმცა ამ შემთხვევაში ქალების წილი (55%) მამაკაცების წილზე (45%) მეტია. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, ყველაზე მეტი მოქალაქეობის არმქონე პირი 18-59 წლის ასაკობრივ კატეგორიაში ფიქსირდება და მათი რიცხვი 2020 წელს საერთო რაოდენობის 78%-ს შეადგენს.

2016-2020 წლებში მოქალაქეობის არმქონე პირთა მთლიანი რაოდენობა წლების, სქესის და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



წყარო: სსგს

57 აღნიშნული დაკავშირებულია 2018 წლის აგვისტოში ძალაში შესულ საკანონმდებლო ცვლილებასთან, რომლის მიხედვით საქართველოს ყოფილ მოქალაქეს, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების გამო დაკარგა, უფლება აქვს, 2020 წლის 31 დეკემბრამდე (ამჟამად ეს ვადა გაგრძელებულია 2022 წლის 31 დეკემბრამდე) მიმართოს კომპეტენტურ უწყებებს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მინიჭების მოთხოვნით.

იძულებით გადაადგილებული პირები

საქართველოში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების (დევნილების) 90% ოკუპირებული აფხაზეთიდანაა და მათი რაოდენობა თითქმის ათჯერ აღემატება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობას.

იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი წარმოშობის რეგიონის მიხედვით



წყარო: შრომის სამინისტრო

2016-2020 წლებში ოკუპირებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა სტაბილურია. მათი გენდერული ნიშნით გადანაწილების მაჩვენებელიც თითქმის თანაბარია: აფხაზეთიდან დევნილთა 53% ქალია, 47% - კაცი. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, 2020 წლის მონაცემებით აფხაზეთიდან იძულებით გადა-ადგილებულ პირთა უმრავლესობა 18 წლამდე და 41-65 წლის ასაკობრივ კატეგორიას განეკუთვნება.

ოკუპირებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)

	აფხაზეთი	♀ ქალი	♂ კაცი	<18	18-25	26-40	41-65	60<
2016	242,443	54%	46%	29.33%	9.22%	20.05%	30.07%	11.32%
2017	256,479	54%	46%	28.40%	10.10%	20.06%	29.61%	11.83%
2018	260,419	53%	47%	28.47%	9.96%	19.96%	29.33%	12.28%
2019	258,802	53%	47%	28.39%	8.60%	22.08%	29.34%	11.58%
2020	261,228	53%	47%	28.30%	8.86%	20.72%	28.02%	14.10%

წყარო: შრომის სამინისტრო

2016-2020 წლებში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობაც სტაბილურია და 2020 წლისთვის 27,292 შეადგინა. სქესის მიხედვით განაწილება ამ შემთხვევაში სრულიად თანაბარია. ასაკობრივ ჯგუფებში თითქმის თანაბარი რაოდენობით (საერთო ოდენობის 30%) არიან წარმოდგენილი 18 წლამდე და 41-65 წლის პირები.

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა სქესის და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (%)

	ცხინვალის რეგიონი	♀ ქალი	♂ კაცი	<18	18-25	26-40	41-65	60<
2016	25,976	50.39%	49.61%	28.18%	9.83%	21.05%	28.31%	12.63%
2017	26,708	50.43%	49.57%	27.12%	10.50%	21.35%	28.57%	12.46%
2018	26,908	50.44%	49.56%	27.27%	10.26%	21.26%	28.82%	12.38%
2019	27,146	50.40%	49.60%	27.33%	9.22%	22.01%	27.98%	13.46%
2020	27,292	50.45%	49.55%	27.40%	10.68%	19.98%	28.34%	13.59%

წყარო: შრომის სამინისტრო

წარმოშობის რეგიონების მიხედვით დევნილების განსახლების სურათი 2016 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად იცვლება. 2016 წელს ოკუპირებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 56% კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრობდა, ხოლო 44% - კერძო საცხოვრებლებში. 2017 წელს, პირიქით - აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა (55%) უკვე კერძო საცხოვრებლებშია განსახლებული. ხოლო 2020 წლისთვის მათი წილი 59%-მდე იზრდება. საპირისპირო მდგომარეობაა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან დევნილების განსახლების შემთხვევაში. თუ 2016 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა 73% ცხოვრობდა კერძო საცხოვრებელში და მხოლოდ 27% - კომპაქტურ დასახლებებში, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2017 წელს, როცა იძულებით გადაადგილებულ პირთა 72% უკვე კომპაქტურ დასახლებებში ცხოვრობს, 28% კი - კერძოში. განსახლების კუთხით ეს სურათი შენარჩუნებულია 2020 წლის მდგომარეობითაც.

იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა განსახლების ტიპის და წარმოშობის რეგიონების მიხედვით (%)



წყარო: შრომის სამინისტრო

განსხვავებულია ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან და ოკუპირებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრისის მიხედვით განაწილებაც საქართველოს რეგიონებში. თუ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირები უმეტესად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მომიჯნავე შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ცხოვრობენ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები უმეტესწილად თბილისსა და ოკუპირებული აფხაზეთის მეზობელ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არიან განსახლებული.

ოკუპირებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა განსახლების რეგიონების მიხედვით 2020 წელს



წყარო: შრომის სამინისტრო

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა განსახლების რეგიონების მიხედვით 2020 წელს

წყარო: შრომის სამინისტრო

ეკოლოგიური მიგრანტები

2016-2020 წლებში რეგისტრირებული ეკომიგრანტი ოჯახების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს დაფიქსირდა, თუმცა ამ წელს რეგისტრირებული ოჯახების მხოლოდ 39%-ის განსახლება მოხდა. შემდგომ წლებში განსახლების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2020 წლისთვის უკვე 75% შეადგინა.

რეგისტრირებული და განსახლებული ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა 2016-2020 წლებში



წყარო: შრომის სამინისტრო

2020 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სულ რეგისტრირებული იყო 27,494 ეკომიგრანტი პირი, სადაც ქალების და კაცების რაოდენობა თანაბარია. რაც შეეხება ასაკობრივ კატეგორიას, ეკომიგრანტთა უმეტესობა 19-დან 45 წლამდე ასაკისაა.

ეკომიგრანტთა რაოდენობა სქესის და ასაკის მიხედვით (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)



წყარო: შრომის სამინისტრო

2020 წლისთვის რეგისტრირებულ ეკომიგრანტთა 39% აჭარის რეგიონზე მოდის. მას მოსდევს სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონი. ბოლო მონაცემებით აჭარა ლიდერია ეკომიგრანტთა განსახლების მაჩვენებლითაც (საერთო რაოდენობის 28%). აჭარის შემდეგ ყველაზე მეტი ეკომიგრანტი განსახლებულია გურიაში, ქვემო ქართლში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

ეკომიგრანტი ოჯახების რაოდენობა რეგისტრაციის და დაკმაყოფილების რეგიონების მიხედვით



წყარო: შრომის სამინისტრო

მიგრაცია სოფლიდან ქალაქში და ქალაქიდან სოფელში

საქსტატის მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად იზრდება ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახ-ლეობაში და მცირდება სასოფლო ტიპის დასახლებებში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა. შედეგად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ქალაქის მოსახლეობის წილი 58,02%-დან 59,42%-მდე გაიზარდა. ხოლო სოფლის მოსახლეობის წილი 1,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა (ყოველი წლის 1 იანვრისთვის) საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით (ათასი კაცი)



წყარო: საქსტატი

2016-2020 წლებში მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა თბილისში (4.99%), აჭარასა (3.46%) და ქვემო ქართლში (1.77%). ეს მაჩვენებელი იზრდება ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად. ამასთან, მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (7.46%) და იმერეთში (6.39%). კლება ფიქსირდება სამეგრელო-ზემო სვანეთის (4.87%) და საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ქალაქის მაცხოვრებელთა წილი მუდმივად მეტია სოფლის მოსახლეობაზე, ეს, ძირითადად, თბილისის, აჭარის, მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის საქალაქო დასახლებების მოსახლეობის ზრდის ხარჯზე ხდება.

სიახლეები მიგრაციის სფეროში

საქართველოს 2021 წლის მიგრაციის პროფილის ამ ნაწილში წარმოდგენილია საკანონმდებლო, პოლიტიკის და პრაქტიკულ დონეზე განხორციელებული ის ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც 2019-2021 (ივლისის ჩათვლით) წლებში მიგრაციის სფეროში ქვეყნის პროგრესს ასახავს.

მიგრაციის მართვა

მულტისექტორული საკითხები

2019 წლის სექტემბერში მსსკ/კომისიის მიერ პირველად მომზადდა ახალი თაობის, სრულად ვიზუალიზებული, საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილი[58], რომელიც მკვლევარების, აკადემიური წრეების და სფეროთი დაინტერესებული სხვადასხვა პირის და ორგანიზაციის მიერ აქტიურად გამოიყენება მათ საქმიანობაში, ასევე მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს საჯარო მოხელეებისთვის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის.

2020-2021 წლების ყველაზე საყურადღებო და გლობალური მოვლენაა COVID-19-ის პანდემია, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე და, განსაკუთრებით, მიგრაციაზე. საქართველოში COVID-19-ის პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყანაში პირველ დადასტურებულ შემთხვევამდე (2020 წლის 26 თებერვალი) ერთი თვით ადრე დაიწყო, კერძოდ, 2020 წლის 28 იანვარს შეიქმნა უწყებათაშორისი საბჭო და დამტკიცდა COVID-19-ის გავრცელების, აღკვეთის ღონისძიებებისა და ამ დაავადების შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირების გეგმა[59]. 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა[60], რომელიც 2020 წლის 22 მაისამდე გაგრძელდა. საგანგებო მდგომარეობის დროს დაწესდა გარკვეული შეზღუდვები, რომელთა შორის იყო საერთაშორისო მოგზაურობის აკრძალვა. საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგ შეზღუდვების უმეტესობა მოიხსნა, თუმცა, გარკვეული შემზღუდველი რეგულაციები, განსაკუთრებით, საზღვრის კვეთასა და საერთაშორისო მოგზაურობაზე, კვლავ ძალაში რჩება. აღნიშნული შეზღუდვების ფონზე დაინერგა სხვადასხვა ელექტრონული სერვისი და ქვეყანაში შემოსვლის სპეციალური პირობები იმ უცხოელებისთვის, რომლებიც საქართველოში ჩამოსვლას სწავლის[61], სამეწარმეო საქმიანობის ან/და დისტანციურად მუშაობის მიზნით[62] აპირებდნენ. 2021 წლის 1 თებერვლიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე საჰაერო ტრანსპორტით შემოსვლის განახლებული/გამარტივებული რეჟიმი ამოქმედდა[63], ხოლო 2021 წლის 1 ივნისიდან, შესაბამისი სავალდებულო დოკუმენტებით, უცხოელი ვიზიტორებისთვის სახმელეთო საზღვრებიც გაიხსნა[64].

58 „საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი"; მსსკ/კომისია https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf (ნანახია: 18.10.2021).

59 „COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში"; საქართველოს მთავრობა https://stopcov.ge/Content/files/Government--report.pdf (ნანახია: 18.10.2021).

60 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

61 https://registration.gov.ge/pub/form/22__/abrckq/ (ნანახია: 18.10.2021).

62 იქვე.

63 http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=288&info_id=78445 (ნანახია: 18.10.2021).

64 http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=556&info_id=79401 (ნანახია: 18.10.2021).

ამასთან, იმ უცხოელებს, რომლებიც 2020 წლის 14 მარტისთვის საქართველოში იმყოფებოდნენ და პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების გამო კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე ვერ მოახერხეს ქვეყნის დატოვება, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის ვადა რამდენჯერმე გადაუვადდათ და საბოლოო ჯამში 2021 წლის 1 ივლისამდე გაუხანგრძლივდათ[65].

მიუხედავად COVID-19-ის პანდემიისა, 2020 წლის განმავლობაში მსსკ/კომისია აქტიურად მუშაობდა საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელიც წარმოადგენს მიგრაციის სფეროში რიგით მეოთხე ძირითად სტრატეგიულ ჩარჩოდოკუმენტს. სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვა ეფუძნება „მიგრაციის და განვითარების"[66] პრინციპს, რომელიც ემსახურება მიგრაციის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე შემცირებას და დადებითი ეფექტის გაზრდას, რაც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის განვითარებისთვის. სტრატეგიაში განსაზღვრულია ისეთი სექტორული პრიორიტეტები, როგორიცაა: მიგრაციის მართვის გაუმჯობესება, ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია, დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში, თავშესაფრის სისტემის განვითარება და უცხოელთა ინტეგრაცია. მიგრაციის სტრატეგია შემუშავდა მსსკ-ის სამდივნოს მიერ შექმნილი სპეციალური ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით და პოლიტიკის დაგეგმვის ახალი სამთავრობო რეგულაციების[67] შესაბამისად. სტრატეგიას თან ახლავს ლოგიკური ჩარჩო, რომელშიც წარმოდგენილია სტრატეგიის მიზნები, ამოცანები და შესაბამისი ინდიკატორები საბაზისო, შუალედური და საბოლოო მაჩვენებლებით, ხოლო სტრატეგიის თითოეული მიზანი დაკავშირებულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან[68]. პარტნიორ ორგანიზაციებთან შეჯერებული სტრატეგიის პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 30 დეკემბრის N810 დადგენილებით დამტკიცდა.[69]

მიგრაციის სტრატეგიის შემუშავების პარალელურად მიმდინარეობდა სტრატეგიის განხორციელების 2021 წლის სამოქმედო გეგმის მომზადება, რომელშიც ასევე აქტიურად იყვნენ ჩართული პარტნიორი საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები. სამოქმედო გეგმა მოწონებულ იქნა კომისიის მიერ და დამტკიცდა 2021 წლის იანვარში[70].

საერთაშორისო განზომილება

უკანასკნელ წლებში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა „მიგრაციის ევროპულ ქსელში"[71] საქართველოს გაწევრებაზე, რაც წარმატებით დასრულდა და 2021 წლის მარტიდან საქართველომ ქსელში დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსი მოიპოვა[72]. გაწევრებისთანავე საქართველო აქტიურად ჩაერთო ქსელის სხვადასხვა კვლევით საქმიანობაში და თემატურ ღონისძიებებში[73]. ქსელის საქმიანობაში საქართველოს მონაწილეობა მსსკ-ის წევრ უწყებებს დაეხმარება როგორც ინსტიტუციური განვითარების კუთხით, ასევე მათ ევროპელ კოლეგებთან პირდაპირი კონტაქტების დამყარებაში. ამავდროულად, ეს ხელს შეუწყობს ევროკავშირთან (განსაკუთრებით

65 https://mfa.gov.ge/News/%E2%80%8Bglobaluri-pandemiit-gamocveuli-shezgudvebis-gatva.aspx?CatID=5 (ნანახია: 18.10.2021).

66 პრინციპი „მიგრაცია და განვითარება" არის ფართო გაგების და გულისხმობს ყველა იმ თემატური მიმართულების კოორდინირებულ, სწორ და პრაგმატულ ორკესტრირებას, რომელიც ქვეყნის განვითარებას უწყობს ხელს. რაც ეკონომიკურთან ერთად გულისხმობს სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ, ინსტიტუციურ და ადამიანური კაპიტალის განვითარებას.

67 „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილება.

68 https://sdg.gov.ge/text-page/35 (ნანახია: 18.10.2021).

69 https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf (ნანახია: 18.10.2021).

70 https://migration.commission.ge/files/ms_ap_2021_with_logframe_16.03.21.pdf (ნანახია: 18.10.2021).

71 https://ec.europa.eu/home-affairs/networks/european-migration-network-emn_en (ნანახია: 18.10.2021).

72 https://migration.commission.ge/index.php?article_id=327&clang=0 (ნანახია: 18.10.2021).

73 https://migration.commission.ge/index.php?article_id=330&clang=0 (ნანახია: 18.10.2021).

მიგრაციის მართვის სფეროში) ინსტიტუციური დაახლოების და სექტორული ინტეგრაციის პროცესს. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანი სარგებელი იქნება მიგრაციის პოლიტიკის დაგეგმვის, ანალიზის და კომისიის წევრი უწყებების კვლევითი და ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარებისთვის. ევროპული პერსპექტივიდან, საქართველოს ქსელში მიღება ევროკავშირს საშუალებას მისცემს, გაგვიზიაროს მიგრაციის მართვის საუკეთესო ევროპული გამოცდილება და, ამასთან, თავად უკეთ აღიქვას მიგრაცია კავკასიური პერსპექტივიდან.

მიგრაციის მონაცემები

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა (მეას)[74]. ე.წ. *ბიგ დატას* გამოყენებით, მეას-ის ფარგლებში მუშავდება მონაცემები, რათა მოხდეს ქვეყნის მიგრაციული პროფილის ამსახველი ანალიტიკური ანგარიშების გენერირება. აღნიშნულის მიზანია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან მიღებულ მონაცემთა ურთიერთდაკავშირების შედეგად მიგრაციული ნაკადების ანალიზი, შესაბამისი ტენდენციების დადგენა და კომისიის ფარგლებში ქვეყნის მიგრაციის პროფილის შემუშავება/განახლება.

მიგრაციის პოლიტიკის სრულყოფილი ანალიზისთვის, თანამედროვე ანალიტიკურ სისტემებთან ერთად, საჭიროა ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემები. 2019 წელს საქსტატის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, მომზადდა საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგია (2020-2023 წწ.)[75]. სტატისტიკის წარმოების ეფექტიანი, თანამედროვე და მდგრადი პროცესების შექმნა, ასევე ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებული დემოგრაფიული და, მათ შორის, მიგრაციის სტატისტიკის წარმოება აღნიშნული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სტრატეგიასთან ერთად ასევე შემუშავდა მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 სექტემბრის N589 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის დებულება“[76] და დაიწყო მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები.

2020 წელს საქსტატმა მომხმარებლებისთვის რამდენიმე ახალი ვებპორტალი შექმნა, რომელთა შორისაა - „სტატისტიკა ბავშვებისა და მოზარდებისთვის“[77]. ეს უკანასკნელი ბავშვებს და მოზარდებს საშუალებას აძლევს, თანამედროვე ვიზუალური საშუალებებით მიიღონ საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული (მათ შორის მიგრაციასთან დაკავშირებული) მდგომარეობის შესახებ.

74 „მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა“; 2019 წ., მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია https://migration.commission.ge/files/umas__geo_.pdf (ნანახია: 18.10.2021).

75 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/630/statistikis-ganvitarebis-strategia (ნანახია: 18.10.2021).

76 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4999321?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

77 http://juniors.geostat.ge/ (ნანახია: 18.10.2021).

ლეგალური მიგრაცია

ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, 2020 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და შემოსვლის წესების შესახებ“ კანონში[78], რომელიც 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა[79]. კანონში შესული ცვლილების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზოდ მოგზაურობისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია დამატებით საქართველოს სასაზღვრო-გამტარ პუნქტებზეც (ყველა საერთაშორისო აეროპორტში და ასევე სახმელეთო სასაზღვრო-გამტარ პუნქტ „სარფზე“) მოწმდება. საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ მას ეკრძალება ევროკავშირის/შენგენის წევრ რომელიმე ქვეყანაში შესვლა ან ვერ წარადგენს კანონით გათვალისწინებულ საბუთებს, რომელიც უვიზო მიმოსვლისათვის ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციებითაა დადგენილი.

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც ევროკავშირის/შენგენის წევრი ქვეყნების მიმართულებით საქართველოს მოქალაქეთა მობილობის შემცირებაზე, ასევე უვიზო მიმოსვლის საკითხებთან დაკავშირებით საინფორმაციო აქტივობების განხორციელებაზე. შეზღუდული მობილობიდან გამომდინარე, უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების მორიგი საინფორმაციო კამპანია დროებით შეჩერდა. თუმცა ,,საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ, 2021 წლის იანვრიდან, გააქტიურდა შესაბამისი საინფორმაციო აქტივობები, კერძოდ:

- მომზადდა ორი საინფორმაციო გრაფიკული ვიდეორგოლი საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით და გავრცელდა შესაბამისი უწყებების და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ Facebook გვერდებსა[80] და სხვადასხვა პლატფორმაზე, მაგალითად, როგორიცაა სამოგზაურო ჯგუფები;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრები საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ცხელი ხაზისა და შსს-ს ერთიანი მომსახურების ცენტრის თანამშრომლების, ასევე ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის და მისი რეგიონული ოფისების წარმომადგენლებისთვის;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ხშირად დასმული კითხვების (FAQ) საფუძველზე, IOM-თან თანამშრომლობით დამზადდა ინფოგრაფიკები და გავრცელდა სოციალური ქსელის მეშვეობით;
- პორტალზე www.geoconsul.gov.ge სრულად განახლდა სექცია უვიზო მიმოსვლის პირობების შესახებ, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს აწვდის უახლეს და ამომწურავ ინფორმაციას ევროკავშირის/შენგენის წევრ სახელმწიფოებში უვიზო მიმოსვლის შესახებ.

2019-2021 წლებში 400-მდე ონლაინ და პირისპირ საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა მოქალაქეებთან ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ფარგლებში მათი უფლება-მოვალეობების გაცნობის შესახებ. აღნიშნულ შეხვედრებს დაესწრო 17,000-მდე პირი.

---

78 https://matsne.gov.ge/document/view/93850?publication=18 (ნანახია: 18.10.2021).
79 https://www.geoconsul.gov.ge/ka/schengen (ნანახია: 18.10.2021).
80 https://www.facebook.com/mfageorgia/videos/3580272985390621/ (ნანახია: 18.10.2021).

2021 წლის ივნისში საგარეო საქმეთა სამინისტროს და ICMPD-ის თანამშრომლობით მომზადდა კვლევა „COVID-19-ის პანდემიის გავლენა მიგრაციაზე, მობილობასა და ევროკავშირში უვიზო მიმოსვლაზე". კვლევის მიზანი იყო უვიზო რეჟიმთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეების განწყობა/დამოკიდებულებების შესწავლა, პანდემიის პირობებში ევროკავშირის ქვეყნებში მყოფი მოქალაქეებისთვის სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარების შესახებ მოქალაქეთა ინდივიდუალური შეფასებების დადგენა, ასევე მათთვის სასურველი ინფორმაციისა თუ საკომუნიკაციო არხების იდენტიფიცირება. 2021 წლის ივნისში განახლდა EU Visa Free მობილური აპლიკაცია[81], რომელიც უფასოდ არის ხელმისაწვდომი Google Play-ზე და App Store-ზე. აპლიკაციაში წარმოდგენილია უვიზო მიმოსვლის ფარგლებში მგზავრობის პირობებისა და ევროკავშირი/შენგენის წევრი ქვეყნის მიერ დაწესებული ინდივიდუალური რეგულაციების შესახებ უახლესი ინფორმაცია. ინტეგრირებული კალენდრის მეშვეობით კი მომხმარებელს შეუძლია, გამოთვალოს ევროკავშირი/შენგენის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლისთვის დარჩენილი დღეების რაოდენობა.

შრომითი მიგრაცია

დასაქმებისა და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარება, მათ შორის, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეებისთვის ლეგალურად დროებითი დასაქმების შესაძლებლობების შექმნა, ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია. აღნიშნული მიმართულებით სამუშაოები მიმდინარეობს შრომითი (ცირკულარული) მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარების, საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური დასაქმების შესაძლებლობების გაფართოების და შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის მიზნით ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გასაფორმებლად.

2019 წლის 30 სექტემბერს, ხელი მოეწერა „ბულგარეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ" შეთანხმებას[82]. აღნიშნული შეთანხმება ძალაში შევიდა 2019 წლის 5 ნოემბერს. მხარეები მუშაობას აგრძელებენ დროებითი ლეგალური დასაქმების კონკრეტული სქემის ასამოქმედებლად საჭირო დოკუმენტის *(საიმპლემენტაციო პროცედურების)* მომზადებაზე.

2020 წლის 17 იანვარს საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა „გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ" შეთანხმებას, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ლეგალურად, 3 თვის ვადით დასაქმდნენ გერმანიაში სოფლის მეურნეობის სექტორში. გერმანიაში სეზონურ სამუშაოებზე დასაქმების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო 2021 წლის 15 თებერვლიდან[83] და გარკვეული ჯგუფები უკვე გაემგზავრნენ გერმანიაში სამუშაოდ.

2020 წლის 30 სექტემბერს ხელი მოეწერა ორმხრივ ხელშეკრულებას საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის „ისრაელის სახელმწიფოში შრომის ბაზრის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების შესახებ"[84], რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 6 ნოემბერს. 2020 წლის 1 ოქტომბერს ხელი მოეწერა ხელშეკრულების განხორციელების პირველ ოქმს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ისრაელის შრომის ბაზრის შესაბამისი სექტორი. აღნიშნული ოქმის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს საშუალება აქვთ ხანგრძლივი მოვლის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებებში დამხმარე მუშაკებად დასაქმდნენ.

81 https://play.google.com/store/apps/details?id=ge.mygo.shengen (ნანახია: 18.10.2021).
82 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4701239?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).
83 https://www.moh.gov.ge/ka/news/5704/ (ნანახია: 18.10.2021).
84 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5036950?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

ექვს ქვეყანასთან ინიცირებული იქნა დიალოგი და განსახილველად გაიგზავნა საქართველოს მიერ შემუშავებული შეთანხმების პროექტი დროებითი (ცირკულარული) შრომითი მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ცალკეული ქვეყნებიდან უკვე მიღებულია პასუხი თანამშრომლობის დაწყების შესახებ. ამასთან, ორ ქვეყანასთან დაიწყო მოლაპარაკებები ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი შეთანხმების გაფორმების მიზნით, ხოლო ორ სხვა ქვეყანასთან მიმდინარეობს კონსულტაციები შესაბამისი საცდელი პროექტის ინიცირების თაობაზე, ვინაიდან ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი ხელშეკრულების/შეთანხმების გაფორმების პრაქტიკა.

2019 წლის ოქტომბერში შრომის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო[85]. მისი მიზანია საქართველოს მოსახლეობის შრომისა და დასაქმების ხელშეწყობა და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელება. ასევე, ქვეყნებს შორის გაფორმებული ცირკულარული შრომითი მიგრაციის სქემების პრაქტიკულ დონეზე განხორციელება.

2020 წლის 21 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“[86]. აღნიშნული კანონის საფუძველზე განისაზღვრა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით დასაქმების სააგენტოს ძირითადი ვალდებულებები, მათ შორის შრომითი მიგრაციის მიმართულებით.

სავიზო და საკონსულო საკითხები

საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვის კუთხით, რეგულარულად მიმდინარეობს საკონსულო დაწესებულებების დაფარვის არეალის გაფართოება.

2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს 74 დიპლომატიური წარმომადგენლობა ჰყავს საზღვარგარეთ[87]. 2019–2021 წლებში გაიხსნა საქართველოს საელჩო არაბთა გაერთიანებულ საამიროებში და გენერალური საკონსულოები იტალიაში, ქ. ბარიში და აშშ–ში, ქ. სან–ფრანცისკოში, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც საქართველო არ არის წარმოდგენილი დიპლომატიური მისიით ან საკონსულო დაწესებულებით, ფართოდ გამოიყენება საპატიო კონსულის ინსტიტუტი. 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს მსოფლიოს 60 ქვეყანაში ჰყავს 77 საპატიო კონსული[88]. 2019–2021 წლების განმავლობაში 29 ქვეყანაში დაინიშნა 33 ახალი საპატიო კონსული.

საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 23 აპრილის N01–72 ბრძანებით დამტკიცდა საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის ახალი წესი[89]. ახალი წესის მომზადება განაპირობა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა. კერძოდ, ახლებურად ჩამოყალიბდა საკონსულო აღრიცხვის მონაცემთა შენახვის წესი, რაც გამოწვეულ იქნა საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემის შექმნით, სადაც უკვე შესაძლებელია ზემოხსენებულ მონაცემთა აღრიცხვა, შენახვა და დამუშავება.

85 2019 წლის 31 ოქტომბრის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01–110/ნ“ https://matsne.gov.ge/document/view/4690652?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

86 https://matsne.gov.ge/document/view/4924109?publication=1 (ნანახია: 18.10.2021).

87 https://mfa.gov.ge/MainNav/EmbassiesRepresentations/GeorgianMissionsAbroad.aspx (ნანახია: 18.10.2021).

88 https://mfa.gov.ge/MainNav/EmbassiesRepresentations/HonoraryConsulsGeorgia.aspx (ნანახია: 18.10.2021).

89 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4855487?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

2014 წლიდან მოქმედებს საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონული სისტემა (Geoconsul)[90], რომლის მიზანია საკონსულო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა და მოქალაქეებისათვის შეთავაზებული საკონსულო სერვისების ხარისხის ამაღლება. სისტემის მასშტაბური განახლების პირველი ეტაპი 2021 წლის პირველ კვარტალში დასრულდა. ამჟამად მიმდინარეობს განახლების მორიგი ეტაპი, რომელიც სხვა ცვლილებებთან ერთად, მობილური აპლიკაციის გაშვებასაც მოიცავს.

საქართველოს ელექტრონული ვიზის პორტალი (E-VISA PORTAL)[91] გამარტივებული წესით ვიზის მიღებას სთავაზობს იმ უცხოელებს, რომლებიც მოკლევადიანი მიზნით სტუმრობენ საქართველოს. COVID-19-ის პანდემიის გამო, 2020 წლის მარტის მეორე ნახევრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე ელექტრონული ვიზის პორტალის ოპერირება დროებით შეჩერებული იყო.

ვიზის გაცემის პროცედურების დახვეწის კუთხით აღსანიშნავია „VFS-Global"-თან თანამშრომლობა, რომელიც 2017 წლიდან მიმდინარეობს. 2021 წლის ივლისის მდგომარეობით, საქართველოს სავიზო აპლიკაციის მიღებაზე „VFS-Global"-ის 18 ცენტრი მუშაობს ინდოეთში, ნეპალში, ბანგლადეშსა და შრი-ლანკაში[92]. ამასთან, გრძელდება მუშაობა როგორც დამატებითი ცენტრების საჭიროების იდენტიფიცირების, ისე არსებული ცენტრების მიერ მომსახურების გაუმჯობესების კუთხით.

2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ უვიზოდ იმოგზაურონ მსოფლიოს 66 ქვეყანაში, ხოლო საქართველოს დიპლომატიური ან სამსახურებრივი პასპორტის მფლობელებს - 84 ქვეყანაში[93].

2019 წლის 1 მარტს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობასა და უკრაინის მინისტრთა კაბინეტს შორის შეთანხმება „ვიზის მიღების ვალდებულებისგან ორმხრივად გათავისუფლების შესახებ"[94], რომლის საფუძველზეც საქართველოს მოქალაქეებს უკრაინაში გამგზავრება შეუძლიათ ელექტრონული პირადობის მოწმობით. ამასთან, 2019 წლის 28 ნოემბერს ძალაში შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის N255 დადგენილებაში, რომლის მიხედვით შვეიცარიის მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა უკვე შეუძლიათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე[95].

2018 წელს შემუშავდა და დამტკიცდა „საზღვარგარეთ კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების წესი" და შესაბამისი სახელმძღვანელო. აღნიშნულის საფუძველზე, საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა კრიზისების მართვის საბჭო, რომლის ფუნქციაა, საზღვარგარეთ კრიზისული მდგომარეობის წარმოქმნის შემთხვევაში, კოორდინაცია გაუწიოს და დაეხმაროს საელჩოებსა თუ საკონსულო დაწესებულებებს კრიზისის აღმოსაფხვრელად. 2019-2021 წლების განმავლობაში კრიზისების მართვის სახელმძღვანელო მომზადდა საზღვარგარეთ საქართველოს მისიების უმრავლესობის მიერ. ამასთან, სახელმძღვანელოს მიხედვით მომზადდა და საკონსულო ტრენინგების კურიკულუმში ჩაიდო საკონსულო კრიზისების მართვის სასწავლო მოდული.

90 https://www.geoconsul.gov.ge/ka (ნანახია: 18.10.2021).
91 https://www.evisa.gov.ge/GeoVisa/ (ნანახია: 18.10.2021).
92 https://www.vfsglobal.com/georgia/india/ (ნანახია: 18.10.2021).
93 https://www.geoconsul.gov.ge/HtmlPage/html/View?id=992 (ნანახია: 18.10.2021).
94 https://matsne.gov.ge/document/view/4500266?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).
95 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4716630?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

ბინადრობის ნებართვები

2021 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები[96], რომელთა ძირითადი მიზანი საქართველოში არალეგალური მიგრაციის პრევენციული მექანიზმების დახვეწა და მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესებაა. საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად:

- დროებითი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა 6 წლის ნაცვლად 12 წლამდე გახანგრძლივდა, ხოლო მუდმივი ცხოვრების ნებართვის მისაღებად დროებითი ბინადრობის საფუძველზე ცხოვრების წესი 6-დან 10 წლამდე გაიზარდა;
- ფიქციური დოკუმენტებით ბინადრობის ნებართვის მოპოვების პრევენციის მიზნით, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (სსგს) მიენიჭა ბინადრობის ნებართვის გაცემიდან 1 წლის ვადაში მონიტორინგის წარმოებისა და წარდგენილ დოკუმენტებში მითითებული ფაქტების გადამოწმების უფლებამოსილება. ასევე გაფართოვდა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარისა და საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლები;
- დაზუსტდა C კატეგორიის (ორდინალური) ვიზის მიმართება ბინადრობის ნებართვის მოთხოვნის საფუძვლებთან, კერძოდ, აღნიშნული კატეგორიის ორდინალური ვიზის საფუძველზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ საინვესტიციო და სპეციალური ბინადრობის ნებართვის მიღება. ასევე, ბინადრობის ნებართვა, გარდა საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის, სპეციალური ბინადრობის ნებართვისა და უცხოელთა კანონის მე-15 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროებითი ბინადრობის ნებართვისა, არ გაიცემა უცხოელზე, რომელიც საქართველოში იმყოფება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის N256 დადგენილებით[97] განსაზღვრული ქვეყნის ვიზის ან/და ბინადრობის ნებართვის საფუძველზე;
- შეიცვალა „ოჯახის წევრის“ დეფინიცია და ბინადრობის ნებართვის გაცემისთვის უცხოელის შვილი ან მშობელი ოჯახის წევრად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუ ბინადრობის ნებართვის მსურველი უცხოელი საქართველოში მცხოვრები არასრულწლოვანის მშობელია ან საქართველოში მცხოვრები უცხოელის არასრულწლოვანი შვილია; ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის ეს რეგულაცია წარმოადგენს იმ ადამიანების საქართველოში ცხოვრების უფლების უზრუნველყოფას, რომლებიც ერთმანეთზე სოციალურად და სამართლებრივად არიან დამოკიდებული;
- სიახლე ასევე შეეხო უცხოელის საქართველოში ყოფნის გადავადებას. კერძოდ, ბინადრობის ნებართვის გაცემის ან საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზნით ადმინისტრაციული წარმოებისას, უცხოელის საქართველოში კანონიერად ყოფნის უზრუნველსაყოფად, სსგს საკუთარი ინიციატივით გადაუვადებს უცხოელს საქართველოდან გასვლის ვალდებულებას შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების ვადით. ასევე, სიახლეა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოში უცხოელის მონაწილეობით მიმდინარე საქმისწარმოების საფუძველზე, საქართველოდან გასვლის ვალდებულების გადავადების მოთხოვნით პირმა განცხადება უნდა წარადგინოს საქართველოში კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 14 დღით ადრე, ნაცვლად აქამდე არსებული 7-დღიანი ვადისა.

96 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5137529?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).
97 https://matsne.gov.ge/ka/document/view/2867377?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

COVID-19-ის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, სსგს-მ ყველა ძირითადი სერვისი ელექტრონულ ფორმატში გადაიტანა, რამაც დისტანციური მომსახურების საშუალებით უზრუნველყო მოქალაქეების, მათ შორის უცხოელების, შეუფერხებელი წვდომა საჯარო სერვისებზე. აღნიშნული პირდაპირ აისახა სსგს-ს ონლაინ სერვისებით სარგებლობის სტატისტიკაზე. მაგალითისთვის, 2019 წელს უცხოელების მიერ ბინადრობის ნებართვის მისაღებად თუ 59 დისტანციური განაცხადი იქნა მიღებული, 2020 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 30-ჯერ გაიზარდა (1,632) და 2021 წლის განმავლობაშიც ზრდის ტენდენცია ფიქსირდება (პანდემიამდე არსებულ პერიოდთან შედარებით).

დაბრუნება და რეინტეგრაცია

დაბრუნებითი მიგრაცია

COVID-19-ის პანდემიის გამო ჩაკეტილი საზღვრების გათვალისწინებით, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისთვის დახმარების აღმოჩენის და მათი საქართველოში უსაფრთხოდ დაბრუნების მიზნით, საქართველოს სამთავრობო დაწესებულებები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. პანდემიის შედეგად საზღვარგარეთ რთულ ვითარებაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა და საკონსულო დაწესებულებებმა სხვადასხვა სახის დახმარება (საკვებით, საცხოვრისით, მედიკამენტებით, ტრანსპორტით და ადგილსამყოფელ ქვეყანაში არსებული შეზღუდვების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით) გაუწიეს. ამასთან, განისაზღვრა მოწყვლადი და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთა კატეგორიები (არასრულწლოვანები, ქრონიკული დაავადების მქონე პირები, ხანდაზმულები, სტუდენტები, მოქალაქეები ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით, ფეხმძიმეები, შშმ პირები, ონკოლოგიური პაციენტები, მეზღვაურები), რომელთა დახმარებაც პრიორიტეტულად განხორციელდა. 2020 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა და საკონსულო დაწესებულებებმა ადგილზე დახმარება აღმოუჩინეს 23,309 მოქალაქეს.

იმ ქვეყნებიდან (35), სადაც საქართველოს მოქალაქეების დიდი რაოდენობა გარკვეული ფინანსური/მატერიალური სახსრების გარეშე დარჩა და სადაც შეინიშნებოდა დროებით მცხოვრებ მოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნების მსურველთა დიდი რაოდენობა, საქართველოს მთავრობის ორგანიზებით განხორციელდა 116 ჩარტერული ავიარეისი (მათი ნაწილი იყო სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული). მთავრობის ხელშეწყობითა და საკოორდინაციო საბჭოს მიერ დაგეგმილი ჩარტერული რეისებით, ასევე სახმელეთო და საზღვაო გზებით, სამშობლოში ორგანიზებულად დაბრუნდა 25,198 მოქალაქე.

მიუხედავად COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევებისა, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ შეუფერხებლად ხორციელდება საქართველოს მიერ გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულებები და კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირების საზღვარგარეთის ქვეყნებიდან უსაფრთხო და ორგანიზებული დაბრუნება. შსს ასევე აქტიურად იყო ჩართული საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტოს (FRONTEX) ორგანიზებით განხორციელებულ დაბრუნების ერთობლივ ოპერაციებში[98].

98 მაგალითისთვის, 2020 წლის მაისში FRONTEX-ის მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოს 107 მოქალაქის კვიპროსიდან თბილისში დაბრუნება, რაც FRONTEX-ის მიერ კოორდინირებულ ნებაყოფლობითი დაბრუნების ყველაზე მსხვილმასშტაბიან ოპერაციად ითვლება https://frontex.europa.eu/assets/Publications/General/In_Brief_2020/20.0147_inbrief_2020_11th_web_fixed4.pdf (ნანახია: 18.10.2021).

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმების[99] იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით, 2019 წლის 10 ივლისს ხელი მოეწერა ხსენებული შეთანხმების საიმპლემენტაციო ოქმს საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის[100], ხოლო 2020 წლის ივნისში რეინიცირებულ იქნა საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიმპლემენტაციო ოქმის ხელმოწერა. 2020 წლის ივნისში ინიცირებულ იქნა „საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმება.

საქართველოს მიერ გაფორმებული რეადმისიის შეთანხმებების ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, რეად-მისიის განაცხადების მიიღება და დამუშავება რეადმისიის განაცხადების მართვის ელექტრონული სისტემის (Readmission Case Management Electronic System)[101] მეშვეობით ხორციელდება. 2019 წლიდან 2021 წლის ივლისამდე სისტემაში დამატებით ჩაერთო ორი ქვეყანა (ფინეთი და შვედეთი). ამჟამად პროგრამას წარმატებით იყენებს ევროპის 19 ქვეყანა[102] და ის ფართოდ არის აღიარებული, როგორც ქმედითი და ეფექტიანი მექანიზმი უნებართვოდ მცხოვრებ პირთა უსაფრთხოდ დასაბრუნებლად. ხსენებული სისტემის ეფექტიანობის გათვალისწინებით, მისი რეპლიკაცია და დანერგვა სხვა ქვეყნების მიერაც მიმდინარეობს/იგეგმება. 2018 წლის სექტემბერში სისტემის ფარგლებში დაინერგა ელექტრონული დასაბრუნებელი მოწმობის ფუნქციონალი, რომელიც აღიარებულ იქნა სისტემის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტად.

რეინტეგრაცია

2019 წელს შრომის სამინისტროს სისტემის ფარგლებში შეიქმნა სსიპ – დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (დევნილთა სააგენტო)[103], რომლის ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება. 2020 წლის 1 ივლისიდან დევნილთა სააგენტომ თავად დაიწყო სახელმწიფო სარეინტეგრაციო პროგრამების განხორციელება, რასაც მანამდე სააგენტოს მიერ გაცემული გრანტების საფუძველზე არასამთავ-რობო ორგანიზაციები უძღვებოდნენ. აღნიშნული პროგრამის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სააგენტოში შეიქმნა რეინტეგრაცია/ინტეგრაციის სამსახური, რომელიც დაკომპლექტდა შესაბამისი გამოცდილებისა და ინსტიტუციური მეხსიერების მქონე კადრებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამა დედაქალაქთან ერთად ვრცელდება საქართველოს რეგიონებზეც.

სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის პროგრამების განხორციელებისთვის სახელმწიფომ 2015 წლიდან დაიწყო ბიუჯეტიდან თანხების რეგულარულად გამოყოფა. 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 600,000 ლარი გამოიყო, 2017 წელს – 590,000 ლარი, ხოლო 2018, 2019, 2020 და 2021 წლებში ყოველწლიური ბიუჯეტი 650,000 ლარით განისაზღვრა.

COVID-19-ის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით დამდგარი შედეგების შემსუბუქების მიზნით, 2020 წელს უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ 19 სკოლის მოსწავლეს, რეინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, საჩუქრად გადაეცათ პორტატიული კომპიუტერები, რათა დისტანციური სწავლების პირობებში შეუფერხებლად შეძლებოდათ სასწავლო პროცესში მონაწილეობა.

---

99 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1250250?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

100 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657425?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

101 აღნიშნული სისტემა, IOM-ის მხარდაჭერით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში შეიქმნა.

102 პოლონეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, ბელგია, რუმინეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, ლიეტუვა, ლატვია, იტალია, ირლანდია, ჩეხეთი, ფინეთი, შვედეთი და დანია.

103 სააგენტო შეიქმნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ოქტომბრის N487 დადგენილებით, რომელმაც სრულყოფილი ფუნქციონირება 2020 წლის 1 იანვრიდან დაიწყო: https://idp.gov.ge/reintegration/ (ნანახია: 18.10.2021).

მიგრაცია და განვითარება

დიასპორის ჩართულობა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა დიასპორაზე მიმართული პროექტების დაფინანსების მექანიზმი. წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, სამინისტრომ კონკურსის წესით 2019 წელს დააფინანსა 28 პროექტი, ხოლო 2020 წელს – 45 პროექტი. პროგრამის მიზანია თანამემამულეებში ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის პოპულარიზაცია, სახალხო დიპლომატიის და ეკონომიკური კავშირების განვითარება. 2020 წელს საგრანტო პროგრამა – „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა" – მიმართული იყო COVID-19-ის პანდემიის რთულ პერიოდში საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეებისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

შეიქმნა დიასპორასთან საკომუნიკაციო პორტალი GDA.GE, რომლის კონცეფციაც საგარეო საქმეთა სამინისტრომ IOM-თან ერთად შეიმუშავა. აღნიშნული პლატფორმა დიასპორისთვის ერთი ფანჯრის პრინციპზე და ურთიერთსარგებელზე დაფუძნებულ, ინფორმაციის მიწოდების სანდო რესურსს წარმოადგენს. ვებგვერდი უზრუნველყოფს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში მცხოვრები თანამემამულეების და დიასპორული ორგანიზაციების ერთმანეთთან და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირს. პორტალი სატესტო რეჟიმში მუშაობს და რეგულარულად ხდება მისი განახლება.

2019-2021 წლებში გაიმართა რამდენიმე დიასპორული ფორუმი, რომელიც ძირითადად ფოკუსირებული იყო ქართული დიასპორის ქვეყნის განვითარებაში ჩართულობაზე და საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე.

2020 წელს პროგრამის – „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი" – ფარგლებში ღია კონკურსის წესით 35 ქვეყნიდან გამოვლინდა 25 გამარჯვებული ახალგაზრდა ელჩი. პროგრამა ICMPD-სთან თანამშრომლობით ხორციელდება და მისი მიზანია ახალგაზრდა ელჩების მიერ ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს პოპულარიზაცია, უცხოელ მეგობართა ქსელის შექმნა და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობა.

საბერძნეთში, ესპანეთსა და იტალიაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ლეგალური სტატუსის მოპოვების ხელშეწყობის მიზნით, ICMPD-სთან თანამშრომლობით მომზადდა ხსენებული ქვეყნების მიგრაციის კანონმდებლობის შესახებ პრაქტიკული გზამკვლევები[104], რომელიც მოიცავს ადგილსამყოფელი ქვეყნის საიმიგრაციო კანონმდებლობის და ინტეგრაციის შესახებ ყოვლისმომცველ ინფორმაციას.

განათლების ინტერნაციონალიზაცია

2019 წლის სექტემბერში საქართველო ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციის (EURAXESS) წევრი გახდა. EURAXESS-ში გაწევრება[105] ხელს უწყობს საქართველოს მჭიდრო ინტეგრირებას ევროკავშირის სამეცნიერო-კვლევით სივრცეში, მეცნიერთა კარიერულ განვითარებას, ქვეყნის უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტების საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას. საქართველოს მეცნიერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ქსელის ყველა სერვისი, რომელიც ამჟამად პროგრამის წევრი ევროპული ქვეყნების მეცნიერთათვის არის ხელმისაწვდომი. EURAXESS-ში საქართველოს გაწევრება ხელს

104 1. იტალია: http://www.enigmma.ge/wp-content/uploads/2020/02/Migration_Guidline_Italy-Web.pdf 2. ესპანეთი: http://www.enigmma.ge/wp-content/uploads/2020/11/migration-guidline-spain-2_FINAL.pdf 3. საბერძნეთი: http://www.enigmma.ge/wp-content/uploads/2018/04/migration-guidline-web.pdf (ნანახია: 18.10.2021).

105 https://www.euraxess.ge/ (ნანახია: 18.10.2021).

შეუწყობს ქართველ და ევროპელ მკვლევრების შორის მობილობის გაზრდას; გაფართოვდება ქართველი მკვლევრების კარიერული ზრდის შესაძლებლობები; ასევე, გაიზრდება უცხოელი სტუდენტების და მკვლევრების დაინტერესება საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლისადმი.

„ვისწავლოთ საქართველოში" პროგრამის ფარგლებში საქართველოს ხუთმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა სახელმწიფოს დაფინანსებით მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გამოფენებში, რომელსაც ესწრებოდა 100-ზე მეტი ქვეყნის, 3,500-ზე მეტი ინსტიტუტის 10,000-ზე მეტი წარმომადგენელი. საქართველოს უნივერსიტეტების ინიციატივით, სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან შედგა შეთანხმება ახალი ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის მიზნით აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლის თაობაზე.

სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მოქალაქეებს სახელმწიფოს დაფინანსებით საზღვარგარეთ საუკეთესო განათლება მიიღონ და სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ მიღებული ცოდნის რეალიზება საკუთარ ქვეყანაში მოახდინონ. 2019 წელს ცენტრმა 11 პროგრამა განახორციელა, რის შედეგადაც 6 მილიონზე მეტი ლარის სტიპენდია 170[106] სტუდენტზე გაიცა. 2020 წელს, COVID-19-ის პანდემიის მიუხედავად, ცენტრმა 10 სასტიპენდიო სქემა/პროგრამა განახორციელა, რის შედეგადაც 100-ზე მეტი სტიპენდია გაიცა, ხოლო ბენეფიციართა საზღვარგარეთ სწავლა სახელმწიფოს მიერ 4 მილიონზე მეტი ლარით დაფინანსდა[107].

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, ასევე აღსანიშნავია პროგრამა ერაზმუს+[108] მობილობის სქემები. ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებზე ერაზმუსის სტიპენდია 2019 წელს საქართველოს 40-მა მოქალაქემ, 2020 წელს 29 მოქალაქემ, ხოლო 2021 წელს 30-მა მოქალაქემ მოიპოვა.

2020 წელს პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით რამდენიმე პრაქტიკულ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (განათლების სამინისტრო), UNDP-ის და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მხარდაჭერით, სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით დაიწყო პროექტი – „პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო პრაქტიკის ინიციატივა საქართველოსა და გერმანიას/ბრიტანეთს შორის აგრარული მიმართულებით", რომლის ფარგლებშიც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები და განათლების სპეციალისტები/ექსპერტები გადამზადდნენ კემბრიჯის საერთაშორისო კოლეჯის დისტანციური პროგრამის ფარგლებში, ხოლო აგრარული პროფილის პროფესიული და უმაღლესი განათლების სტუდენტებმა 5 თვიანი ანაზღაურებადი პრაქტიკა გაიარეს გერმანიაში[109].

ევროკავშირის რეგულაციებთან და დირექტივებთან ჰარმონიზაციის მიზნით, 2021 წელს აქტიური მუშაობა გაგრძელდა „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის დანერგვის გეგმის შესაბამისად, კანონქვემდებარე აქტების შემუშავების მიმართულებით. პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობის შექმნის მიზნით, მომზადდა პროფესიული განათლების სფეროში ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების განხორციელების წესი და პირობები.

106 „2019 წლის ანგარიში"; განათლების საერთაშორისო ცენტრი. https://iec.gov.ge/portals/_default/Skins/Xcillion/Images/File/ganaTlebis%20saerTaSoriso%20centris%20angariSi%20saboloo%20qurvi.pdf (ნანახია: 18.10.2021).

107 https://iec.gov.ge/Portals/0/final.pdf?ver=2020-12-29-094608-260&timestamp=1609220801823 (ნანახია: 18.10.2021).

108 https://erasmusplus.org.ge/ka (ნანახია: 18.10.2021).

109 „პროფესიული განათლების რეფორმა, 2020 წლის ანგარიში". საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო https://mes.gov.ge/uploads/files/2020%20VETangarishi.pdf (ნანახია: 18.10.2021).

საერთაშორისო დაცვა

თავშესაფრის პროცედურის ეფექტიანობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა შესაბამის სამართლებრივ აქტებში. კერძოდ, 2020 წლის 6 აპრილის შინაგან საქმეთა მინისტრის N33 ბრძანებით[110] დამტკიცდა „თავშესაფრის პროცედურა“, რომლითაც დაიხვეწა მთელი რიგი სტანდარტები თავშესაფრის პროცედურის ჯეროვანი განხორციელების მიზნით. ცვლილებები ასევე შევიდა თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საკანონმდებლო რეგულირების მიმართულებითაც. ამ მიზნით, 2020 წლის 3 ივნისის შინაგან საქმეთა მინისტრის N78[111] და N79[112] ბრძანებებით დამტკიცდა „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე „დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრის წესი“ და „თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდების აღებისა და დამუშავების წესი“.

უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ სახელმწიფო საზღვარზე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის იდენტიფიცირებისა და შსს-ში შიდაუწყებრივი კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, 2020 წლის 21 ივლისის შინაგან საქმეთა მინისტრის N99 ბრძანებით[113] დამტკიცდა „უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის იდენტიფიცირებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას შორის ინფორმაციის გაცვლის წესი“.

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ და საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვანი პირთათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული პროგრამით 2019 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის 1 ივლისამდე ისარგებლა 33-მა ბენეფიციარმა. პროგრამის მიზანია თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე არასრულწლოვანთა ქართულ ენაში ცოდნის დონის ამაღლება.

ინტეგრაცია

2019 წლის ოქტომბერში შრომის სამინისტროს სისტემის ფარგლებში შექმნილ დევნილთა სააგენტოს ფუნქციად, სხვა ფუნქციებთან ერთად, განისაზღვრა საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ უცხოელთა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა ადგილობრივი ინტეგრაციის პროგრამების განხორციელება და ინტეგრაციის ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა[114]. 2020 წლის 1 ივლისიდან დევნილთა სააგენტომ თავად დაიწყო ინტეგრაციის პროგრამების განხორციელება და ინტეგრაციის ცენტრის ადმინისტრირება, რომელსაც მანამდე, სააგენტოს მიერ გაცემული გრანტების საფუძველზე, არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებდნენ. აღნიშნული პროგრამის ეფექ-ტიანად განხორციელების მიზნით, სააგენტოში ასევე შეიქმნა რეინტეგრაცია/ინტეგრაციის სამსახური. გარდა ამისა, ადგილმდებარეობა შეიცვალა ინტეგრაციის ცენტრმა, რომელიც დედაქალაქის განაპირა რაიონიდან გადმოვიდა ქალაქის ცენტრალურ უბანში, რამაც გაზარდა აღნიშნული ცენტრისა და ინტეგრაციის სერვისების ხელმისაწვდომობა.

110 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4840014?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).
111 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4880224?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).
112 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4880135?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).
113 https://matsne.gov.ge/ka/document/view/4920483?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).
114 https://idp.gov.ge/integration/ (ნანახია: 18.20.2021).

2020 წელს განხორციელდა დევნილთა სააგენტოსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) ერთობლივი პროექტი – საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა საქართველოში ინტეგრაციის მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც მოხდა 15 იძულებით გადაადგილებული პირისთვის (დევნილისთვის) საშემოსავლო პროექტის დაფინანსება, რომლებმაც თავიანთ საწარმოებში უზრუნველყვეს 15 საერთაშორისო დაცვის მქონე პირის დასაქმება.

2021 წლის 21 ივნისს დამტკიცდა „საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ინტეგრაციის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“, რომელსაც წინა წელს არსებულ მიმართულებებთან ერთად დაემატა ახალი კომპონენტი – სამედიცინო დახმარება ან/და მედიკამენტების დაფინანსება, რაც გულისხმობს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირებისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, 1,000 ლარის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფასა და მედიკამენტების დაფინანსებას.

2021 წლის 23 ივლისს შრომის მინისტრის N01-285ო ბრძანების საფუძველზე COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციაში, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული კატეგორიის გარდა, შემდეგი პირები ჩაერთვნენ:

- საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი (რომელთა ლეგალურად ყოფნა დასტურდება, შესაბამისი ვიზის, ბინადრობის ნებართვით ან უვიზო რეჟიმის ხანგრძლივობით), რომელიც იმყოფება საქართველოში და მისი შემოსვლიდან გასულია მინიმუმ 3 თვე;
- სახელმწიფო პროგრამის „იმუშავე საქართველოდან“ მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები;
- საქართველოში განათლების მიღების მიზნით მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტები (რომლებმაც ვერ მოახერხეს ქვეყნის დატოვება), შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სიის საფუძველზე;
- საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების, აგრეთვე მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების უცხოელი თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი მოსახლეობა მოქალაქეობის მიუხედავად, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში მომუშავე პირები და მათი ოჯახის წევრები.

2019 წლის 27 მაისს ცვლილება შევიდა განათლების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესში“ და საკანონდებლო დონეზე გაიწერა, საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირთა მიერ მიღებული განათლების აღიარების პროცედურა.

სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში, 2019 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის 1 ივლისამდე, საგანმანათლებლო სერვისებით ისარგებლა უცხო ქვეყნის 118-მა მოქალაქემ. პროგრამის მიზანია დაინტერესებულ პირთათვის სახელმწიფო ენის სწავლება და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის პანდემიის გამო სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამა 2020 წლის მარტიდან სრულად გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. სკოლამ უზრუნველყო ბენეფიციართათვის ელექტრონული რესურსების მომზადება, ონლაინ რეგისტრაციის სისტემის მოწყობა და შესაბამისი გაიდლაინების მომზადება. ამასთან

ერთად, 2019-2020 წლებში ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ არასამთავ-რობო ორგანიზაცია World Vision-ის საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით განახორციელა პროექტი „სახელმწიფო ენის სწავლება უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის", რომლის პირველი ფაზის ფარგლებში (2019 წ.) გადამზადდა ქ. თბილისში მცხოვრები 122, ხოლო მეორე ფაზის ფარგლებში (2020 წ.) – ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში მცხოვრები 43 დროებითი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელი.

ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ ასევე მომზადდა სახელმძღვანელო – „ქართულ ენაში შესავალი კურსი", რომელიც ითვალისწინებს ბენეფიციართათვის ქართული ანბანის სწავლებას, კომპიუტერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, საქართველოს სოციალურ-კულტურული გარემოს შესახებ წარმოდგენის შექმნასა და მარტივი საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრის გზით საზოგადოებაში ინტეგრაციას.

განათლების სამინისტრომ 2020 წელს დაიწყო მუშაობა სახელმწიფო ენის სწავლების ახალ მიდგომაზე, რომელიც გულისხმობს პროფესიული კოლეჯების მიერ სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის შემუშავებას და განხორციელებას. 2021 წელს შემუშავდა სახელმწიფო ენაში მომზადების კონცეფცია და შესაბამისი წესის პირველადი ვერსია. მიმდინარეობს დოკუმენტების საბოლოო შეთანხმების პროცედურა სახელმწიფო ენის სწავლების საერთო პოლიტიკის გათვალისწინებით. აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა შესაძლებელი იქნება, როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნისთვის (იმ პირებისთვის ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა), ისე ზოგადად სახელმწიფო ენის სწავლებისთვის.

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა და დოკუმენტების უსაფრთხოება

არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა

2020 წლის 24 იანვარს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს და საფრანგეთის რესპუბლიკის შსს-ებს შორის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეების არალეგალური მიგრაციის პრევენციის მიზნით, პროექტ „პრომეთეუს" ფარგლებში საფრანგეთის აეროპორტებში ქართველი პოლიციელების სამსახურებრივად მივლენას. ასევე, ევროკავშირის მიმართულებით არალეგალური მიგრაციის პრევენციის მიზნით, FRONTEX-ის ოფიცრები განლაგდნენ ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებში, ხოლო FRONTEX-ის ერთობლივი ოპერაციის ფარგლებში, ქართველი ოფიცრები 1 თვიანი როტაციით მივლენილ იქნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების აეროპორტებში.

არალეგალური მიგრაციის პრევენციის მიზნით 2020 წელს სგპ-ები თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა. ევრო-კავშირის ფინანსური დახმარებით, IOM-მა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს ულტრაიისფერი დანათების ხელსაწყოები გადასცა. გადაცემული საერთაშორისო სტანდარტების აღჭურვილობა მნიშვნელოვნად დაეხმარება მესაზღვრე-ოფიცრებს დოკუმენტების საფუძვლიან შესწავლასა და მათი ნამდვილობის დადგენაში.

ამავდროულად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებულ უცხოელთა უფლებების დაცვის გაუმჯობესების, ცენტრის შესაძლებლობებისა და უსაფრთხოების სტანდარტების დახვეწის მიმართულებით. კერძოდ, დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსებული პირების სამედიცინო სერვისების 24/7 უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდა სამედიცინო პერსონალის რაოდენობა. ასევე, ცენტრში განთავსებული პირებისთვის ხელმისაწვდომი გახდა გადამდები დაავადებების (ტუბერკულოზი, „B" და „C" ჰეპატიტი, აივ ინფექცია/შიდსი) სკრინინგი.

დროებითი განთავსების ცენტრში შშმ პირებისთვის დამატებით მოეწყო ადაპტირებული ოთახი. ასევე, მოეწყო საკარანტინე სივრცე, ამასთან, ცენტრში მოთავსებული უცხოელებისთვის დამატებით მოეწყო გარე ინფრასტრუქტურა. აღნიშნულის საფუძველზე გააუმჯობესდა გარე სივრცეში ყოფნის პირობები.

საერთაშორისო ორგანიზაციების და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით, ასევე შსს-ს ორგანიზებით პერმანენტულად მიმდინარეობს უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების მომზადება/გადამზადება. თანამშრომლები ინტენსიურად იღებენ მონაწილეობას კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირების საქართველოდან გაძევების პროცედურებთან, დროებითი განთავსების ცენტრის მართვასთან, გაძევების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ტრენინგებში, სასწავლო კურსებში და სამუშაო შეხვედრებში.

დოკუმენტების უსაფრთხოება

UNDP-ს და დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხარდაჭერით, 2020 წლის ოქტომბერში, სსგს-მ ახალი ინოვაციური სერვისი – ელექტრონული აპოსტილი დანერგა[115]. იმისათვის, რომ საქართველოში გაცემულ დოკუმენტებს საზღვარგარეთ იურიდიული ძალა ჰქონდეს, საჭიროა მათი აპოსტილით დამოწმება. შესაბამისად, სხვადასხვა დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება მოქალაქეების მხრიდან სსგს-ს ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სერვისია.

აღნიშნული სერვისის საფუძველზე, მომხმარებელს საშუალება ეძლევა, თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით დაზოგოს დრო, რესურსი და სახლიდან გაუსვლელად, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან დაამოწმოს დოკუმენტი ელექტრონული აპოსტილით. გარდა ამისა, დოკუმენტზე ელექტრონული აპოსტილის გამოყენება ზრდის დოკუმენტის სანდოობას და დაცულობის ხარისხს. ელექტრონული აპოსტილით დამოწმებულ დოკუმენტებს მოქალაქე ვებგვერდების (www.my.gov.ge და http://apostille.cra.ge/) ან ელექტრონული ფოსტის საშულებით იღებს.

2021 წლის 1 ივნისს ,,სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილება[116], რომლის თანახმად სამოქალაქო აქტის ჩანაწერები და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობები არის ელექტრონული დოკუმენტები და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით[117]. ამავდროულად, აღნიშნული ელექტრონული დოკუმენტები სრულ შესაბამისობაშია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის[118] ნორმებთან. სამოქალაქო აქტის ჩანაწერებისა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობების ელექტრონული დოკუმენტის ფორმით არსებობა, კიდევ უფრო ზრდის მათ მიმართ სანდოობის და დაცულობის ხარისხს. ელექტრონული დოკუმენტის სახით გაცემული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობის ორიგინალის ნახვა და ჩამოტვირთვა შესაძლებელია სააგენტოს ვებგვერდის https://sda.gov.ge/ მეშვეობით.

მნიშვნელოვანია, რომ, საკანონმდებლო ცვლილებით, პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების გათვალისწინებით, ელექტრონული დოკუმენტების გამოცემის, მიმოცვლის და დაინტერესებული პირებისათვის მათი გაცნობის წესები მაქსიმალურად არის დაცული. კერძოდ, შესაბამისი ვებპორტალიდან მხოლოდ კონკრეტული კოდის მფლობელ პირს შეუძლია ელექტრონული დოკუმენტის ნახვა და ჩამოტვირთვა.

115 https://sda.gov.ge/?us_portfolio=ელექტრონული-აპოსტილი (ნანახია: 18.10.2021).
116 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5179597?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).
117 https://sda.gov.ge/?page_id=13294 (ნანახია: 18.10.2021).
118 https://matsne.gov.ge/ka/document/view/3654557?publication=1 (ნანახია: 18.20.2021).

საზღვრის ინტეგრირებული მართვა

სასაზღვრო უსაფრთხოების განმტკიცების, საზღვრის დაცვაზე პასუხისმგებელი უწყებების ინსტიტუციური განვითარების და სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ინტეგრირებული მართვის 2021–2025 წლების სტრატეგიის საბოლოო პროექტი.

სახელმწიფო საზღვრის „მწვანე მონაკვეთის" დაცვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით განხორციელდა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები, სახელმწიფო საზღვარზე არსებული ტექნიკის მოდერნიზება და ელექტრონული დაკვირვების სისტემის მონტაჟი. ყოველივე ამან გაზარდა სახელმწიფო საზღვარზე დარღვევების გამოვლენის ეფექტიანობა და ხელი შეუწყო არალეგალური მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის პრევენციას, ასევე, ადამიანური რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

2019–2021 წლებში განახლდა 8 სასაზღვრო სექტორის ინფრასტრუქტურა. დამატებით 4 სასაზღვრო სექტორის დასაცავ მონაკვეთზე დასრულდა ელექტრონული დაკვირვების სისტემის მონტაჟი. მსგავსი პროექტების განხორციელება დაგეგმილია სახელმწიფო საზღვრის სხვა მოწყვლად მონაკვეთებზეც. სახელმწიფო საზღვარზე პრევენციის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 17 სასაზღვრო სექტორი დამატებით აღიჭურვა სასაზღვრო ინციდენტების აღმოჩენის საშუალებებით. გაძლიერდა საზღვარზე დარღვევების გამოვლენის შესაძლებლობები და მობილური მეთვალყურეობის სისტემით აღიჭურვა 4 სასაზღვრო სექტორი.

2021 წელს ინიცირებულ იქნა ახალი პროექტი „სასაზღვრო უსაფრთხოების მაღალსიჩქარიანი საკომუნიკაციო ქსელი". სასაზღვრო უსაფრთხოების ამოცანების ეფექტიანად განხორციელება დაკავშირებულია დიდი მოცულობის ინფორმაციის და მონაცემების მართვასთან, რასაც აუცილებლად ესაჭიროება შესაბამისი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სახელმწიფო რესურსების გამოყენებით, შეიქმნა ოპტიკურ–ბოჭკოვან ტექნოლოგიაზე დაფუძნებული 20 კმ–იანი ქსელური ინფრასტრუქტურა, რომელიც 3 სასაზღვრო სექტორზე უზრუნველყოფს სასაზღვრო უსაფრთხოების ინფორმაციის მართვის და ელექტრონული დაკვირვების სისტემების გამართულ ფუნქციონირებას.

ინციდენტზე დროული რეაგირებისა და ოპერაციული შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, 41 სასაზღვრო სექტორზე გადანაწილდა მაღალი გამავლობის საპატრულო სატრანსპორტო საშუალებები, ხოლო სახელმწიფო საზღვრის რთულად მისადგომი დასაცავი მონაკვეთის პატრულირებისათვის, 12 სასაზღვრო სექტორს გადაეცა ყველგან მავალი სატრანსპორტო საშუალება. მესაზღვრის პირადი აღჭურვილობით (სასაზღვრო ინციდენტების აღმოჩენისა და მათზე რეაგირების საკომუნიკაციო საშუალებებით) უზრუნველყოფილი იქნა 5 სასაზღვრო სექტორის პირადი შემადგენლობა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული სასაზღვრო სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით. 2021 წლის 11 თებერვალს, შსს–სა და FRONTEX–ს შორის ხელი მოეწერა ახალ სამუშაო შეთანხმებას[119], რომელმაც ჩაანაცვლა 2008 წლის შეთანხმება. აღნიშნული მიზნად ისახავს არსებული თანამშრომლობის გაღრმავებას ერთობლივი რისკის ანალიზის წარმოების, ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმის შემუშავების, ერთობლივ ოპერაციებსა და დაბრუნების ოპერაციებში აქტიური მონაწილეობის გზით.

119 https://police.ge/ge/evropis-sasazghvro-da-sanapiro-datsvis-saagentostan-frontex-akhali-samushao-shetankhmeba-gaformda/14386 (ნანახია: 18.10.2021).

აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებთან თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლების და მიგრაციის სფეროში წამოჭრილი საკითხების ოპერატიულად გადაჭრის მიზნით, 2021 წლიდან, FRONTEX-მა დანიშნა მეკავშირე ოფიცერი, რომელიც რეგიონში მომუშავე მეკავშირე ოფიცრებსა და სხვა შესაბამის სახელმწიფო/ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მიგრაციის საკითხებზე ითანამშრომლებს.

სასაზღვრო უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, ონლაინ ფორმატში, ხელი მოეწერა ლიეტუვას რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურსა და საქართველოს შსს-ს სასაზღვრო პოლიციას შორის 2021-2022 წლების თანამშრომლობის გეგმას.

რუმინეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (RoAid) და საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციას შორის 2020 წელს ხელი მოეწერა 2020-2023 წლების თანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საჭიროებებიდან გამომდინარე სხვადასხვა ღონისძიება (ტრენინგები, აღჭურვილობის გადმოცემა და სხვა) განხორციელდება.

2020 წლის 19 ნოემბერს, გერმანიის ფედერალურ პოლიციას და საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციას შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებში სასაზღვრო პოლიციას გადმოეცემა აღჭურვილობა (სამედიცინო მულაჟები) სასაზღვრო პოლიციის სამედიცინო-სადაზღვევო სამსახურის საჭიროებებისთვის.

ტრეფიკინგი

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ „4P"-ს პრინციპს, რომელიც მიმართულია დანაშაულის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, პროაქტიული გამოძიებისა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნისა და თანამშრომლობის ღონისძიებების გაძლიერებაზე.

საერთაშორისო განზომილება

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიშით საქართველომ გადაინაცვლა შეფასების უმაღლეს საფეხურზე, ე.წ. 1-ელ კალათში და ევროკავშირის არაერთი წევრი ქვეყნის გვერდით, იგივე ადგილი შეინარჩუნა მომდევნო, 2017, 2018, 2019, 2020 და 2021 წლების ანგარიშებითაც[120]. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 2018-2021 წლების ანგარიშებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის, მხოლოდ საქართველო მოხვდა რეიტინგული სკალის უმაღლეს საფეხურზე.

საერთაშორისო ორგანიზაციამ - „Walk Free Foundation", რომელიც ყოველწლიურად მონობის გლობალურ ინდექსს (Global Slavery Index) ზომავს, 2019 წლის ანგარიშში - „გაზომვა, ქმედება, თავისუფლება" (Measurement, Action, Freedom) - საქართველოს, 183 ქვეყანას შორის, მე-18 ადგილი მიაკუთვნა[121]. ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველო, როგორც დაბალი მშპ-ს მქონე ქვეყანა, გამოირჩევა ტრეფიკინგის წინააღმდეგ გატარებული ეფექტიანი ქმედებებით და რეგიონში პირველ ადგილს იკავებს.

120 https://www.state.gov/trafficking-in-persons-report/ (ნანახია: 18.10.2021).
121 https://www.globalslaveryindex.org/ (ნანახია: 18.10.2021).

2020 წლის 5 მაისს, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ეუთოს სპეციალურმა წარმომადგენელმა და კოორდინატორმა საქართველოსთან მიმართებით გამოსცა ანგარიში[122] საქართველოს მთავრობის კომენტარებთან ერთად, რომელშიც მან ხაზი გაუსვა საქართველოს ძლიერ პოლიტიკურ ნებას, ებრძოლოს ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) და ეროვნულ დონეზე არსებული რეფერალური მექანიზმი ერთ-ერთ სანიმუშო მოდელად დაასახელა.

ევროპის საბჭოს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ექსპერტთა ჯგუფმა (GRETA) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესრულების მესამე შეფასების ანგარიშში[123], რომელიც საქართველოს მთავრობის კომენტარებთან ერთად, გამოქვეყნდა 2021 წლის 16 მარტს, დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ გატარებული რეფორმები ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

2019 წლის 27 ივლისიდან, საქართველოსა და ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოს (EUROJUST) შორის თანამშრომლობის შეთანხმება ამოქმედდა[124], რომელიც მიზნად ისახავს ორგანიზებული დანაშაულის, მათ შორის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას. 2020 წლის 1 ივნისიდან, EUROJUST-ში მივლენილია საქართველოს მეკავშირე პროკურორი.

ეროვნული სამოქმედო გეგმები

2018 წლის 24 დეკემბერს, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ (ტრეფიკინგის საბჭო) დაამტკიცა ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით და მათი რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების, ხოლო 2020 წლის 2 დეკემბერს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმები[125]. ამავდროულად, ტრეფიკინგის საბჭოს სამდივნომ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი) მოამზადა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. აღნიშნულთან ერთად, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით და ICMPD-ის მხარდაჭერით, ორი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2019 წლის აქტივობების შესრულების შეფასება[126].

სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებში (როგორც ტრეფიკინგის დანაშაულისთვის ერთ-ერთი მოწყვლადი ჯგუფში) ტრეფიკინგის დანაშაულის პრევენციას და მათ ჩართვას სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში. ტრეფიკინგის საბჭოს ფარგლებში ამჟამად მუშავდება ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის ტრეფიკინგისაგან დაცვის მიზნით სახელმწიფო სტრატეგია და მისი შესრულების სამოქმედო გეგმა.

122 https://www.osce.org/files/f/documents/8/5/451561.pdf (ნანახია: 18.10.2021).
123 https://www.coe.int/en/web/anti-human-trafficking/-/greta-publishes-its-third-report-on-georgia (ნანახია: 18.10.2021).
124 https://www.eurojust.europa.eu/agreement-cooperation-between-eurojust-and-georgia (ნანახია: 18.10.2021).
125 https://www.justice.gov.ge/Ministry/Department/334 (ნანახია: 18.10.2021).
126 https://justice.gov.ge/files/xI8S1v7S7hvn.pdf (ნანახია: 18.10.2021).

ცნობიერების ამაღლება

COVID-19-ის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის მიზნით განეხორციელებინათ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიები და პირისპირ შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში პირისპირ და ონლაინ საინფორმაციო შეხვედრები/ღონისძიებები 2,100-ზე მეტ პირთან ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით.

2020 წლის ოქტომბერში, იუსტიციის სამინისტროსა და IOM-ის თანამშრომლობით განხორციელდა საინფორმაციო კამპანია ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვების, როგორც ტრეფიკინგისთვის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, თემაზე სახელწოდებით „საფრთხე ერთი შეხედვით უხილავია“[127]. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში მომზადდა და სოციალური ქსელებისა და ტელევიზიების მეშვეობით გავრცელდა ვიდეო კლიპი, საინფორმაციო ბანერები განთავსდა თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და თელავის იუსტიციის სახლებში, ასევე თბილისსა და ბათუმში არსებულ ავტობუსის გაჩერებებზე.

დანაშაულის გამოვლენა და პრევენცია

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევების გამოვლენის გაძლიერების კუთხით, 2019 წლის სექტემბრიდან, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შემოწმების მობილური ჯგუფის რაოდენობა 4-დან 6-მდე გაიზარდა. მობილური ჯგუფები, ისევე როგორც სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების მქონე გამომძიებლებისა და პროკურორებისგან შემდგარი სპეციალისტთა ჯგუფი (Task Force), აგრძელებენ ტრეფიკინგის დანაშაულისთვის მაღალ რისკს მიკუთვნებული ადგილების შემოწმებას და პირთა გამოკითხვას ტრეფიკინგის დანაშაულის იდენტიფიცირების მიზნით.

2021 წლის 1 იანვრიდან, შრომის სამინისტროს ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახურმა[128], რომელიც ამავე სამინისტროში 2015 წელს შექმნილი შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის უფლებამონაცვლეა. სამუშაო ადგილზე შრომის ინსპექციის სამსახურის მანდატი გაიზარდა და გარდა შრომის უსაფრთხოებისა, სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს შემოწმება შრომითი უფლებების ზედამხედველობის კუთხით. აღნიშნული ცვლილება შრომის ინსპექციის სამსახურს აძლევს მეტ ადამიანურ და ორგანიზაციულ რესურსს და მოქნილობას ეფექტურად აღასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები, მათ შორის იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ნიშნების გამოვლენისა და პრევენციის მიმართულებით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და IOM-ის (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის) მხარდაჭერით, მომზადდა „ტრეფიკინგის სახელმძღვანელო საკონსულო თანამდებობის პირებისათვის“. საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 მაისის N01-95 ბრძანების საფუძველზე, სახელმძღვანელო ოფიციალურად დამტკიცდა. იგი განკუთვნილია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებისათვის და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა: ტრეფიკინგის დანაშაულის ბუნება, სამართლებრივი ჩარჩო, რეფერალური მექანიზმები, ჩასატარებელ მოქმედებათა დეტალური აღწერილობა და სხვა.

127 https://georgia.iom.int/ge/news (ნანახია: 18.10.2021).
128 https://www.facebook.com/pages/category/Government-Organization/ (ნანახია: 18.10.2021).

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერ-პლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან (სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო) თანამშრომლობით და IOM-ის მხარდაჭერით, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებაზე მომუშავე მობილური ჯგუფებისთვის მომზადდა – „სახელმძღვანელო მიუსაფარ ბავშვებთან მომუშავე სოციალური მუშაკებისათვის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებზე“[129]. 2021 წლის 10-11 ივნისს, სახელმძღვანელოს ავტორის მიერ გადამზადდნენ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს და მიუსაფარი ბავშვებისთვის სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების თანამშრომლები.

2019-2021 წლებში ჩატარდა არაერთი საბაზისო და სიღრმისეული ტრენინგი გამომძიებლებისთვის, პროკუ-რორებისთვის, საზღვარზე მომუშავე პერსონალისთვის (შსს და შემოსავლების სამსახური), სამშვიდობო მისიებში მონაწილე ქართველი სამხედროებისთვის, მსხვერპლთა იდენტიფიცირების მუდმივმოქმედი ჯგუფისთვის, შრომის ინსპექტორებისთვის, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს თანამშრომლებისთვის (მობილური ჯგუფები, ფსიქოლოგიები და სოციალური მუშაკები), ადვოკატებისთვის, მედიის წარმომადგენლებისთვის და სხვა.

მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვა

მიუხედავად COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბაზაზე, ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის არსებული თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები აგრძელებენ მუშაობას ყველა რეკომენდაციის დაცვით. თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ხელმისაწვ-დომია იურიდიული და სამედიცინო დახმარება, ფსიქოლოგიური დახმარება (საჭიროების შემთხვევაში დისტანციურად) და ერთჯერადი სახელმწიფო კომპენსაცია.

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციე-ლებული საკანონმდებლო ცვლილებებით[130], 2021 წლის 13 აპრილიდან გამარტივდა მსხვერპლებსა და დაზარალებულთათვის სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის წესი და იგი აღარ არის დამოკიდებული სასამართლოს გზით დამნაშავისგან ზიანის ანაზღაურებაზე. ეს წესი გავრცელდა იმ მსხვერპლებსა და დაზარალებულებზეც, რომელთაც სტატუსი ამ ცვლილებების ამოქმედებამდე მიენიჭათ. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძ-ველზე, 2021 წლის 28 აპრილს, ტრეფიკინგთან ბრძოლის საბჭომ დაამტკიცა „ტრეფიკინგის მსხვერპლებსა და დაზარალებულთათვის ერთჯერადი კომპენსაციის გაცემის წესი“.

129 https://cutt.ly/aQe9G4a (ნანახია: 18.10.2021).
130 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5137523?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

მოქალაქეობა და მოქალაქეობის არმქონეობა

2021 წლის მაისში, ცვლილება შევიდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში[131], რომლის საფუძველზეც საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების, აღდგენის, სპეციალური წესით მინიჭებისა და მოქალაქეობის დადგენის ცალკეული რეგულაციების ვადები, 2022 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა. აღნიშნული ცვლილებები მოქალაქეებისთვის შესაბამისი პროცედურების გამარტივებას ისახავს მიზნად და ამავდროულად მოქალაქეობის არმქონეობის შემცირებისკენაა მიმართული.

2019 წლის ოქტომბერში, გამართულ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი კომიტეტის (UNHCR ExCom) 70-ე სესიაზე საქართველომ აიღო ვალდებულებები მოქალაქეობის არმქონე პირთა ნატურალიზაციის ხელშეწყობისა და მათი უფლებების სრულყოფისთვის შესაბამისი ქმედებების განხორციელების შესახებ[132]. აღნიშნული ვალდებულებების ნაწილი შესრულებულია, ხოლო დარჩენილი აქტივობები (რომელთა გარკვეული ნაწილი COVID-19-ის პანდემიის გამო შეფერხდა) განხორციელების პროცესშია.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მაისის N210 დადგენილების[133] საფუძველზე, მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენისთვის დაწესებული საფასური განახევრდა.

შიდა მიგრაცია

იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები)

2019 წელს შრომის სამინისტროს სისტემის ფარგლებში არსებული დევნილთა სააგენტოს შექმნის ერთ-ერთი მიზანი, სხვა მიზნებთან ერთად, დევნილთა განსახლების, სოციალური დახმარებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამების ეფექტიანად განხორციელება იყო.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივნისის N1046 განკარგულებით დამტკიცდა დევნილთა და ეკომიგრანტთა საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს, როგორც დევნილთა სააგენტოს, ასევე სსიპ – აწარმოე საქართველოს, ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, სსიპ – განათლების მართვის ელექტრონული სისტემის და სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შემოსავლის გენერირებაზე, პროფესიულ განვითარებაზე და დასაქმებაზე ორიენტირებულ პროგრამებს.

2021 წლის 5 მარტს, დამტკიცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) მიმართ 2021-2022 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან აქტივობებს, როგორც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების, ასევე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და COVID-19-ის პანდემიის პირობებში დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდის კუთხით.

ქვეყნისადმი განსაკურებული ღვაწლისა და დამსახურების გათვალისწინებით, 2021 წელს დაიწყო ვეტერან დევნილთა და საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლებში დაღუპულ პირთა ოჯახების გრძელვადიანი განსახლების საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებში 2021 წელს განხორციელდება 200-მდე ოჯახის უზრუნველყოფა ახალი საცხოვრებელი ფართით.

131 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5174747?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).
132 https://www.unhcr.org/5da8728c7 (ნანახია: 18.10.2021).
133 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5166125?publication=0 (ნანახია: 18.10.2021).

2020 წელს შეიქმნა დევნილთა სააგენტოს ვებგვერდი https://idp.gov.ge/, რომლის მეშვეობითაც ხდება სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით სიახლეებისა და სხვადასხვა სახის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება და ეფექტიანი კომუნიკაცია ბენეფიციარებთან.

ეკომიგრანტები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ივნისის N1045 განკარგულების საფუძველზე, 2014 წლის 13 თებერვლის N257 განკარგულებით დამტკიცებულ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სტრატეგიის მოქმედება ასევე გავრცელდა სტიქიით დაზარალებულ ეკომიგრანტ პირებზეც. შესაბამისად, 2020 წლიდან საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიმართულებით მოქმედ სახელმწიფო პროგრამებში მოხდა ეკომიგრანტი პირების ჩართვაც, რაც ხელს შეუწყობს განსახლების ადგილებში ეკომიგრანტთა სრულფასოვან სოციალურ–ეკონომიკურ ინტეგრაციას.